პირველი ტრანსნაციონალური კომპანია ქართული "პასპორტით" A4

არჩევნებამდე უკრაინაში მთელი რიგი ცვლილებებია A5

"თქვენი აფხაზეთი" A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 2004 წელი. №297 (846) — ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ხაინდრავა მოსალოდნელ პროვოკაციაზე განცხადებას აკეთებს



ხაინდრავამ, რუსულ-ოსური მხარის მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებული უკიდურესად აგრესიული განცხადებების მიმოხილვის შემდეგ, მასმედიას განუცხადა, რომ საქართველოს მიმართ მოსალოდნელია პროვოკაციის განხორციელება.

A2

## საზოგადოება

### 4 ათასი ავარიული სახლი სამ წელიწადში უნდა განახლდეს



მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამა ქალაქის ავარიული სახლების აღსადგენად მომავალი წლის ბიუჯეტში 27 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

# დინამიური მთავრობა




სოფო ბუკია

*მადლობა – ეს ის სიტყვაა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჟვანია გუშინ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე ყველაზე ხშირად ამბობდა.*

**"კმაყოფილი ვარ იმ საქმიანობით, რაც საქართველოს მთავრობამ ამ ერთი წლის განმავლობაში გასწია. მთავრობამ უფრო ეფექტურად იმუშავა, ვიდრე ჩვენ ამას ველოდით,"** – აღნიშნა გუშინ პრემიერ-მინისტრმა.

2004 წლის მთავრობის მიღწევათა შორის საბიუჯეტო შემოსავლების სამჯერადი ზრდა, პოლიციასა და თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები და **"სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები"** აღინიშნა.

**"ეფექტური მთავრობის"** მიღწევებით "გათამამებული" პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი **"უფრო მეტ ამბიციურობას"** იჩემებენ: **"საქართველოს შეუძლია, ბევრად უფრო სწრაფი ტემპით იმოძრაოს ევროპისკენ. საკადრო ცვლილებები სწორედ ამიტომ ხორციელდება,"** – განმარტა ჟვანიამ.

მაშ ასე, 2005 წელს საქართველოს მთავრობა შემდეგი ცვლილებებით შეხვდება:

საქართველოში ჩამოყალიბდება **"დასავლელი ექსპერტების მიერ წლების მანძილზე შემუშავებული მოდელის შესაბამისი"** ახალი ტიპის სტრუქტურა, რომელიც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს გააერთიანებს. ამ სტრუქტურას პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების

გაგრძელება A3 გვერდზე

# „შესაკრებთა გადანაცვლებადობის" მეორე სერია

ვერიკო თევზაძე

"ჟურნალისტების ისტერია და აჟიოტაჟი" (ასე აფასებდნენ მინისტრები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ერთკვირიან ცნობისწადილს) გამართლდა - გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობას მთავრობაში გატარებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შესახებ ამცნო. რამდენიმე საათით, მეტიც, რამდენიმე წუთით ადრე, კანცელარიაში მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი კომენტარისგან კვლავ თავს იკავებდნენ. უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი ერთი კვირის განმავლობაში აცხადებდა, რომ მას ძალოვანი სტრუქტურების რეორგანიზაციის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოეპოვება.

არაფერი ვიცით, არაფერი გაგვიგია, - დაახლოებით, ასეთ პასუხს იძლეოდნენ მინისტრები ერთი კვირის განმავლობაში ჟურნალისტების შეკითხვებზე, მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ. ერთი კვირის თავზე პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთობლივად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: **"ჩვენ ამ ცვლილებებზე ერთად ჩამოვყალიბდით."**

ამ ცვლილებამდე ერთი დღით ადრე, თავდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს გიორგი ბარამიძეს პოსტის დატოვება საეჭვოდ ეჩვენებოდა. **"შესაძლოა, ჟურნალისტები პროვოცირებულები იყვნენ გარკვეული პიროვნებების მიერ, რომლებიც, შეიძლება, ხელისუფლებაშიც იყვნენ და გუნდის წევრობაზეც ჰქონდეთ პრეტენზია. მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს, მთავარია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ პრეზიდენტი და პრემიერი,"** – ამბობდა ბარამიძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კრიტიკის დასაცავად

ივა მინდაძე

*"განწირულია საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს, საკუთარი სიმბოლოების შენახვა მათ რევიზიას შეუთავსოს."*
***ალფრედ ნ. უაითჰედი***

საშუალო განათლების ერთ-ერთ მიზნად ჩვენში უკვე დიდი ხანია, მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბება ცხადდება. მართლაც, ასეთი მიზნის დასახვა არსებული საგანმანათლებლო სისტემის რადიკალურ ცვლილებას ნიშნავს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის დროინდელი სწავლების ფორმა, სასკოლო სახელმძღვანელოები, მათში მოცემული სავარჯიშოები, მიმართული იყო – მართალია ზოგადად ფართოდ განათლებული, მაგრამ – მორჩილი "საბჭოთა ადამიანის" აღზრდაზე. შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების სწავლება-ჩამოყალიბება მრავალ მეთოდურ და დიდაქტიკურ ცვლილებასთან არის დაკავშირებული, რაც იოლი საქმე არ გახლავთ. არადა, ეს ცვლილებები აუცილებელია, ვინაიდან დღეს ჩვენს საზოგადოებაში მწვავედ იგრძნობა კრიტიკული აზროვნების დეფიციტი.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს არა მხოლოდ სხვისი კრიტიკის კონსტრუქციულად ჩამოყალიბების, არამედ ასევე კრიტიკის მიღების უნარსაც. სამწუხაროდ, კრიტიკამ ჩვენში უფრო მეტად

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | 15/12 | 16/12 |
|---|---|---|
| თბილისი | -2 | 1 |
| ქუთაისი | 3 | 6 |
| ბათუმი | 6 | 8 |
| სოხუმი | 0 | 3 |
| ფოთი | 5 | 7 |
| თელავი | -3 | 0 |
| ზუგდიდი | 4 | 6 |
| გორი | -4 | -1 |
| ახმეტა | -3 | -1 |
| ჭიათურა | -1 | 1 |
| გაგრა | -4 | 1 |
| სამტრედია | 4 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3965 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4666 |
| რუბლი | 0.0643 |




A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ქართველები ამერიკაში | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ზამთარში საავტომობილო მოძრაობას მძღოლების ურჩობა ართულებს

*საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი ყველა მძღოლს მოუწოდებს, ზამთრის პერიოდში საქართველოს გზებზე დაწესებული რეჟიმი დაიცვან და ჰპირდება, რომ გზებზე არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.*

დიანა ჩაჩუა

დიდთოვლობის გამო, საქართველოს გარკვეულ მიმართულებებზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ავტოტრანსპორტის მოძრაობის განსაკუთრებული რეჟიმია შემოღებული. ამ დროისათვის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე თოვლის საფარის სიმაღლე 80 სანტიმეტრს, ჯვრის უღელტეხილზე კი - 120 სანტიმეტრს აღწევს, რაც მოძრაობისათვის მძღოლებისგან დამატებითი ზომების მიღებას მოითხოვს.

რომან დალაქიშვილი შექმნილ სიტუაციაში ყველაზე დიდ პრობლემად მძღოლების უყურადღებობას მიიჩნევს. ის კატეგორიულად აცხადებს, რომ დეპარამენტის გადაწყვეტილებით იკრძალება გზებზე მეორადი მოხმარების საბურავებით და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა.

**"მიუხედავად ჩვენი მრავალმხრივი გაფრთხილებისა, გადამზიდავი კომპანიები არ ითვალისწინებენ იმ მოთხოვნას, რომ 15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ეს კი გზებზე ხელოვნური საცობების შექმნის მიზეზი ხდება,"** - განაცხადა რომან დალაქიშვილმა.

დეპარტამენტის დაკვირვებების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველს გზებზე უცხოელების მანქანებს, რომლებიც უმეტესად ტექნიკურად გამართულია, დღევანდელ პირობებშიც კი არ ექმნებათ პრობლემები. **"პრობლემები ექმნებათ ქართულ ავტომანქანებს, რომლებიც გაცვეთილი საბურავებით და ტექნიკურად გაუმართავი მანქანებით მოძრაობენ,"** – განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

მთლიანობაში კი საქართველოს გზებზე ასეთი მდგომარეობაა: დიდთოვლობის გამო, ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე ნაქერალას უღელტეხილი დაკეტილია. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის ფასანაური-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი მოცულობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო ყველა სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითაა შესაძლებელი. რაც შეეხება რიკოთის უღელტეხილს, აქ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენების გარეშე მოძრაობა მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისათვისაა აკრძალული. **"ყველა სხვა სახის ავტოტრანსპორტისათვის აქ მოძრაობა თავისუფალია,"** – აღნიშნა დალაქიშვილმა.

ასევე, მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით მოძრაობა ნებადართულა გომი-საჩხერე-ჭიათურის, ბათუმი-ახალციხის და ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდა–სომხეთის საზღვრის მონაკვეთზე.

დალაქიშვილის განცხადებით, საავტომობილო გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მუდმივად მიეწოდება საპატრულო პოლიციას, რათა მას შესაბამისი რეაგირების საშუალება ჰქონდეს.

ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის კოორდინატორის მურთაზ ბაღსულიას განცხადებით, ნოემბერში საქართველოში მოსულმა ნალექებმა მრავალწლიან ნორმას დაახლოებით ორჯერ გადააჭარბა. მისი პროგნოზით უახლოეს მომავალში თოვა კვლავ გაგრძელდება.

შპს "საქართველოს თამბაქოს წარმოების"
90%-ის მფლობელის
ჰუსეინ ალის

## განცხადება

მივესალმები და მივმართავ საზოგადოებას, რომელიც მომხრეა საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოსვლისა და ინვესტიციების მოზიდვის გზით ქართული ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარების.

საზოგადოებას, რომელიც მომხრეა ბიზნესში საყოველთაოდ მიღებული წესებისა და ეთიკის.

იმ საზოგადოებას, რომელსაც სჯერა, საქართველოს უკეთესი მომავლის და სურს ამ საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს!

მე, ჰუსეინ ალი, "საქართველოს თამბაქოს წარმოების" აქციების 90%-ის კანონიერი მფლობელი 2001 წლიდან დღემდე, მოგმართავთ ჩვენს კომპანიასთან დაკავშირებულ ბურუსით მოცულ ისტორიაში მეტ-ნაკლებად გარკვეულ საზოგადოებას და მინდა მოგაწოდოთ უახლესი, ბოლოდროინდელი ინფორმაცია.

მსურს იცოდეთ ჩემი მიზნებისა და მომავალი გადაწყვეტილებების შესახებ:

ვაცხადებ, რომ ვაგრძელებ ბრძოლას საკუთარი ბიზნესის დასაბრუნებლად, რომელიც მომპარეს არაკანონიერად 2004 წლის 16 სექტემბრის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფალსიფიკაციის მეშვეობით.

ამასთან დაკავშირებით, შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, რომლითაც განჩინების გაბათილება მოვითხოვეთ.

რადგან ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული - თაღლითობა და სხვისი ქონების მითვისება, გაცნობებთ, რომ გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო ძიება 16 სექტემბერს მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე.

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ საკუთარ სიმართლეში, რადგან არასოდეს მომიწერია ხელი იმ მინდობილობაზე, რომელიც სასამართლოზე ჩემი წილის მითვისებისათვის გამოიყენეს და ფაქტობრივად წამართვეს ბიზნესი, მივმართე უმაღლესი რანგის დამოუკიდებელ ექსპერტს შეერთებული შტატებიდან, რათა პროფესიონალის ოფიციალური აზრი დოკუმენტურად დაფიქსირებულიყო.

ექსპერტის მიერ შედგენილ ორმოცგვერდიან დასკვნაში დადასტურებულია, რომ ხელმოწერა ყალბია.

ფაქტობრივად, ჩემი ბიზნესი კრიმინალურმა ჯგუფმა მოიპარა მხოლოდ ამ მიზნისთვის განკუთვნილი გაყალბებული დოკუმენტის მეშვეობით.

მსურს განვუმარტო ქართველ ხალხს, რომელიც ნათელი მომავლის იმედით ცხოვრობს, რომ თქვენს ქვეყანაში ჩამოსული ნებისმიერი ინვესტორის მთავარი არგუმენტი გადაწყვეტილების მიღებისას მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა, რომელიც რამდენიმე პუნქტს მოიცავს.

მათ შორის მთავარი იმ ქვეყნის კანონის პატივისცემაა, სადაც ბიზნესს ეწევა. კანონი სამართლიანობის გარანტი უნდა იყოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის. ამგვარ გარანტიებს მოკლებული იყო საქართველოსა და საქართველოთი დაინტერესებული ბიზნესსაზოგადოება წინა ხელისუფლების პერიოდში. დღევანდელი ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს ქვეყნის მომავალზე და არაკანონიერ მოქმედებებს არ დაუშვებს არცერთ სფეროში.

ამ იმედით მე ვაგრძელებ ბრძოლას სიმართლისათვის და ბოლომდე ვიბრძოლებ საკუთარი უფლების დასაცავად - პირველ რიგში აღვიდგინო ეს უფლებები საკუთარ წარმოებაში, განვავითარო ის, განვახორციელო ახალი ინვესტიციები საქართველოში, ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის შევქმნა სამუშაო ადგილები, შევიტანო კანონიერი შენატანი ეროვნულ ბიუჯეტში.

მე დავბრუნდები ჩემს ქარხანაში და, კანონის ძალით, აუცილებლად ჩავსვამ ჭუტა წერეთელს ციხეში.

როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადეს ლონდონის საინვესტიციო ფორუმზე, ის დღეები, როდესაც არსებობდნენ "ხელშეუხებელი" ბიზნესმენები საქართველოში, წარსულს ჩაბარდა.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს ამ საქმესთან დაკავშირებით სწრაფი და სამართლიანი რეაგირებისთვის.

ეს აშკარა შეტყობინებაა ყველა უცხოელი ინვესტორისთვის, რომ მათი უფლებები საქართველოში დაცული იქნება!

# ხაინდრავა მოსალოდნელ პროვოკაციაზე განცხადებას აკეთებს

ვერიკო თევზაძე

*საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ხაინდრავამ, რუსულ-ოსური მხარის მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებული უკიდურესად აგრესიული განცხადებების მიმოხილვის შემდეგ, მასმედიას განუცხადა, რომ საქართველოს მიმართ მოსალოდნელია პროვოკაციის განხორციელება.*

ხაინდრავას განმარტებით, ადვილი შესაძლებელია, აგრესიული საინფორმაციო ომი აგრესიულ ქმედებაში გადაიზარდოს. **"რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ფრაქცია "როდინას" წევრებთან გამართულ შეხვედრაზე, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ 8 დეკემბერს განაცხადა, რომ ორ-სამ კვირაში ოფიციალურ თბილისსა და ცხინვალს შორის სამხედრო დაპირისპირება განახლდება და "კიდევ უფრო დაუნდობელ ხასიათს მიიღებს,"** - შეშფოთებას ვერ ფარავს სახელმწიფო მინისტრი.



გოგა ხაინდრავა კონფლიქტების გამწვავების მოსალოდნელ საფრთხეს რეალურად მიიჩნევს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ხაინდრავამ მასმედიას შეახსენა, რომ ფრაქცია "როდინას" მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიური რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში მიღებას ამარტივებს, სერგეი ბაბურინის თქმით, უკვე რუსეთის დუმის საბჭოში დასამტკიცებლად არის შეტანილი.

ხაინდრავამ ჟურნალისტებს რუსეთის მხრიდან წამოსული ასეთი "საინტერესო" განცხადებები გააცნო:

დიმიტრი როგოზინი, სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი: **"ამ კანონის მიღების შემთხვევაში, ჩვენ დნესტრისპირეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემას გადავწყვეტთ."**

სტანისლავ ბელკოვსკი, რუსი პოლიტოლოგი: **"ჩვენ საქართველოზე სამხედრო პროტექტორატს დავამყარებთ."**

ილია შაბალკინი, ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების მმართველი რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელი: **"პანკისის ხეობაში ასეულობით ჩეჩენი და უცხოელი ბოევიკი იმყოფება.... პანკისში, სოფელ ხალაწანში იმყოფებიან უსამა ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლის აბუ-ხაფის წარმომადგენლები: აბუ-ათია და აბუ-რაბია.... ბოევიკები არათუ ემზადებიან რუსეთის ტერიტორიაზე მორიგი გადასვლისთვის, არამედ კრებენ რეზერვისტებს ადგილობრივ მოსახლეობაში..."**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში პარადოქსულად მიაჩნია ის ფაქტი, რომ სიტუაციის ამგვარად წარმოჩენის ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აყენებს საკითხს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთ-დაღესტნის მონაკვეთზე ეუთო-ს მისიის გაუქმების, ან დამკვირვებელთა მნიშვნელოვანი შემცირების თაობაზე.

ხაინდრავამ საგანგებოდ აღნიშნა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ამზადებს წინმსწრებ დარტყმებს სხვის ტერიტორიაზე განლაგებულ ტერორისტულ ბაზებზე.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ამგვარი საინფორმაციო ომი კარგს არაფერს გვიქადის. რაც მთავარია, **"კოკოითის განცხადებები მიესადაგება რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების გამონათქვამებს, ისევე, როგორც ნათელს ხდის მის მიზანს, შეაჩეროს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ სოჭის 5 ნოემბრის შეთანხმების რეალიზაცია."**

**"ჩვენ არცთუ უსაფუძვლოდ ვართ შეშფოთებული იმით, რომ ასეთ ინფორმაციულ აგრესიას შესაძლოა, მოჰყვეს კონფლიქტების მოგვარების თავად იდეის დეზავუირება, მოლაპარაკებების პროცესის შეწყვეტა და შეიარაღებული დაპირისპირებების პროვოცირება,"** - დასძენს ხაინდრავა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველა დაინტერესებულ მხარეს მოუწოდებს, ვითარება რეალურად შეაფასონ და შესაბამისი ზომები მიიღონ.

# გზა თვითმმართველობისკენ

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

17 დეკემბერი, შესაძლებელია, ათვლის ახალ წერტილად იქცეს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში. თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართება თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პირველი ყრილობა. ასოციაციის დაფუძნებით დასრულდება თითქმის წელიწადნახევრიანი მოძრაობა, რომლის ინიციატორი და ხელშემწყობი გახლდათ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი (**CLRAE**) და საერთაშორისო ორგანიზაცია **CIVITAS GEORGICA**. ამ სამზადისის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენდა ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც ერთობ თავისებურად წარიმართა. ისინი ერთობლივად მოგზაურობდნენ საქართველოს ქალაქებში, ხვდებოდნენ ყრილობის დელეგატებს, აცნობდნენ თავიანთ პროგრამებს, სწავლობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, ეცნობოდნენ პრობლემებს. როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ქ. ოზურგეთის გამგეობის თავმჯდომარე ლევან ურუშაძე აცხადებს, თითოეულ რეგიონში ყრილობაზე წარსაგზავნი 9-9 დელეგატიდან (სწორედ ამდენი იყო კვოტა რეგიონებზე) სამუშაო ატმოსფეროში გამართულმა საქმიანმა შეხვედრებმა ცხადად დაადასტურა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ბევრი პრობლემაა დაგროვილი, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივი დემოკრატიის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, თვითმმართველობის პირობებში მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენას და ა.შ. არცთუ მეორეხარისხოვანია ის მომენტი, რომ თვითმმართველობის ძირეულმა რგოლებმა, განსაკუთრებით რაიონულ დონეზე, ჯერ კიდევ ვერ შეიძინეს ქმედითი ფუნქცია და ფაქტობრივად იქცნენ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების განხილვის დაწესებულებად, ძალზე შემცირდა მათი საკანონმდებლო ინიციატივები.



ოზურგეთის გამგებელი ლევან ურუშაძე.

ლევან ურუშაძის თქმით, თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას თავისი საქმიანობით შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს ხელისუფლების რეალური დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით და გახდეს მისთვის დემოკრატიზაციის პროცესების განვითარების გარანტი. მას შეუძლია შეიძინოს საგანგებო ფუნქცია - იყოს მეკავშირე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ასობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შორის და თავისი ქმედუნარიანობით ხელი შეუწყოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასაც; ასოციაცია მხოლოდ ხელისუფლებასთან მჭიდრო და საქმიანი თანამშრომლობით შეძლებს ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას. ეს იქნება ევროპული მოდელის სტრუქტურა, რომელიც გაიზიარებს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილებას.

17 დეკემბერს გრიბოედოვის თეატრში თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია აირჩევს პრეზიდენტს და დაამტკიცებს საქართველოს ყველა რეგიონიდან უკვე არჩეული 2-2 წევრისაგან შედგენილ აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც საკონსულტაციო ორგანო იქნება, იმავდროულად მიიღებს ცალკეულ გადაწყვეტილებებსაც, პრეზიდენტთან ერთად კოორდინაციას გაუწევს ასოციაციის საქმიანობას.

თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია კიდევ ერთი გზაა, რომელსაც მართვის დასავლური პრინციპების დანერგვისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისაკენ მივყავართ.

ნიშანდობლივი მოვლენაა ისიც, რომ ყრილობას ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ევროსაბჭოს წევრი რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრებიან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრებმა დედაქალაქის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

"ლეიბორისტები" ჭიაბერაშვილის მიერ გამოცემული განკარგულების ბათილად ცნობას მოითხოვენ, რომელშიც მერი კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურს კომპანია "ისთერნ ფრომოუშენი"-სთვის 326 ათასი ლარის გამოყოფას ავალებს. ეს ის თანხაა, რომელიც თავისუფლების მოედანზე საახალწლოდ დაგეგმილი ღონისძიებების მოწყობაზე უნდა დაიხარჯოს. "ლეიბორისტები" ჭიაბერაშვილს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ აღნიშნული დოკუმენტი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად საკმარის საფუძველს იძლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის წევრი, "კონსერვატორი" კახა კუკავა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების პროექტს აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც რელიგიური ორგანიზაციები კერძო სამართლის იურიდიული პირები გახდებიან.

აღნიშნულ პროექტზე მუშაობა დეპუტატ გიგა ბოკერიას ინიციატივით მიმდინარეობს.

კუკავა შიშობს, რომ გიგა ბოკერიას მიერ მომზადებული პროექტით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოს კერძო სამართლის იურიდიულ პირად გადაქცევას უპირებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დღეს ორდღიანი ვიზიტით ნატო-ს სამხედრო კომიტეტის სამუშაო ჯგუფი ეწვევა, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გასვლით სესიას გამართავს.

სესიის გახსნას საქართველოს თავდაცვის მინისტრი დაესწრება. დღესვე, ნატო-ს დელეგაცია ვაზიანის სამხედრო ბაზას მოინახულებს, სადაც ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში მომზადებული პირველი ქართული "კომანდოს" ბატალიონია დისლოცირებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვისტთა მომზადების პროგრამის ფარგლებში, გუშინ საჩხერეში მორიგი ბანაკი გაიხსნა.

წვრთნების დაწყების ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და ეროვნული გვარდიის სარდალი სოსო ქუთათელაძე დაესწრნენ.

ახალი ბატალიონი, რომელიც 350 რეზერვისტისგან შედგება, ძირითადად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მკვიდრებითაა დაკომპლექტებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ოფიციალური ვიზიტით გუშინ პოლონეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ალექსანდრ კვასნევსკისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ვლადიმერ ტიმოშევიჩთან და სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებთან.

ვიზიტისას ხელი მოეწერება რამდენიმე დოკუმენტს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო პოლიცია აბაშის რაიონში მცხოვრებ 22 წლის ლაშა მატკავასა და 23 წლის გოჩა თოფურიას ეძებს. ისინი სამართალდამცველებზე შეიარაღებულ თავდასხმაში არიან მხილებული. როგორც სამტრედიის რაიონის პოლიციის უფროსი ჯანო გრძელიე აცხადებს, დანაშაული ერთი კვირის წინ მოხდა, როცა მატკავა და თოფურია სამტრედიელ პოლიციელებს შემთხვევით მდინარე ცხენისწყალთან შეეჩეხნენ. მაშინ მათ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს და გაქცევა მოახერხეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფისკალურმა უწყებებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 2004 წლის იანვარ-ნოემბერში დაგეგმილ პარამეტრებზე 106,21 მლნ ლარით მეტი თანხის მობილიზება მოახერხეს.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, თერთმეტი თვის საპროგნოზო მაჩვენებლები 1,37183 მლრდ ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 1,47804 მლრდ ლარი შეადგინა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, იანვარი-ნოემბრის შემოსავლების გეგმა ასევე გადაჭარბებით შეასრულეს საგადასახადო სამსახურებმა (106%-ით) და საბაჟო ორგანოებმა 101,7%-ით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი 18 დეკემბერს აჭარაში გასვლით სხდომას გეგმავს, რომელზეც რეგიონში ჩაშლილი "მიწის რეფორმის" გაგრძელების პერსპექტივებზე იმსჯელებენ. ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონში დამატებების პროექტი მოამზადა. აჭარის პარლამენტის წარმომადგენლების განცხადებით, რეგიონში, კერძოდ, ქობულეთსა და ხელვაჩაურში მცხოვრებ მოსახლეობას მიწის სავარგულები საკუთრებაში ჯერაც არ აქვს გადაცემული. ამიტომ, აჭარაში მიწის რეფორმის განხორციელებაა აუცილებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის შოკოლადის ფაბრიკის თანამშრომლებმა 14 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მოითხოვენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ეკონომიკის სამინისტროში შექმნილმა კომისიამ, რომელსაც "თბილკონდიტერში" ქონების აღწერა და მესაკუთრეთა სიის შედგენა ევალება. ეს კომისია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნა, რომელსაც მირიან გამეზარდაშვილი ხელმძღვანელობს. აქციის მონაწილეებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ კომისია მუშაობას კვირის ბოლოს დაიწყებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### შობის და ახალი წლის ორჯერ აღნიშვნის სასამართლო პროცესი

**განსასჯელი -** შობის და ახალი წლის ორჯერ აღნიშვნა
**ბრალმდებელი -** ლაშა ბაქრაძე, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე





**ადვოკატი -** ანა კორძაია-სამადაშვილი, ფილოლოგი, ჟურნალისტი
**ბრალდება -** ბრალი ედება ეკონომიკისათვისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასა და საზოგადოებაში გაურკვევლობის დათესვაში
**ბრალმდებლის მოთხოვნა -** შობა და ახალი წელი აღინიშნოს ერთხელ, ახალი კალენდრით 25 დეკემბერს და 1 იანვარს
**დაცვის პოზიცია -** ჩვენ როგორც ძირძველი ერი მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყნისაგან გამორჩევით მრავალგზის უნდა ვზეიმობდეთ ყველაფერს
**განჩინება -** შობისა და ახალი წლის ორჯერ აღნიშვნა გამოცხადდეს მიუღებლად
**ვერდიქტი -** შობა და ახალი წელი აღინიშნოს ერთხელ (ერთხმად), ახალი სტილით 25 დეკემბერს და 1 იანვარს (9 ხმით 3-ის წინააღმდეგ)

**12 ნაფიცი მსმენელი**
**შობა და ახალი წელი აღინიშნოს ერთხელ:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 2. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 3. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 4. | ანონიმი | 7 იანვარს და 14 იანვარს |
| 5. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 6. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 7. | ანონიმი | 7 იანვარს და 14 იანვარს |
| 8. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 9. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 10. | ანონიმი | 7 იანვარს და 14 იანვარს |
| 11. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |
| 12. | ანონიმი | 25 დეკემბერს და 1 იანვარს |

# „შესაკრებთა გადანაცვლებადობის" მეორე სერია

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტმა და პრემიერმა კი ერთი დღის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება და ამ სიტყვების ავტორს ვიცე-პრემიერის პოსტი არგუნეს. ბარამიძე საქართველოს ევროსტრუქტურაში ინტეგრაციის საკითხებს უხელმძღვანელებს.

პრეზიდენტი კი "პროგნოზირებადობაზე" საუბრობს... გუშინ მან დაბეჯითებით განაცხადა: **"ხელისუფლება ინარჩუნებს თავისი კურსის სტაბილურობას და პროგნოზირებადობას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რატომ არის ესა თუ ის ნაბიჯი გადასადგმელი."**

სინამდვილეში დღეს საზოგადოებისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ საკადრო ცვლილებაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირს პრეზიდენტი და პრემიერი (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური განცხადებით), ემადლიერება და მიუხედავად ამისა, გადანაცვლება მაინც ხდება. პრეზიდენტის და პრემიერის განცხადებებიდან გამომდინარე, ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ყოფილი "კარგები" მომავალ თანამდებობებზე "უკეთესები" გახდებიან.

**"ჩვენ გვინდა შედეგი, კონკრეტულად შედეგზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები,"** – ამბობს პრეზიდენტი.

წუხელ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების არც ერთი პასუხისმგებელი პირი არ გამოსულა და არ განუმარტავს: რა უპირატესი ნიშნებით, რა ეფექტურობით გამოირჩევა მთავრობის ახალი სტრუქტურული წყობა წინასთან შედარებით.

# დინამიური მთავრობა

პირველი გვერდიდან

სამინისტრო დაერქმევა. ამ უწყებას ვანო მერაბიშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც უშიშროების მინისტრად ყოფნისას **"ძალიან სერიოზული და წარმატებული ნაბიჯებით"** გამოირჩეოდა. ცალკე ჩამოყალიბდება დაზვერვა.

თავდაცვის ახალი მინისტრი **"შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალიან სწრაფი და შთამბეჭდავი რეფორმების"** ავტორი ირაკლი ოქრუაშვილი გახდება.

**"ყველასთვის მშვენივრად ცნობილი ადამიანი"**, ზურაბ ჟვანიას **"დიდი ხნის თანამებრძოლი"** გიორგი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროდან სახელმწიფო კანცელარიაში დაიდებს ბინას. ბარამიძის ახალი თანამდებობის სახელწოდებაა სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში. **"ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია... ბარამიძე დაიკავებს არა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის, არამედ ვიცე-პრემიერის პოსტსაც და ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, ყველა უწყების მუშაობას გაუწევს კოორდინაციას,"** - აღნიშნა ჟვანიამ.

გადახალისდება სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტიც. სახელმწიფო მინისტრები აღარ იქნებიან: ევროინტეგრაციული პოლიტიკის კოორდინატორი თამარ ბერუჩაშვილი, მცირე და საშუალო ბიზნესის დარგის ხელმძღვანელი ჯამბულ ბაკურაძე და ეროვნული თანხმობის გარანტი გურამ აბსანძე. **„სამივე დარჩება მნიშვნელოვან პოსტზე ხელისუფლებაში. მინდა მათ მადლობა ვუთხრა საინტერესო მუშაობისთვის, მაგრამ მათი სტრუქტურები მთლიანად რეორგანიზებული იქნება,"** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

აბსანძის წასვლამ სახელმწიფო მინისტრების ინსტიტუტი ოდნავადაც არ შეამსუბუქა – ეკონომიკის სამინისტროდან კანცელარიაში ინაცვლებს კახა ბენდუქიძე. სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ეკონომიკური განვითარების დარგს უხელმძღვანელებს და როგორც მას გუშინ პრემიერ-მინისტრი დაჰპირდა, **„ის სიმბოლური სახელმწიფო მინისტრი არ იქნება."** ბენდუქიძემ ეკონომიკის სამინისტროში მოღვაწეობისთვის პრემიერ-მინისტრისგან განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურა: **„ბენდუქიძემ სერიოზული რეორგანიზაცია და რეფორმა ჩაატარა ეკონომიკის სამინისტროში."**

სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის დარგში – **"ცხინვალში დაბადებული და ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ოსეთში მოღვაწე"** ზინაიდა ბესტაევა გახდა. ბესტაევას მთავარი ფუნქცია ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია იქნება. **„ჩვენთან ინტეგრაციისთვის კარი გახსნილია, განსაკუთრებით ეს ჩვენს ოს და აფხაზ ძმებს ეხება,"** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ამ თანამდებობას გადახალისება არ შეეხო. კონფლიქტების დარეგულირებას კვლავინდებურად გოგა ხაინდრავა გააგრძელებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეში **"ახალგაზრდა და იმედისმომცემი ადამიანი"** მიხო სვიმონიშვილი ჩაუდგება. სვიმონიშვილი ამ თანამდებობაზე ქალაქის მთავარი არქიტექტორის სავარძლიდან გადაინაცვლებს. საზოგადოება სვიმონიშვილს კოკო გამსახურდიას საარჩევნო სიიდანაც იცნობს.

სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით შერვაშიძე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ პრემიერ-მინისტრის გულითად მადლობას უნდა დასჯერდეს.

დაბოლოს, ეკონომიკის მინისტრის პორტფელს კახა ბენდუქიძე **"სანდო და პატივსაცემ"**, ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს ალექსი ალექსიშვილს უთმობს.

დიუკის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ალექსიშვილს **"ბენდუქიძის მიერ წამოწყებული მნიშვნელოვანი რეფორმების"** გაგრძელება დაევალა.

პრემიერ-მინისტრმა ბრიფინგის ბოლოს ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოარული ჭორი სამთავრობო კრიზისის შესახებ სრული აბსურდია.

**"პრეზიდენტის და ჩემი, როგორც პრემიერ-მინისტრის, უფლებაა, მოვახდინოთ კორექტირება ჩვენს გუნდში, რათა იგი კიდევ უფრო ეფექტური გახდეს. კრიზისი მთავრობაში არ არის. სამთავრობო კრიზისი არის მაშინ, როცა მთავრობა პარლამენტის მხარდაჭერას კარგავს. ძალიან გაბედულად მივდივარ ამ ცვლილებაზე, რადგან პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერაში დარწმუნებული ვარ,"** – აღნიშნა ჟვანიამ.

მთავრობისთვის მხარდაჭერის გამოცხადების შანსი პარლამენტს, ალბათ, უკვე დღესვე მიეცემა. დღეს პრეზიდენტი და მთავრობა ძალოვან სტრუქტურებში დაგეგმილი რეფორმების თაობაზე პარლამენტს შესაბამისი კანონპროექტით მიმართავენ.

## მოკლედ

### პოსტსაბჭოური კონფლიქტებისადმი ახალი მიდგომა

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის და მთიანი ყარაბახის კონფლიქტების მოგვარებაში ერთიანი მიდგომის გამოყენების წინადადებით გამოდის.

"ამ კონფლიქტების მიმართ ერთიანი მიდგომაა აუცილებელი, რომელიც კანონს დაემყარება და არა ემოციებს," - აღნიშნა ალიევმა ორშაბათს ლონდონის ჩეტემჰაუსში გამოსვლისას. მისი თქმით, "ყველა ამ კონფლიქტს მსგავსი ხასიათი აქვს."

მთიან ყარაბახში შექმნილ ვითარებაზე საუბრისას, ილჰამ ალიევმა საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეგიონში პოლიტიკური და ჰუმანიტარული კრიზისის მოგვარებაში.

"ჩვენ გვყავს შუამავლები ეუთო-ს და "მინსკის ჯგუფის" სახით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ევროპის კავშირს, ევროპის საბჭოს და გაეროს უფრო აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ," - აღნიშნა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

"თუ აღნიშნული საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში მუდმივად იდგება, ეს ჩვენს რეგიონში მშვიდობის დამყარებაში დაგვეხმარება," - დასძინა ილჰამ ალიევმა. **ინტერ-პრესი**

### სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრად კვლავ სერგეი შამბა დაინიშნა

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას განკარგულებით, სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრად გუშინ სერგეი შამბა დაინიშნა.

ასევე, არძინბას განკარგულებით, სოხუმის ხელისუფლების პირველი ვიცე-პრემიერის პოსტი ვიქტორ ხიჩეფსკიმ დაიკავა, რომელიც სახელმწიფო კომპანია "აფხაზეთის ავიახაზების" დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

აღნიშნულ განკარგულებებს არძინბამ გუშინ მოაწერა ხელი.

გუშინვე სოხუმში ახლად არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომამ ცესკო-ს ახალ თავმჯდომარედ ბათავ ტაბაღუა აირჩია, რომელიც სოხუმის ხელისუფლებაში იუსტიციის ექსმინისტრი იყო.

ტაბაღუას მოადგილედ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის აპარატის უფროსი ალექსანდრე ადლეიბა, მდივნად კი - ფატიმა დაუქია აირჩიეს.

გუშინდელ სხდომაზე ცესკო-მ აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ვერ განსაზღვრა. სავარაუდოდ, ამ თარიღს დღეისთვის დანიშნულ სხდომაზე დაადგენენ. **ინტერ-პრესი**

ევრაზიის ფონდი საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისათვის აცხადებს ტენდერს
**საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ლოგოზე,**
რომელიც უნდა ასახავდეს საქართველოს ბრენდს

ტენდერში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელი დიზაინერებისათვის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო რეგისტრირებული სადიზაინერო კომპანიებისათვის.

ნამუშევრები მიიღება 2005 წლის 5 იანვრამდე
გამარჯვებული გამოვლინდება ერთ კვირაში

პრემია: პირველი ადგილი - 1000 ლარი, მეორე ადგილი - 600 ლარი და მესამე ადგილი - 400 ლარი

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
- ევრაზიის ფონდის ოფისში, კავსაძის ქ. N3;
- ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გრიბოედოვის ქ. N 22;
- ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტში, ჭავჭავაძის გამზ. N80;

ან შემდეგ ელ-ფოსტაზე Karin.steinmetzer@travelgeorgia.ge

ევრაზიის ფონდი საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისათვის, როგორც ბენეფიციარისათვის აცხადებს

**ტენდერს საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების, სარეკლამო მასალების დიზაინზე**
რომელიც უნდა ასახავდეს საქართველოს ბრენდს

ტენდერში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელი დიზაინერებისათვის ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო რეგისტრირებული სადიზაინერო კომპანიებისათვის.

ნამუშევრები მიიღება 2005 წლის 5 იანვრამდე
გამარჯვებული გამოვლინდება ერთ კვირაში

პრემია: პირველი ადგილი - 600 ლარი, მეორე ადგილი - 400 ლარი და მესამე ადგილი - 200 ლარი

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
- ევრაზიის ფონდის ოფისში, კავსაძის ქ. N3;
- ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გრიბოედოვის ქ. N 22;
- ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტში, ჭავჭავაძის გამზ. N80;

ან შემდეგ ელ-ფოსტაზე Karin.steinmetzer@travelgeorgia.ge

## თვალსაზრისი

# კრიტიკის დასაცავად

პირველი გვერდიდან

ქილიკის სახე მიიღო, რაც კრიტიკის არსის დამახინჯებაა. ბევრმა ალბათ არც იცის, რომ კრიტიკა აღნიშნავს რაიმე ვითარების, რაიმე პრობლემის არსის გარჩევასა და განსჯას, პრაქტიკულად, ტექსტის ანალიზს. ჭეშმარიტი კრიტიკა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების ფარგლებში შეიძლება არსებობდეს, რადგან სხვა შემთხვევაში ის იდეოლოგიის ინსტრუმენტად იქცევა, რომელიც არსებული რეჟიმისთვის "მიუღებელ" აზრს დევნის და "სჯის".

სიტყვის თავისუფლება მეტია, ვიდრე მხოლოდ მთავრობის საჯარო "კრიტიკის" შესაძლებლობა. ის გულისხმობს საზოგადოებისთვის მტკივნეული საკითხების განხილვის უფლებასაც. სიტყვის თავისუფლების პირობებში არ არსებობს ტაბუირებული თემა. სიტყვის თავისუფლებაა ბევრისთვის მიუღებელი აზრის გამოთქმის და მისი დაცვის საშუალება. ამ უკანასკნელ გარემოებას ჩვენში იშვითად ექცევა შესაბამისი ყურადღება.

სიტყვის თავისუფლების პირობებში ასევე არ არსებობენ ტაბუირებული პიროვნებები. ჩვენთან, რატომღაც, ერიდებიან გამოჩენილ ადამიანებთან, სასულიერო პირებთან კამათს, თითქოს მღვდელი ან კარგი მუსიკოსი დაზღვეულია შეცდომებისგან.

ზურაბ კაკაბაძე წერილში "ფილოსოფია და ცხოვრება" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "ფილოსოფოსის პოზიცია, უპირველეს ყოვლისა, რადიკალური კრიტიკის პოზიციაში გამოიხატება." ასეთი, "ჭეშმარიტი", ფილოსოფოსის ამოცანაა არა კერძო ვითარებების განხილვა, არამედ "ეპოქალური პრინციპების" კრიტიკა. "ფილოსოფოსისთვის რაიმეს გავრცელებულობა არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს, პირიქით, მისი კრიტიკა და ეჭვი პირველ რიგში სწორედ საყოველთაოდ გავრცელებულს ეკუთვნის, რადგან მასში ვლინდება და ჩანს ეპოქის ძირითადი მიმართულება, მისი კრიტიკული განაზრებაც შეადგენს ფილოსოფოსის მიზანს". იგივე ითქმის არა მხოლოდ ფილოსოფოსზე, არამედ ასევე პოეტებსა ან ხელოვნების სხვა წარმომადგენლებზე, მეცნიერებზე. დოგმების გადასინჯვა, ტაბუდადებული თემების განსჯა, გავრცელებული სტერეოტიპების ცნობიერი განხილვა ყველა მოაზროვნე ადამიანის მოვალეობაა. მეტიც, ეს აუცილებლობაა.

დამოუკიდებლად აზროვნების უნარს მოკლებული ადამიანისთვის ავტორიტარულ სახელმწიფოში ცხოვრება ადვილია. ყველაფერი – კარგიც და ცუდიც – განსაზღვრულია, დადგნილია და გადასინჯვას არ ექვემდებარება. ავტორიტარულ სახელმწიფოში ნორმადაა ქცეული დაუწერელი კანონების უზენაესობა, ტრადიცია კანონზე ძლიერია. ლიბერალურ სახელმწიფოში კი ერთდროულად რამდენიმე "ჭეშმარიტების" არსებობაა დაშვებული. ლიბერალურ სახელმწიფოში არის კანონი. კანონი იცავს პიროვნებას, მის ღირსებას და თავისუფლებას, თუ საჭიროა, იცავს მას ტრადიციისგანაც, თუ კი ტრადიცია პიროვნების თავისუფლებას ზღუდავს. რადგან არც ერთი ტრადიცია, არც ერთი იდეალი არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. ტრადიციებიც ცვალებადი და განვითარებადია. ამიტომ ის, რაც საზოგადოების განვითარებას უშლის ხელს, უნდა შეიცვალოს. უცვლელი, გახევებული იდეალები და ქცევის ნორმები საზოგადოების განვითარებას პრინციპულად აფერხებს და მის არსებობას საფრთხეს უქმნის. კრიტიკა ასეთი პრინციპების, ასეთი იდეალების განსჯასა და გადასინჯვას ნიშნავს.

ტრადიციების ტრანსფორმაცია მტკივნეული პროცესია. ხშირად გმირებადაც კი გვეჩვენება ხოლმე ის ადამიანები, ვინც საზოგადოებასთან დაპირისპირებას ბედავს. საზოგადოების კრიტიკა მძიმე ტვირთია, რომელსაც დანახვა და დაფასება სჭირდება. რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, ლიტერატურაში მრავლადაა "ტრადიციათა დამრღვევთა" მაგალითები. ალუდა ქეთელაური ერთ-ერთი ასეთი გმირია, ვინც თემს დაუპირსპირდა, ადათი დაარღვია.

კრიტიკა მხოლოდ უარყოფას არ ნიშნავს. კრიტიკა არ არის მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენა. კრიტიკის შედეგად არსებულის გამართლებაც შეიძლება მივიღოთ, მაგრამ მთავარია, რომ ყველაფერი, ნებისმიერი თემა, ნებისმიერი აზრი, შეიძლება გახდეს კრიტიკის სამიზნე.

კრიტიკა მოითხოვს პრობლემის, ტექსტის საფუძვლიან ცოდნას. ჩვენთან ხშირად აკრიტიკებენ ისეთ რამეს, რაზეც სინამდვილეში წარმოდგენა არა აქვთ. როგორ ხდება ეს? ძალიანაც მარტივად. ჩვენთან მიღებულია არა აზრების, არამედ ამ აზრების ავტორების კრიტიკა. თუ რომელიმე პოლემიკური ტექსტის ავტორი, ჩვენთვის რაიმე თვალსაზრისით – იქნება ეს პოლიტიკური თუ პირადი ინტერესი – მიუღებელია, მზად ვართ, ნებისმიერი ტრიბუნიდან "გავთათხოთ" (კრიტიკას ამას ვერ ვუწოდებთ) ეს ადამიანი. ტექსტი კი განუხილავი რჩება, რაც გასაკვირი არაა, რადგან უსაგნო კამათის პირობებში ტექსტის წაკითხვა ფუჭი დროის ფლანგვაა. მთავარია, ჩვენს "მეტოქეს" ვაჯობოთ და პირში ბურთი ჩავჩაროთ. ამ მხრივ დილეტანტიზმი – რომ არ ვთქვათ დემაგოგობა – და კრიტიკა ერთმანეთს უპირისპირდება. ისიც მინდა დავამატო, რომ ასეთ დროს "კრიტიკოსი" ძირითადად თავის უზნეობას ავლენს, თუმცა ასეთი გამოსვლები ჩვენს საზოგადოებაში გარკვეულ გამოძახილს მაინც ჰპოვებს ხოლმე. ამ მხრივ, ტრადიციების "დაცვის" მოწოდება, ალბათ, ყველაზე "ქმედითია", თუმცა ბევრი არც უკვირდება, თუ რის დასაცავად ილაშქრებს. ტრადიციების დაცვა ხანდახან შემაშფოთებელ ფორმას იღებს. არაფერია გაუნათლებელ ბრბოზე უფრო საშიში, რომელიც მზად არის, რომელიმე ნიშნის მიხედვით "მიუღებელი" წიგნები დაწვას. წიგნების წვა, სურათების გლეჯა, სახიფათოა, რადგან როგორც ისტორიამ ერთხელ აჩვენა, იქ, სადაც წიგნებს წვავენ, შემდეგ მათ მკითხველებსაც გაზის კამერებში ათავსებენ. აღარ გვინდა, ერთხელაც უკვე საკმარისია.

დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობა ნიშნავს საპირისპირო აზრთან მოპყრობის სწავლას. ამიტომ სწორია, რომ სკოლამ მიზნად დაისახა მოსწავლეებში კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება. უნდა მივეჩვიოთ, რომ საპირისპირო აზრიც ფასეულია. მიუღებელია მისი განუსჯელად განდევნა, საჭიროა შეფასება და კრიტიკა, რაც ჩვენში ჯერჯერობით იშვითობაა, სწორედ ამაში ვლინდება საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა.

# თბილისის ენერგომომარაგება გაუმჯობესდება

*გუშინ ქართველმა ენერგეტიკოსებმა სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელეს - მათი განცხადებით, თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებული ოთხდღიანი შეფერხება აღმოიფხვრა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგია გრაფიკით მაინც მიეწოდებათ.*

დიანა ჩაჩუა

როგორც გუშინ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებდნენ, მუშაობა დაიწყო "თბილსრესის" ტრანსფორმატორმა, რის შედეგადაც დედაქალაქისთვის მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება გახდა შესაძლებელი.

**"დღეს ტრანსფორმატორზე ტესტირება ჩატარდა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მას მესამე ენერგობლოკის ჩართვამდე მუშაობა შეუძლია. ბლოკის ჩართვის შემდეგ ტრანსფორმატორზე სარემონტო სამუშაოები ისევ გაგრძელდება,"** - განაცხადეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

როგორ ენერგეტიკოსები აცხადებენ, "თბილსრესის" ავტოტრანსფორმატორი, რომელიც ხელახალ გარემონტებას საჭიროებს, სისტემაში ენერგორესურსების მატებამდე აღარ გაჩერდება. ენერგორესურსების მატება კი კვირის ბოლოსთვის, თბილსრესის მე-3 ენერგობლოკის და ხრამჰესის ამუშავებისთანავე იგეგმება. ამ ორი ენერგოობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებით სისტემა დამატებით 140-160 მეგავატ სიმძლავრეს მიიღებს.

ავტოტრანსფორმატორის ჩართვა ორშაბათისთვის იგეგმებოდა. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. თუმცა, გუშინ "თბილსრესში" აცხადებდნენ, რომ ბოლო დღეებში გახშირებული ავარიების გამო, ტრანსფორმატორს მძიმე რეჟიმში უწევდა მუშაობა და მის ჩართვამდე ლაბორატორიული სამუშაოები იყო ჩასატარებელი.

ტრანსფორმატორის გამორთვამ სამშაბათს ღამით სისტემაში სხვა ავარიაც გამოიწვია. "ქსნის" მაღალი ძაბვის ქვესადგური გადაიტვირთა და 220 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი "არაგვი" დაზიანდა.

შედეგად რეგიონებს დენი ისევ აღარ მიეწოდებათ - აღარც გრაფიკით და აღარც უგრაფიკოდ. მაგალითად, "საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მომხმარებლებს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ელექტროენერგია გადამცემი ხაზების დაზიანებების გამო თითქმის არ მიეწოდებათ.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, დაზიანებების გამო მნიშვნელოვნად არის შეზღუდული მცხეთა-მთიანეთის ელექტრომომარაგებაც. რაც შეეხება ქვემო ქართლის მხარეს, რეგიონში ელექტროენერგია მხოლოდ მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებს მიეწოდება, რადგან ისინი სომხეთიდან იმპორტირებული დენით მარაგდებიან.

**"დაზიანებულ გადამცემ ხაზებზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და მათი დასრულებისთანავე აღნიშნული რაიონების ელექტრომომარაგება ისევ გრაფიკის მიხედვით განახლდება",** - განაცხადეს კომპანიაში.

ენერგოკომპანიის ინფორმაციით, ბათუმის ელექტრომომარაგება 24-საათიანია (აჭარა რუსეთიდან 60-70 მეგავატ ელექტროენერგიას იღებს) ხოლო რაიონებში ელექტრომომარაგების 8-საათიანი გრაფიკებია (8-დან 10 სთ-მდე და 18-დან 24 სთ-მდე) დაწესებული.

სხვა მხრივ კი მთლიანად საქართველოში ენერგომომარაგება ისევ მძიმე მდგომარეობაშია, რასაც გუშინ ენერგეტიკის საკითხთა შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილიც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, დაპირებები იმის შესახებ, რომ თბილისს 24-საათიანი, ხოლო სხვა ქალაქებს 18-20-საათიანი ელექტროენერგიით მომარაგება ექნებოდათ, მოსახლეობისთვის თვალებში ნაცრის შეყრის ტოლფასია.

როგორც მან აღნიშნა, რუსეთიდან და სომხეთიდან განხორციელებული იმპორტის მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკის სისტემაში არსებული პრობლემების გამო, ამ დაპირების შესრულება შეუძლებელია.

**"ამის შესახებ არაერთხელ განვაცხადე, რის გამოც "თელასის" ხელმძღვანელობა დამიპირისპირდა კიდეც. საქართველოს ენერგეტიკაში სერიოზული პრობლემებია და მას ასევე სერიოზული მიხედვა სჭირდება. ერთი და ორი აგრეგატის შეკეთება შედეგს ვერ გამოიღებს. საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა და ენერგეტიკის სფეროში მოქმედ კომპანიებთან მოლაპარაკებების გამართვა, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ და ყველა საკუთარი გამორჩენისთვის იბრძვის,"** - განაცხადა გია ნაცვლიშვილმა.

# პირველი ტრანსნაციონალური კომპანია ქართული "პასპორტით"

მარიამ ჭაჭვაძე

*ქართული ბიზნესის ისტორიაში ამ ცოტა ხნის წინათ უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ", ორ უკრაინულ კომპანიასთან ერთად, ჰოლდინგი შექმნა, რითაც GG&MW Co. N.V. პირველი ქართული წარმოშობის ტრანსნაციონალური კომპანია ხდება. ამჟამად მინისა და მინერალური წყლების კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსულ კომპანიასთან და როგორც GG&MW-ს დამფუძნებელი და პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე ამბობს, უახლოეს მომავალში, არ არის გამორიცხული, ახალ ჰოლდინგში რუსული კომპანიაც გაერთიანდეს.*

მინერალური წყლების ახალი ჰოლდინგი, რომელიც "ბორჯომი ვოთერს გროუფის" სახელით გახდება ცნობილი, ორ უკრაინულ კომპანიას IDS და "მორშინის მინერალური წყლების ქარხანას" ("ოსკარი") და ერთ ქართულ GG&MW Co. N.V. აერთიანებს, რითაც მსოფლიოში ცნობილი 13, მათ შორის 7 ქართული წარმოშობის ბრენდი გაერთიანდება. ახალი ერთობლივი კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის – 70 პროცენტის მფლობელი ქართული მხარეა.

**"ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართულ კომპანიას საკუთარი წარმოება გააჩნია სხვა ქვეყანაში",** - ეს განცხადება მამუკა ხაზარაძემ გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ჟურნალისტებისთვის გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*GG&MW Co. N.V. საკუთარი წარმოება უკვე უკრაინაშიც გააჩნია.*

ცნობისათვის: დღეს IDS, ბორჯომის გაყიდვების ჩათვლით, უკრაინული ბაზრის 19 პროცენტს აკონტროლებს; "მორიშინის მინერალური წყლების ქარხანა" ("ოსკარი") კი - 6 პროცენტს.

GG&MW Co. N.V. გაყიდვების მაჩვენებლების თანახმად, რუსეთის მინერალური წყლების ბაზრის 8 პროცენტს და უკრაინის ბაზრის 25 პროცენტს მოიცავს. ამ დროისთვის კომპანიის მიერ ჩამოსხმული წყლის 85 პროცენტზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთ, 26 ქვეყანაში გადის. GG&MW-სთან შერწყმამდე, უკრაინული მხარე ბორჯომის წყლების დისტრიბუციას უზრუნველყოფდა უკრაინაში.

ამ გაერთიანების შედეგად "ბორჯომი ვოთერს გროუფი" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანია ხდება, რომლის წლიური სასაქონლო ბრუნვა", ხაზარაძის განცხადებით, 45-დან 90 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

**"ათ წელზე ნაკლებ დროში GG&MW Co. N.V. გახდა აბსოლუტური ლიდერი არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ უკრაინაშიც. ჩვენ შემოვიერთეთ ისეთი კომპანიები, რომლებიც ყველაზე პოპულარულ მინერალურ წყლებს აწარმოებენ უკრაინაში,"** – აღნიშნა მამუკა ხაზარაძე.

**"ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთ მსხვილ საერთაშორისო კომპანიას საქართველოში ჩაეყარა საფუძველი. შვიდი წლის წინათ, ჩვენ მხოლოდ 5 მილიონ ბოთლ ბორჯომს ვყიდდით. დღეს კი ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიად ვიქეცით აღმოსავლეთ ევროპაში. ჩვენ გავხდით მულტინაციონალური კომპანია ნატურალური მინერალური წყლების სეგმენტში",** - ეს განცხადება კი GG&MW Co. N.V. გენერალურმა დირექტორმა ჟაკ ფლერმა გააკეთა.

მისივე ინფორმაციით, ამჟამად GG&MW Co. N. V. მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან წყლით სარგებლობის 10 წლიანი ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე, რომლის მოქმედების ვადა 2007 წელს მთავრდება. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ხელისუფლებისგან ლიცენზიის განახლებას ითხოვს.

გუშინ ასევე ცნობილი გახდა ახალი ჰოლდინგის უახლოესი გეგმების შესახებ. ინვესტორების სახსრებისა და საბანკო კრედიტის მეშვეობით, "ბორჯომი ვოთერს გროუფი" დაახლოებით 24 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს უკრაინული ბიზნესის გაფართოებისათვის.

მომავალი წლის დასაწყისში ბორჯომის რეალიზაციის უფლება გადაეცემა "ოსკარს", რომელიც მთელს უკრაინას მოიცავს. ჰოლდინგის მარკეტინგის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და IDS-ის გენერალური დირექტორის მარიანა გლოტოვას ინფორმაციით, უახლოეს სამ წელიწადში GG&MW Co. N.V.-ს უკრაინის ფილიალი უკრაინის მინერალური წყლის ბაზრის, სულ მცირე, 35 პროცენტს გააკონტროლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში ბორჯომის გაყიდვა, დღევანდელთან შედარებით, დაახლოებით ოთხჯერ გაიზრდება და 2007 წლისთვის 50 მილიონ ბოთლს გაუტოლდება წლიურად. **"ეს კი თითქმის ორჯერ მეტია იმაზე, რაც დღეს საქართველოს ბაზარზე იყიდება. ამავე პერიოდისთვის, ჰოლდინგი ჯამურად 600 მილიონი ლიტრის წყლის წარმოებასა და გაყიდვას გეგმავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიის ორგანული ზრდისა და ახალი შენაძენების საფუძველზე, საერთო რეალიზაცია მინიმუმ ორჯერ გაიზრდება,"** - აღნიშნა მარიანა გლოტოვამ "24 საათთან" საუბრის დროს.

# არასამთავრობოები სიღარიბის დაძლევის პროგრამის ეფექტიანობას იწუნებენ

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი" სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობდა. ღონისძიებაზე საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ "ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამის" ერთწლიანი ანგარიში წარმოადგინა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რევოლუციის შემდეგ განხორციელებულ რეფორმებზე იმსჯელა.

შეხვედრაზე ეკონომიკის სამინისტრომ იმ რეფორმების პრეზენტაცია მოაწყო, რაც "ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამის" ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა.

**"ეკონომიკური და ფისკალური რეფორმებიდან გამოვყოფდი პრივატიზაციის რეფორმას. უმნიშვნელოვანესია ახალი საგადასახადო კოდექსი,"** - განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ თამარ კოვზირიძემ.

შეხვედრაზე ძირითადი ყურადღება უკიდურესი სიღარიბის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობაზე გამახვილდა. როგორც კოვზირიძემ აღნიშნა, შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების შესახებ მონაცემთა ბაზას ადგენს. მომავალი წლისთვის კი ამ ადამიანებისთვის ბიუჯეტიდან ფულადი დახმარებების გაცემა იგეგმება.

გუშინდელ კონფერენციაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, საქართველოში პირველ რიგში სიღარიბე კი არა, სილატაკე უნდა დაიძლიოს. მათივე თქმით, "ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამა" არაეფექტურად მიმდინარეობს.

დღესვე, კახა ბენდუქიძის უწყება ქვეყნის "ეკონომიკის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას" დონორ ორგანიზაციებთან განიხილავს. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 14-15 დეკემბერს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საქართველოს დღეები და ქართული პროდუქციის გამოფენა გაიმართება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ღვინის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების და კვების პროდუქტების მწარმოებელი 25 ქართული კომპანია და სამი ქართული ბანკი "თი-ბი-სი", "ინვესტბანკი" და "ბაზისბანკი".

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ანალოგიური გამოფენების გამართვას ავსტრიაში, ფინეთში და სკანდინავიის ქვეყნებშიც გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთმა 14.8 მილიარდი მანეთი გამოყო 2007 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთი საზღვრის მოსაწყობად. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმერ პრონიჩევმა განუცხადა. მისი თქმით, 2006 წლის ბოლომდე ჩრდილოეთ კავკასიაში, საზღვრის მოწყობის კომპლექსური გეგმის თანახმად, აშენდება 72 ქალაქის ტიპის დასახლება, სასაზღვრო რაზმების 9 სამმართველო და სასწავლო ცენტრი სტავროპოლში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის ნაციონალური ბანკი 2005 წლის 1 იანვრისთვის 3,5 მლნ აშშ დოლარზე ნაკლები საწესდებო კაპიტალის მქონე ბანკების ლიცენზიებს შეზღუდავს. როგორც აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ნაციონალური ბანკის მმართველობის საბჭოს წევრმა, საკრედიტო ორგანიზაციებზე კონტროლის დეპარტამენტის დირექტორმა რუფატ ასლანლიმ განუცხადა, ამჟამად აზერბაიჯანის მხოლოდ 25 ბანკს აქვს 3,5 მლნ აშშ დოლარის ტოლი და მეტი საწესდებო კაპიტალი.

იმ ბანკების მიმართ, რომლებიც მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**


## ს.ს. "თელასი" შეისყიდის:

1. გოგირდმჟავა - **200ლ**
2. ამძრავი MMO-110 - (ЗПМ-70000) - **2ც**
3. РПН-ის ამძრავი МЗ-2 - **2ც**
4. РПН-ის ამძრავი МЗ-4 - **2ც**
5. შემყვანი МКП-35 - **6ც**
6. შემყვანი С-35 - **6ც**
7. შემყვანი ВМ-35 - **6ც**
8. მცველები РВС-35 - **6ც**
9. მცველები РВС-110 - **9ც**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 20 დეკემბერი.



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**15 დეკემბერს, 11.00-დან 15.00 სთ-მდე:**
ტელეგრაფის, ათონელის, გოგჩის, ბარათაშვილის, სულხანიშვილის, ორბელიანის,
მარჯვენა სანაპიროს(ნაწილობრივ), ავლევის, მტკვრის ქუჩების მაცხოვრებლებს.



# მრჩეველი განვითარების საკითხებში

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **განვითარების საკითხებში მრჩევლის** თანამდებობაზე. მრჩეველი **განვითარების საკითხებში** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**
მრჩეველი **განვითარების საკითხებში** იმუშავებს BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებაში და ფუნქციონალურად დაექვემდებარება რეგიონალური განვითარების ინიციატივის (RDI) მენეჯერს ბაქოს ოფისში. ძირითადი ფუნქციაა გაუწიოს ტექნიკური მონიტორინგი და გააკონტროლოს BP-ს RDI-ის მუშაობა და სოციალური ინვესტირებასთან დაკავშირებული ქმედებები საქართველოში. სამომავლოდ, შერჩეული კანდიდატი პასუხისმგებელი იქნება ყველა სოციალური ინვესტიციის პროგრამაზე, რომელიც RDI-ში გაერთიანდება.

თანამდებობა ითხოვს ზოგად გამოცდილებას განვითარების პროგრამებში და სოციალური პროგრამების გაანალიზების უნარს. ასევე მოეთხოვება პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, ტექნიკური რჩევების გაცემა, მოლაპარაკების უნარი.

მოვალეობები:
მრჩეველი **განვითარების საკითხებში** მოვალეა:
- დაგეგმოს და განახორციელოს RDI პროგრამა საქართველოში, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოების ძირითად საჭიროებებსა და ხელშესახებ სარგებელზე
- გაუწიოს მენეჯმენტი RDI პროგრამის მაღალი ხარისხისა და ეფექტურობის მისაღწევად
- მუდმივად იყოს პროგრამის მიმდინარეობის საქმის კურსში, ანგარიშებისა და რეგულარული საველე ვიზიტების მეშვეობით
- გამოავლინოს კონკრეტული პროგრამები და მოლაპარაკება აწარმოოს საქართველოს RDI პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთობლივად
- გაითვალისწინოს განვითარების სააგენტოების და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება RDI პროგრამის განსახორციელების პროცესში
- გაუწიოს მონიტორინგი RDI -ის ბიუჯეტის სწორ და გამჭვირვალე ხარჯვით პროცესს
- ეფექტურად გაავრცელოს RDI-ის მიზნები და მიღწევები როგორც ორგანიზაციაში ასევე მის ფარგლებს გარეთ
- დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი სამუშაო ურთიერთობა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, როგორც რეგიონებში, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში
- დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა მრავალმხრივ დონორ და დამფინანსებელ ორგანიზაციებთან; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და რეგიონში მოქმედ სხვა ენერგო კომპანიებთან კავკასიის რეგიონში
- დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის სათემო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილთან და ა.შ.

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ერთ ან რამდენიმე ჩამოთვლილ სფეროში: განვითარების ხელშეწყობა, განვითარების კრედიტები, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და ენერგეტიკა

სასურველია გამოცდილება ჰქონდეს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ თანამდმებობაზე , სტაბილურ არასამთავრობო ორგანიზაციაში სამთავრობო განვითარების სექტორში

აუცილებელია:
- მინიმუმ ხუთი წლის პროფესიონალური გამოცდილება მრავალმხრივ დონორულ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ პოზიციაზე (ე.ი. პასუხიხმგებელი ორგანიზაციის რეგიონალურ პროგრამებზე, სტრატეგიაზეი, მენეჯმენტზე და ა.შ.)
- მყარი გამოცდილება პროექტის/პროგრამის განხორციელებაში
- მინიმუმ 2 წლის სამუშაო გამოცდილება საქართველოში (შესაძლოა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკაში)
- გამოზცილება შემდეგ სფეროებში: დარგთაშორისი სამუშაო, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განვითარება, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებში, კერძო სექტორში; სესხების საშუალებებში, საზოგადოების განვითარება/მართვა, ენერგიტიკაში
- გამოავლინოს პროექტის მენეჯმენტის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდების ცოდნა

სასურველია:
- გამოცდილება კონსულტაციის სფეროში - გამოავლინოს ღრმა ცოდნა ორგანიზაციის განვითარების საკითხებში
- სხვადასხვა საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებთან/დონორებთან მუშაობის გამოცდილაბა - სხვადასხვა სტრატეგიას, უნარჩვევების და ა.შ. გამოვლენის უნარი

განათლება
- ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი შემდეგ სფეროებში: საერთაშორისო ურთიერთობები, განვითარება, ეკონომიკა, პოლიტოლოგია ან სხვა დაკავშირებულ სფეროში
- თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ და რუსულ ენებს; ქართული ენის ცოდნა აუცილებელია

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 23 დეკემბერი, ხუთშაბათი**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# არჩევნებამდე უკრაინაში მთელი რიგი ცვლილებებია

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ხელმეორედ გამართვამდე უკრაინის პოლიტიკურ წრეებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი რიგ ცვლილებებს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ალექსანდრ მედვედჩუკის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ. მოგვიანებით კუჩმამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია და მას "სავალალო შეცდომა თუ ხუმრობა" უწოდა. მედვედჩუკის ნაბიჯს კი სევასტოპოლში შვებულებაში მყოფი ვიქტორ იანუკოვიჩი "ღირსეულ ქმედებად" აფასებს. კუჩმას განცხადებით, პარასკევს გამართულ უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტსხდომაზე მედვედჩუკის გადადგომის საკითხი არ განხილულა. უმაღლეს რადაში კუჩმას მუდმივი წარმომადგენლის ალექსანდრ ზადოროჟნის თქმით, მედვედჩუკმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ თანამდებობას ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის დროს დატოვებდა. ამდენად, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ხელი მედვედჩუკის მიერ გამოთქმული მოსაზრების არასწორად აღქმამ შეუწყო, განაცხადა ზადოროჟნიმ. თუმცა, მედვედჩუკის გადადგომის შესახებ ინფორმაცია სწორედ უკრაინის სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ლეონიდ კრავჩუკმა გაავრცელა. მისი თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადება სავსებით ლოგიკურია, რადგან იწურება ლეონიდ კუჩმას მმართველობის ვადა. "განცხადება ნებაყოფლობით იქნა დაწერილი, რასაც ალექსანდრ მედვედჩუკი პარტიის პრობლემებზე ზრუნვით ხსნის,"- აღნიშნა კრავჩუკმა. პრეზიდენტის მიერ განცხადების დაუკმაყოფილებლობა კი სავარაუდოდ, რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით შეიძლება აიხსნას. იქვე, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პარტია აუცილებლად განაგრძობს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმეორებით კენჭისყრაზე ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურის მხარდაჭერას.



*პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტს პრეზიდენტის მოქმედების ვადის ოფიციალურ ამოწურვამდე ტოვებს ალექსანდრ მედვედჩუკი.*

## კითხვის ნიშნის ქვეშ დგება "უმაღლესი რადასთვის" უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხი

საერთო უკრაინული საზოგადოებრივი ორგანიზაცია "უსპეშნაია უკრაინა" უმაღლესი რადის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოდის. სააგენტო "რია ნოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეფერენდუმის ჩატარების საკითხი 17 დეკემბერს კიევში ორგანიზაციის შეხვედრაზე გადაწყდება. ორგანიზაციის განცხადებით, ამჟამინდელი პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ამ მოწვევის სახალხო დეპუტატთა დაბალი პროფესიონალიზმით არის ნაკარნახევი, რადგან მათ მიერ მიღებული კანონები სრულყოფილებისაგან ძალიან შორს დგას და მუდმივად იცვლება. გარდა ამისა, ორგანიზაციის ოფიციალურ მიმართვაში ნათქვამია, რომ "უმაღლესი რადას ამჟამინდელი შემადგენლობა იმ დროსაა არჩეული, როცა ზოგადად უკრაინელების ღირსების თვითშეგნება, ამჟამინდელთან შედარებით, გაცილებით დაბალ დონეზე იყო, ხოლო ზოგიერთმა დეპუტატმა საერთოდ დაივიწყა, რომ სახალხონი არიან". ამ მიმართვით ორგანიზაცია დახმარებას სთხოვს თანამოქალაქეებს ახალი პარლამენტის არჩევაში. "თუ რეფერენდუმის შედეგები დადებითი იქნება, ახალი სახალხო საკანონმდებლო ხელისუფლების ფორმირება უკვე მომავალი წლის პირველ ნახევარში იქნება შესაძლებელი". კანონით შემდეგი საპარლამენტო არჩევნები 2006 წლის 26 მარტს უნდა ჩატარდეს პროპორციულ საფუძველზე.

## არჩევნებისათვის მზადება

ლეონიდ კუჩმა უმაღლესი რადას მიერ მიღებულ "უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას" ხელს იმ პირობით მოაწერს, თუ 6 დეკემბერს "მრგვალი მაგიდის" შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობას ალყას მოხსნიან. უმაღლესი რადას მიერ გუშინ მიღებული შესწორების საფუძველზე ბიულეტენების დაბეჭდვა არა ადმინისტრაციის შენობაში, არამედ ორ პოლიგრაფიულ საწარმოში – ეროვნული ბანკის საბანკნოტო სასახლესა და პოლიგრაფიულ კომბინატში "უკრაინა" უნდა მოხდეს.

არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების ვადებსა და დამკვირვებლების თემას ეხებოდა გუშინდელი პრესკონფერენციაც, რომელიც ცესკო-მ გამართა. ცესკო-ს წევრის ანდრეი მაგერის პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, ამ დროისათვის ცესკო-ში უკვე 4 000 საერთაშორისო დამკვირვებელია რეგისტრირებული, რომელთა რიცხვი კიდევ გაიზრდება. რაც შეეხება არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას, სავარაუდოდ, იგი 31 დეკემბრამდე არ მოხდება. არჩევნების ახალი კანონის თანახმად, გასაჩივრების ვადა არჩევნების ჩატარებიდან ორი დღით განისაზღვრება. მაგერას განცხადებით, არაა გამორიცხული თანამოქალაქეებს ახალი წელი ახალმა პრეზიდენტმა მიულოცოს და მოვალეობის შესრულებასაც შეუდგეს.

### მოკლედ

## ტერორისტთა კიდევ ერთი რეიდი ჩრდილოეთ კავკასიაში

ნალჩიკში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ნარკოპოლიციის სამმართველოს სამორიგეო ნაწილზე თავდასხმა განახორციელეს. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის სამართალდამცველთა წინასწარი მონაცემებით, მოკლულია სამორიგეო ნაწილის ოთხი თანამშრომელი, გატაცებულია 36 ავტომატი, 136 პისტოლეტი და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალები.

ნალჩიკის ცენტრში მდებარე ყაბარდო-ბალყარეთის ნარკოპოლიცის სამმართველოს სამორიგეო ნაწილზე თავდასხმა 14 დეკემბერს დილის 5 საათზე განხორციელდა. თავდასხმის შემდეგ ბოროტმოქმედებმა შენობას ცეცხლი წაუკიდეს, რომელის ჩაქრობაც მეხანძრეებმა მხოლოდ სამი საათის შემდეგ მოახერხეს. ამჟამად, შემთხვევის ადგილზე ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს. ჯერჯერობით, დადგენილი არ არის თავდამსხმელთა რაოდენობაც.

როგორც ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით, რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, წინასწარი მონაცემებით, თავდამსხმელები ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ვაჰაბიტური მიმდინარეობის ერთ-ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას მიუკუთვნებიან. **ბი ბი სი**

## დემოკრატ სენატორებს ჯორჯ ბუშისადმი შეკითხვები დაუგროვდათ

ამერიკელი დემოკრატი სენატორები პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საქმიანობის გამოძიებას აპირებენ. დემოკრატთა ლიდერმა სენატში ჰარი რეიდმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის გამოძიებას 2005 წელს სენატის სპეციალური კომისია შეუდგება. **"ამერიკის საზოგადოებას ბუშთან ძალზედ ბევრი კითხვა დაუგროვდა, რომლებზეც დღემდე პასუხი არ მიუღია,"** - განაცხადა რეიდმა.

სენატის პოლიტიკის საკითხთა კომიტეტის ლიდერმა ბაირონ დორგანმა აღნიშნა, რომ "ჯორჯ ბუშის საკითხზე" პირველი მოსმენა იანვრის ბოლოს გაიმართება და იგი ერაყს მიეძღვნება. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ საპარლამენტო კომისიის გამოძიების შედეგები პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დასაწყებად არ უნდა იქნას გამოყენებული. ნევადელი სენატორი ჰარი რეიდი სენატში დემოკრატიულ უმცირესობას 16 ნოემბრიდან ხელმძღვანელობს. მას კონგრესში მუშაობის 22-წლიანი სტაჟი აქვს. რეიდის შეხედულებები აშშ-ის საშინაო და საგარეო-პოლიტიკის საკითხებზე, დემოკრატთა პოზიციას ძირითადად შეესაბამება. თუმცა, სხვა დემოკრატებისგან განსხვავებით, სენატორი ჰარი რეიდი აბორტებსა და იარაღით ვაჭრობაზე კონტროლის გამკაცრების წინააღმდეგია.**ინტერ-პრესი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაინტერესებულ პირებს იწვევს პროექტში**

## "მშობლის ხმა"

**მონაწილეობის მისაღებად**

**პროექტი გულისხმობს სასკოლო რეფორმის პროცესში მშობლების აქტიურ ჩართვას. ინფორმაციისთვის დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 959912 (0900 საათიდან - 1800 საათამდე).**

## პროექტი: "ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## აცხადებს კონკურსს

### არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთათვის მეთოდური მასალების შესაქმნელად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს **"ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში"**. პროექტის ფარგლებში იგეგმება მეთოდური მასალების შექმნა არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისათვის. კერძოდ, უნდა შემუშავდეს შემდეგი ტიპის მეთოდური სახელმძღვანელოები:

1. თეორიული ნაწილი (კომუნიკაცია);
2. წერის უნარ-ჩვევების განვითარება;
3. კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
4. მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
5. ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
6. ლექსიკური მასალის მიწოდება;
7. გრამატიკის სწავლება;
8. გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება.

აღნიშნული მეთოდური სახელმძღვანელოების შესაქმნელად შერჩეული იქნება 8 ექსპერტი

**ექსპერტთა მოვალეობანი:**

- თანაავტორთან ერთად პასუხისმგებელია ორი მეთოდური სახელმძღვნელოს პირველი ვერსიის შედგენაზე;
- მონაწილეობს ამ მეთოდური სახელმძღვანელოების პილოტირების პროცესში;
- პასუხისმგებელია მეთოდური სახელმძღვანელოების საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე;
- მონაწილეობს სხვა ექსპერტებთან ერთად მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის სავარჯიშოების კრებულის შედგენაში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში;
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის სტაჟი;
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა;
- სასურველია მეთოდურ სახელმძღვანელოებზე მუშაობისა და მეორე ენის სწავლების გამოცდილება;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერის ცოდნა.

**სამუშაოს დგილსამყოფელი, ხანგძლივობა და ხელშეკრულება:**

სამუშაო ადგილი თბილისი. ხელშეკრულება დაიდება 1 წლის ვადით. ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები და სამოტივაციო წერილი (CV, Cover Letter) ქართულ ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N308.

ტელეფონები: **95-70-49; 95-49-52 F**

**ელ.-ფოსტა: kaxagabunia@yahoo.com**

საკონტაქტო პირი **კახა გაბუნია.**

განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 29 დეკემბერი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის **პროექტის სახელწოდებისა** და **ლოგოს** შესაქმნელად.

პროექტი ითვალისწინებს:

- სკოლების აღჭურვას კომპიუტერებით;
- მასწავლებლების მომზადებას, რაც მათ სწავლის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას მისცემს;
- ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას;
- საქართველოს ყველა სკოლის ჩართვას ერთიანი ინტერნეტის ქსელში;
- სასწავლო კურიკულუმების შეცვლას
- კომპიუტერიზაციის პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაში მოიცავს საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლას.

**პროექტი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ესტონური წარმატებული პროექტის "ვეფხვის ნახტომის" მოდელით.**

**საკონკურსო პირობები:**

- ლოგო და პროექტის სახელწოდება სიმბოლურად უნდა ასახავდეს აღნიშნული პროექტის ძირითად არსს და საბოლოო მიზნებს:
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შეხამება ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პროფესიონალურ დონეზე და მნიშვნელოვნად აუმჯობესებდეს პროექტის იმიჯს.

**გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები:**

**ლოგო** - 250 ლარის ოდენობით

**პროექტის სახელწოდება** - 250 ლარის ოდენობით

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ესკიზები უნდა წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ოთახი N209 2004 წლის 30 დეკემბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

თბილისი, უზნაძის 52, ტელ: 96 98 31



# წმიდა სინოდის განჩინება

*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე გუშინ სხვა საკითხებთან ერთად დეკანოზ ბასილ კობახიძის, დეკანოზ მიქაელ ასათიანისა და მამა ზაზა თევზაძის საკითხიც განიხილეს. წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევებისა და თვითნებობის გამო, დეკანოზ ბასილ კობახიძეს მღვდელმოქმედების უფლება დროებით აეკრძალა. დეკანოზ მიქაელ ასათიანსა და მღვდელ მამა ზაზა თევზაძეს კი, ანტიეკლესიური ქმედებებისა და იერარქიისადმი დაუმორჩილებლობის გამო, გაფრთხილება მიეცათ.*

თამარ დვალი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომამდე ერთი დღით ადრე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ომბუდსმენის ოფისში შეიკრიბნენ და დეკანოზ ბასილ კობახიძის მხარდამაჭერი პრეს-კონფერენცია მოაწყვეს. მათი ინფორმაციით, წმიდა სინოდს დეკანოზ ბასილ კობახიძის განკვეთის საკითხი უნდა დაეყენებინა, რაც არ დადასტურდა. გუშინდელ სხდომაზე წმიდა სინოდმა დეკანოზ ბასილ კობახიძის, დეკანოზ მიქაელ ასათიანისა და მღვდელ მამა ზაზა თევზაძის საკითხი მართლაც განიხილა, თუმცა არც ერთი მათგანი არ განუკვეთავს.

როგორც ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა მეუფე გერასიმე შარაშენიძემ განაცხადა, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ პირველი გაფრთხილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 2003 წლის 18 აგვისტოს წმიდა სინოდის სხდომაზე მიიღო.

მიუხედავად ამისა, ის მაინც აგრძელებდა ანტიეკლესიურ გამოსვლებსა და ქმედებებს, რის გამოც, წმიდა სინოდმა მას მღვდელმოქმედების უფლება დროებით აუკრძალა. თუკი დეკანოზი ბასილ კობახიძე თავის შეცდომას მოინანიებს, მაშინ მას მღვდელმსახურების უფლება კვლავ აღუდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკლესია სხვა ფორმებს მიმართავს.

რაც შეეხება დეკანოზ მიქაელ ასათიანსა და მღვდელ მამა ზაზა თევზაძეს, ანტიეკლესიური ქმედებებისა და იერარქიისადმი დაუმორჩილებლობის გამო, წმიდა სინოდმა მათ პირველი გაფრთხილება მისცა.

დეკანოზი ბასილ კობახიძე აცხადებს, რომ მან ამ გადაწყვეტილების შესახებ ტელევიზიით შეიტყო.

**"წმიდა სინოდის მიერ ჩემ მიმართ გამოტანილი დადგენილება უსაფუძვლო და უკანონოა. როდესაც სასულიერო პირის საკითხს განიხილავენ, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ამ სხდომას დაესწროს. სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, იქნებ ჩემი ახსნა-განმარტებაც მოესმინათ. მე და ჩემი მეგობრები რუსეთის სპეცსამსახურების ქართულ ეკლესიაზე გავლენას ვეწინააღმდეგებით. იგივე წმინა სინოდში არიან ეპისკოპოსები, რომლებიც, საეკლესიო სამართლის მიხედვით, თავად იმსახურებენ განკვეთას. სამეგრელოსა და ცაიშის ეპისკოპოსს მეუფე გერასიმეს, რომელმაც ჩემი მღვდელმსახურების აკრძალვის საკითხი საჯაროდ განაცხადა, სღვთისმეტყველო განათლება საერთოდ არ აქვს მიღებული. ჩვენ საპატრიარქოში მოკალათებული კლანებისა და მათი შავბნელი საქმეების შესახებ გავაკეთეთ განცხადება და სწორედ ამიტომ გამოგვიტანეს ეს განჩინება. როგორც მე ვიცი, სწორედ ეს ხალხი ამყოფებს პატრიარქს ინფორმაციულ ვაკუუმში. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სინოდის გადაწყვეტილება უკანონო და უსაფუძვლოა, მე მას მაინც ვემორჩილები",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისასა დეკანოზმა ბასილ კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ მღვდელმსახურების აკრძალვა გულისხმობს საეკლესიო საიდუმლოებების ჩატარების აკრძალვას. დღეიდან დეკანოზ ბასილ კობახიძეს არ ექნება უფლება, აღავლინოს წირვა-ლოცვა, მონაწილეობა მიიღოს ჯვრისწერის, ნათლობისა და აღსარების საიდუმლოში.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე გუშინ განხილული იყო სხვა საკითხებიც. როგორც წმინდა სინოდის სხდომიდან გამოსულმა მეუფე გერასიმემ განაცხადა, წმინდა სინოდმა იმსჯელა საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ; მოისმინა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დანიელის, ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსის ისაიას ინფორმაცია ეპარქიებში არსებული მდგომარეობის შესახებ; გაკეთდა მიმართვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების, აფხაზებისა და ოსების მიმართ, რომ, პატრიარქის კურთხევით, 25 დეკემბერს სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს მოსახლეობის მონანიებისა და ურთიერთშერიგებისათვის ჩატარდება წირვა-ლოცვა. სხდომაზე, ასევე, განიხილეს რადიკალიზმისა და ლიბერალიზმის გამოვლენის საკითხი; სასულიერო აკადემიაში შექმნილი ვითარების შესახებ არ უმსჯელიათ.

# 4 ათასი ავარიული სახლი სამ წელიწადში უნდა განახლდეს

ნანა ქადაგიშვილი

*მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის მოსამზადებლადაც თბილისის მთავრობას ორ წელიწადზე მეტი დასჭირდა, დაზარალებულთა პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალური მშენებლობების დაწყებას ითვალისწინებს.*
*"ამ საკითხებზე ადრევე რომ ემუშავა, ქალაქის მთავრობას დღეს 500-600 ბინა მაინც ექნებოდა", – აცხადებს საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელობა. მუნიციპალური მშენებლობის აღდგენას, კარგა ხანია, საკრებულოშიც ითხოვენ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მუნიციპალური მშენებლობის მოლოდინში.*

მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამა ქალაქის ავარიული სახლების აღსადგენად მომავალი წლის ბიუჯეტში 27 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. აქედან 10 მილიონი ლარი მრავალსართულიანი სახლების აღდგენას უნდა მოხმარდეს, 7 მილიონი – გამგეობებზე გადანაწილდეს, დარჩენილი 10 მილიონი კი მუნიციპალური მშენებლობებისთვის არის განკუთვნილი. როგორც ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული განმარტავს, მუნიციპალური მშენებლობა საქმეში ინვესტორების ჩართვასაც გულისხმობს. **"ინვესტორებთან მუშაობა დაწყებულია. ქალაქის მთავრობის წინადადებით უკვე ბევრი ინვესტორი დაინტერესდა - ქართველებიც და უცხოელებიც",** – აცხადებს ქურხული. თუმცა, საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ქალაქის მთავრობა უპირატესობას უცხოელ ინვესტორებს ანიჭებს.

ბოლო მონაცემებით, თბილისში მიწისძვრის შედეგად 22 ათასი სახლია დაზიანებული. მათ აღდგენას 300 მილიონი ლარი სჭირდება. 22 ათასიდან განსაკუთრებით ავარიულია, თითქმის, 4 ათასი. ქალაქის მთავრობა მათ რეაბილიტაციას სამ წელიწადში ვარაუდობს და, ძირითადად, სწორედ მუნიციპალურ მშენებლობებზე ამყარებს იმედს; მომავალი წლისთვის, ამ გზით, 600 ოჯახის დაბინავებას გეგმავს, ოღონდ მუნიციპალური მშენებლობების განვითარებისთვის, რეაბილიტაციის პროგრამის მომზადების გარდა, კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელ-დასაზუსტებელი.

**"მუნიციპალური მშენებლობის აღდგენის საკითხს საკრებულოში, კარგა ხანია, ვაყენებდი. ეს ავარიული სახლების პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო გამოსავალია. თუმცა, მუნიციპალური მშენებლობის განხორციელების ფორმა ჯერ კიდევ დასადგენია, განსაკუთრებით - ქალაქის ისტორიულ ნაწილში. თბილისის ისტორიულ ზონაში ინვესტორის დაინტერესების საშუალებებია მოსაძებნი",** – აცხადებს საკრებულოს წევრი გიგა ლორთქიფანიძე.

თბილისში აღრიცხულია 758 ნაგებობა, რომელთაც ისტორიული ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. მათგან 90 პროცენტი საცხოვრებელი სახლია და უმრავლესობა -ავარიული. ზოგიერთის აღდგენა უკვე შეუძლებელიც კია. მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამა ისტორიულ ძეგლთა სიის გადასინჯვას მოითხოვს. გარდა ამისა, ქალაქის მთავრობას დაგეგმილი აქვს, რომ ძეგლად აღრიცხული საცხოვრებელი შენობები მოსახლეობისგან გამოთავისუფლდეს და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებად გადაკეთდეს, რათა ისტორიული უბნით ინვესტორების დაინტერესება გაიზარდოს. თუმცა, ინვესტორთა მოსაზიდად მხოლოდ ეს არ კმარა. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქალაქის ისტორიულ ზონაში მრავალსართულიანი სახლების აშენება აიკრძალა. ამიტომ, ინვესტორს რაღაც სხვა უნდა შესთავაზო. ეს სხვა კი, ერთ-ერთი ვერსიით, საგადასახადო შეღავათების დაწესებაა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქალაქის მთავრობა საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს უკვე ამზადებს. თუმცა, რამდენად მისაღები აღმოჩნდება ეს იდეა პარლამენტისთვის, ჯერ უცნობია.

# განცხადება

**"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:**

**მოსამართლის თანაშემწე** - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 125 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს, რომელსაც, როგორც წესი, გავლილი აქვს სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე ადვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კონკურსს ატარებს გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. № 1 ა. ტელ: 62 96 42.

*საჯარო სამსახურის ბიურო*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

# განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის II პროექტისათვის (სსიფ II) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს ამ თანხის ნაწილით დააფინანსოს ***ქ. ხობის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.***

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა (სსიფ II) გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ქ. ხობის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ხოპი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ხოპი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N185.*
*ქ. ხობის საკრებულო*
*საკონტაქტო პირი შალვა კალანდია, სათემო კავშირი "ხოპი"-ს თავმჯდომარე*

*2004 წლის 17 დეკემბრიდან* 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 600*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N185.*
*ქ. ხობის საკრებულო*
*საკონტაქტო პირი შალვა კალანდია, სათემო კავშირი "ხოპი"-ს თავმჯდომარე*

*2004 წლის 17 იანვარს 14 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***14:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტი "ბიუჯეტის მონიტორინგი"

პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam - ის საქართველოს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით

**საპენსიო დავალიანების დაფარვის ახალმა მექანიზმმა უბრალო პენსიონერი 41 ლარით დააზარალა**

პენსიების თემა აქტუალობას, არც ამჟამად კარგავს ეს არც არის გასაკვირი. ყოფილმა ხელისუფლებამ წლების განმავლობაში დაახლოებით 125 მილიონი ლარის საპენსიო დავალიანება დააგროვა. ყოფილი მთავრობა ვალის დაგროვების პარალელურად დაპირებებსაც აგროვებდა. მუდმივად აცხადებდნენ, რომ საპენსიო დავალიანებებს აუცილებლად გაისტუმრებდნენ, დღევანდელი გადასახედიდან კი აშკარაა, რომ დაპირებები ცარიელი სიტყვები იყო. პენსიონრების კუთვნილი თანხები კვლავაც გასასტუმრებელია.

ახალი მთავრობის მხრიდან ძველთან შედარებით მიმდინარე პენსიების დროული გაცემა დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ წინა პლანზე წამოწია საპენსიო დავალიანების საკითხი და მათი ნაწილის დაფარვაც განახორციელა. თუმცა დავალიანებიდან გარკვეული თანხები კვლავაც დაფარვას საჭიროებს. ამჟამად ყურადღებას ვალზე მეტად თავად დავალიანების დაფარვის მექანიზმი იპყრობს.

საქართველოში პენსიებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გასცემს და შესაბამისად მისი ხარჯების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საპენსიო ხარჯები წარმოადგენს. თუმცა 2005 წლიდან ეს უწყება აღარ იარსებებს. 2004 წელს საქართველოს მთავრობა პენსიებისათვის 301 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავდა. 11 თვის მონაცემებით კი ფონდის მიერ გაცემული იქნა 275 მილიონი ლარის პენსიები, შესაბამისად წლიური გეგმა 89 პროცენტითაა შესრულებული და მის სრულად შესრულებას 35 მილიონი ლარი აკლია. აღნიშნულ ხარჯებში შედის ასევე ის თანხები, რომლებიც წინა პერიოდის საპენსიო დავალიანებათა დასაფარავად იქნა დახარჯული. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ წინა პერიოდის საპენსიო დავალიანებათა დასაფარავად 13 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულია დაახლოებით 84 მილიონი ლარი.

საპენსიო დავალიანების დასაფარავად საქართველოს მთავრობამ გარკვეულ ღონისძიებებს მიმართა. 2004 წლის 19 აპრილს მიღებული იქნა დადგენილება "პენსიონერთა მიმართ ბოლო წლებში დაგროვებულ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივად დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ", რომლის შესაბამისად საპენსიო დავალიანების დაფარვის მიზნით პენსიონერებს აპრილიდან დაუწესდათ დანამატი 3 ლარი, მაისიდან 4 ლარი, ივლისიდან 6 ლარი. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების შესაბამისად კი იმ პენსიონერებს, რომელთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანება არ გააჩნია ასევე დაუწესდათ აღნიშნული დანამატები. მთლიანობაში, მოცემული დადგენილების შესაბამისად 11 თვის მონაცემებით დაახლოებით 21 მილიონი ლარის საპენსიო დავალიანება იქნა გასტუმრებული. შეიძლება ითქვას, რომ იმ პენსიონერებმა, რომელთაც დავალიანება ჰქონდათ, აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით 41 ლარით ნაკლები მიმდინარე პენსია მიიღეს, ვიდრე დავალიანების არმქონე პენსიონერებმა, რადგან აღნიშნული თანხა დავალიანების დაფარვაში ჩაეთვალათ. ანუ 21 მილიონი ლარით დაზარალდნენ ის უბრალო პენსიონერები, რომელთაც თავისდროზე არ ჰქონდათ ნაცნობ-ნათესაური კავშირები, რათა მიეღოთ კუთვნილი პენსია.

ასევე, აღსანიშნავია 2004 წლის 26 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის N348 განკარგულება, რომლის მიხედვით, გია ჯოხთაბერიძისათვის ჩამორთმეული თანხებით (15,3 მილიონი ლარი) დაფარული იქნა 2003 წლის ერთი თვის საპენსიო დავალიანება.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საკუთარი შემოსავლების მკვეთრი ზრდის ფონზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მცირდება საპენსიო ტრანსფერტების რაოდენობა. 11 თვის განმვალობაში ტრანსფერტის ოდენობამ წლიური გეგმის მხოლოდ 57 პროცენტი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით შემცირდა, როდესაც ცენტრალური ბიუჯეტიდან სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები 2,5 ჯერ არის გაზრდილი და მათ შორის განსაკუთრებულად გამოიყოფა ოფისის ხარჯები და ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვა, რომლებიც ჩინოვნიკების კეთილდღეობისთვის არის საჭირო. რაც შეეხება ***კაპიტალურ ხარჯებს იგი წინა წლის 11 თვესთან შედარებით 47-ჯერ არის გაზრდილი***. ამ ხარჯების ზრდის ნაცვლად საპენსიო ტრანსფერტების თუნდაც დაგეგმილი ოდენობის სრულად ჩარიცხვის შეთხვევაში პენსიების დავალიანებები შეიძლებოდა წლის ბოლომდე აღარც დარჩენილიყო.

***მიუხედავად საპენსიო დავალიანებების დაფარვისა მაინც იკვეთება მთავრობის არასწორი პოლიტიკა. სახელმწიფო ცდილობს საპენსიო დავალიანებების დაფარვას წართმეული თანხებითა და ვითომ გაზრდილი პენსიების ხარჯზე, მაშინ როდესაც საკუთარი უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები (ხელფასები, მივლინებები, ოფისის და განსაკუთრებით კაპიტალური ხარჯები) რადენჯერმე იზრდება. ამ სახსრების ეკონომიის ხარჯზე შეიძლებოდა იმ მცირედით გაზრდილი პენსიის მთლიანად გაცემა (დავალიანებაში ჩაუთვლელად) და ამასთან ძველი დავალიანებების სრულად დაფარვა.***


საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის
პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით
პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ნებართვა"
გზამკვლევი უფასოა
ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail : office@economists.ge
IRIS პროექტი ხორციელდება "აირის საქართველო"-ს მხარდაჭერით
USAID

# შევარდნაძის მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო განიხილავს

## მოპასუხე კი დღევანდელი პრეზიდენტია

*"არ გიპასუხებთ," – საოლქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე, მოსარჩელის მიერ დასმულ შეკითხვებს საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი, ძირითადად, ამ პასუხს აძლევდა. მოპასუხე მხარეს - ამჟამინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომლის მაგივრადაც, პროცესში მისი წარმომადგენელი მონაწილეობს, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომის გამო უწევს პასუხის გაცემა. სავარაუდოდ, ალბათ, ამიტომაც, პრეზიდენტის წარმომადგენელს ედუარდ შევარდნაძის ნამოქმედარზე პასუხი არ გააჩნია.*

საქმე ისაა, რომ საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის შემადგენლობა, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 1997 წლის 25 ივლისს გამოცემული №387 ბრძანებულების კანონიერების საკითხს განიხილავს. ხსენებული ბრძანებულებით, პარლამენტის მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე სამი თვით ადრე, ედუარდ შევარდნაძემ 54 სიკვდილმისჯილი შეიწყალა. სხვათა შორის, ბრძანებულების გამოცემის მომენტში საქართველოში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი იყო გამოცხადებული (მორატორიუმი ევროსაბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, 1995 წელს გამოცხადდა) და შევარდნაძის ბრძანებულების გარეშეც, სასჯელის აღსრულება არც ერთ სიკვდილმისჯილს არ ემუქრებოდა, მეტიც, ბრძანებულების გამოცემის მომენტში პარლამენტი უკვე განიხილავდა კანონს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და ეს ცვლილება მალევე მიიღეს.

ედუარდ შევარდნაძემ კი, №387 ბრძანებულების გამოცემით, მდგომარეობა დაუმძიმა 54-ვე შეწყალებულს – ზვიადისტ პატიმრებს. საქმე ისაა, რომ შევარდნაძემ მოსამართლის ფუნქციაც იტვირთა და მისი ბრძანებულებით, 54-ვე პატიმარს 20 წელი მიუსაჯა, რითაც მან კონსტიტუცია და სხვა კანონების მოთხოვნაც დაარღვია, რადგან შეწყალების შემდეგ, სასჯელის დანიშვნის პროცედურა უზენაეს სასამართლოს უნდა ჩაეტარებინა. სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლით, პრეზიდენტის მიერ შეწყალებული სიკვდილმისჯილებისთვის სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა მოსამართლეს უნდა განესაზღვრა. მაშინდელი კანონმდებლობით კი, რადგანაც სასჯელის უმაღლესი ზომა 15 წელი იყო, 54-ვე შეწყალებული პატიმრისთვის კანონით, არა 20 წელი, არამედ 15 წელი უნდა შეეფარდებინათ. "თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე" (საქართველოს კონსტიტუცია მუხ-18 მე-2 ნაწ.); "სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით" (საქართველოს კონსტიტუცია მუხ. 84 მე-5 ნაწ.); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი კი განმარტავს, რომ "განაჩენსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით". სხვათა შორის, №387-ე ბრძანებულებაზე დართულ დებულებაში, რომელსაც, ასევე, შევარდნაძე აწერს ხელს, ნათქვამია, რომ ბრძანებულება შესასრულებლად უნდა გადასცემოდა უზენაეს სასამართლოს, რომელსაც შესრულების ცნობა პროკურატურისა და შსს-სთვის უნდა გადაეგზავნა. იმის გამო, რომ ეს სამართლებრივი პროცედურა არ ჩატარებულა, 54 პატიმარი ე.წ. "კრიტში", რეჟიმის განსაზღვრის გარეშე შეასახლეს, მათ საპატიმრო რეჟიმი არც ახლა აქვთ განსაზღვრული, რაც, ასევე, კანონის უხეში დარღვევაა. მეტიც, პატიმრებს აქტი, დოკუმენტი, რომლითაც მათი შეწყალება მოხდა არც კი ჩაბარებიათ.

და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი – 54 პატიმარი ჰუმანურმა პრეზიდენტმა ისე შეიწყალა, რომ მისთვის ამის შესახებ თხოვნით არავის მიუმართავს. შევარდნაძის ბრძანებულების შემდეგ კი, მათ დაკარგეს უფლება, მიმართონ შეწყალების კომისიას, რადგან ერთხელ შეწყალებულის საქმეს კომისია მეორედ აღარ განიხილავს. ერთი სიტყვით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ მაშინდელი შეწყალების აქტით, რომელიც უფრო პოლიტიკური სვლა გახლდათ, პატიმართა მდგომარეობა სერიოზულად დაამძიმა.

შევარდნაძის მიერ გამოცემული №387 აქტი, როგორც უკანონო, ამ ბრძანებულებით შეწყალებული ერთ-ერთი პატიმრის ირაკლი კერესელიძის მიერ გასაჩივრებულია საოლქო სასამართლოში. სასარჩელო განცხადება საოლქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო და სავარაუდოდ, უკვე დღეს ცნობილი გახდება, ცნობს თუ არა საოლქო სასამართლო შევარდნაძის უკანონო ბრძანებულებას ბათილად.

*24 საათი*

„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის
მშენებლობის ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი
დაბალი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზეთანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები
„ცენტრ პოინტი" საუკეთესო არჩევანი!
თქვენ ეს დაიმსახურეთ!
წლის საუკეთესო პროექტი


სათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217 232260
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge

# პროკურატურა დარჩენილებს აკითხავს

## აჭარაში ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავების ახალი სერიალი დაიწყო

აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის მაღალჩინოსანთა დაკავების ახალი ეტაპი დაიწყო. გუშინ, გვიან ღამით, რამდენიმესაათიანი დაკითხვის დასრულებისთანავე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ასლან აბაშიძის "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" პოლიტიკური მდივანი და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი თეიმურაზ მეგრელიშვილი პროკურატურიდან წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. თეიმურაზ მეგრელიშვილი ბოლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე იმყოფებოდა.

პროკურატურა მას "ვარდების რევოლუციის" დროს, ნოემბრის თვეში, აჭარის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1 მილიონ 100 ათასი ლარის უკანონოდ ხარჯვას ედავება. პროკურატურის მტკიცებით, ეს თანხა თბილისში "აღორძინების" მიტინგის ორგანიზებას მოხმარდა. თეიმურაზ მეგრელიშვილს ბრალი გუშინვე წარუდგინეს.

თეიმურაზ მეგრელიშვილის დაკავებამდე ორი დღით ადრე, აჭარელმა სამართალდამცველებმა ასლან აბაშიძის რეჟიმის კიდევ ორი მაღალჩინოსანი დააკავეს. აჭარის ფინანსთა ყოფილი მინისტრი იასე ჩავლეიშვილი და მინისტრთა საბჭოს იმჟამინდელი თავმჯდომარე რეზო შამილიშვილი. თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება, რის შედეგადაც ბიუჯეტმა მილიონ 100 ათასი ლარით იზარალა – ასეთი გახლავთ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის წარდგენილი ბრალდება.

აჭარის ფინანსთა ყოფილი მინისტრის იასე ჩავლეიშვილსა და მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის რეზო შამილიშვილს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე კარგა ხნის წინ აღიძრა. თანხები, პროკურატურის მტკიცებით, "ვარდების რევოლუციის" დღეებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან თბილისში, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მხარდასაჭერი აქციისთვის დაიხარჯა.

გავრცელებული ინფორმაციით თბილისში გამართული აქციის მონაწილეებს აღნიშნული თანხიდან ყოველდღიურად 20-20 ლარს ურიგებდნენ.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა გალის რაიონის სოფელ განმუხურის მკვიდრი, 32 წლის ჯულიეტა ხალვაში დააკავეს. მას თბილისი-ზუგდიდის მატარებლით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსი" გადაჰქონდა. სამართალდამცავთა განცხადებით, დაკავებული ადრეც იყო ექვმიტანილი მსგავს საქმიანობაში. სამართალდამცავებს ჯულიეტა ხალვაშმა განუცხადა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსის" სხვა პარტიას ზუგდიდში მსუბუქი ავტომანქანით ჩაიტანდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის მცდელობის ორი ფაქტი აღკვეთეს. საპყრობილის საამანათოში 19 წლის ზურაბ ო-შვილი დააკავეს, რომლის მიერ მიტანილ ამანათში 0,77 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება "ოპიუმი" აღმოაჩინეს. ნარკოტიკი მაიონეზის სალათში იყო მოთავსებული. ამანათი კი პატიმარ ზურაბ ოქრუაშვილისთვის იყო განკუთვნილი. ასევე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის თანამშრომლებმა პატიმართან პაემანზე მისული 22 წლის გიორგი გ-შვილის ფეხსაცმელში 0,52 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსი" აღმოაჩინეს. იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის ინფორმაციით, გიორგი გ-შვილს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

სტრუქტურული გადახალისებისა და ადმინისტრაციის ოპტიმიზაციის შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (და არა მინისტრთა საბჭო) შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

მთავრობის თავმჯდომარე - ირაკლი ალასანია.

მოადგილეები: გიორგი ჩიქოვანი (პირველი მოადგილე), ირაკლი გეგეჭკორი, დავით ცანავა, სვეტლანა ქეცბა.

მინისტრები: ელგუჯა ბერია – ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, კოტე კუჭუხიძე – ეკონომიკის მინისტრი, ზურაბ კოკაია – განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი, კახა აქიშბაია - ფინანსთა მინისტრი.

როგორც ვხედავთ 11 სამინისტროდან დარჩა მხოლოდ ოთხი. გაუქმებულია ლტოლვილთა და განსახლების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ინფორმაციის სამინისტროები და პროკურატურა. უშიშროების სამინისტრო გადაკეთდა მთავარ სამმართველოდ და უშუალოდ დაექვემდებარა ცენტრალურს.

შეიქმნა 7 დეპარტამენტი.

უფროსები: ირაკლი ტაბლიაშვილი – საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტი, გიორგი თევზაძე – საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, გაიოზ ბენიძე – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტი, პაატა კაკულია – იუსტიციის დეპარტამენტი, უჩა ზაქარაია – საგანგებო დავალებათა დეპარტამენტი, გურამ ესაკია – სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი. დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის სავარძელი, ჯერჯერობით, თავისუფალია.

*24 საათი*

ცხოვრებისეული ისტორიები

## მოსკოვში ტერორისტებად მონათლულები

მე ვარ 27 წლის, წარმოშობით - აფხაზეთიდან. ისე მოხდა, რომ ომის შემდეგ, ოჯახთან ერთად მოსკოვში წავედი და მას შემდეგ იქ ვცხოვრობთ.

უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს გახშირებული ტერორისტული აქტების შემდეგ მოსკოვის მცხოვრებლებს ძალიან ეშინიათ შავებში ჩაცმული ადამიანების. მე ეს ჩემს თავზე გამოვცადე მაშინ, როდესაც მე და ჩემს ახლობლებს, საერთო ნათესავი გარდაგვეცვალა, მას ვგლოვობდით და ამიტომ, ჩვენი წესისამებრ, ყველანი ერთიანად შავებში ვიყავით ჩაცმულები.

კარგად მახსოვს, ქუჩაში სიარულის დროს გამვლელები როგორი შიშნარევი თვალებით გვიყურებდნენ. არა, მათ კი არ ვძულდით, უბრალოდ, ეშინოდათ ჩვენი.

ისინი ბრუნდებოდნენ ჩვენს დანახვაზე, კარგად გვაკვირდებოდნენ და ისე გვათვალიერებდნენ, თითქოს ჩვენ ტერორისტი-შაჰიდი ქალები ვყოფილიყავით.

მახსოვს, ერთხელ მივდივართ ჩვენთვის ქუჩაში, შავებში ჩაცმულები, მოწყენილები. ხელში რაღაც პროდუქტები გვიჭირავს. შევამჩნიეთ, ჩვენს საპირისპიროდ მოდის მამაკაცი -თითქოს ნორმალური, სოლიდურად ჩაცმული და გვიყურებს, თვალს არ გვაცილებს. როდესაც გაგვისწორდა, გვერდზე ჩავლისას, არ ვიცი ხუმრობით თუ სერიოზულად, თქვა: "შეიძლება, მოგმართოთ თქვენს დამკრძალავ ბიუროში?". ეს მან ძალიან ცინიკური ინტონაციით ჩაილაპარაკა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გვეწყინა, მაგრამ არ მივაქციეთ ყურადღება, რადგან ჩვენ თვითონაც ძალიან შეშინებული ვიყავით ამ ტერორისტებისგან.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ჩემმა ახლობლებმა ოფისი დავიქირავეთ და მუშაობა ერთად დავიწყეთ. ყოველდღე დავდივართ ოფისში, ვმუშაობთ. გავიდა გარკვეული ხანი და ერთ დღესაც ჩვენთან ოფისში მოდის მამაკაცი და გვეუბნება, რომ მოსულია **ФСБ**-ის წარმომადგენელი და უნდა შეამოწმოს ჩვენი პასპორტები. თან გვთხოვა, ქვედა სართულზე ჩავსულიყავით იმ პიროვნებასთან შესახვედრად, რადგან ვილაცამ დარეკა და დაგასმინათ, რომ ამ ოფისში, 507-ე ოთახში გამოჩნდნენ კავკასიური წარმომავლობის ტერორისტებიო.

სხვა რა გზა იყო? ჩვენ ყველანი გაოცებულები და შეშინებულები ჩავედით ქვევით.

შევედით ოთახში, სადაც მაგიდასთან იჯდა სწორედ ის, **ФСБ**-ის წარმომადგენელი მამაკაცი. მან გამჭოლი, დაკვირვებული მზერით შემოგვხედა და თითქოს მაშინვე მიხვდა, რომ არავითარი ტერორისტები ჩვენ არ ვიყავით.

მერე გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. მე ისიც კი ვუთხარი, რომ ძალიან კარგია ასე რომ ამოწმებთ ყველას, იმიტომ რომ მე თვითონ კავკასიელი ვარ და მეც ძალიან მეშინია ტერორისტებისა და ახალი აფეთქებების-მეთქი.

ყოველი შემთხვევისთვის, პასპორტების ასლები მაინც გადაგვაღებინა. მერე ბოდიშიც მოგვიხადა და გვითხრა, რომ ვილაც უცნობი მამაკაცი მივიდა მათთან და უთხრა, რომ შავებში ჩაცმული ქალები რაღაც გაუგებარ ენაზე საუბრობენ და ამა და ამ ოთახში აქვთ ოფისი გახსნილიო.

**"აი, ამიტომ მოვედით ჩვენ ФСБ-ის წარმომადგენლები თქვენს შესამოწმებლად. ახლა თავისუფლები ხართ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ. თქვენი სახეებიდანაც ჩანს, რომ თქვენ ტერორისტები არა ხართ, ძალიან სანდომიანი ღიმილი გაქვთ,"** - გვითხრა გამომშვიდობებისას **ФСБ**-ის წარმომადგენელმა.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*
*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*
*"აუდიოდღიურები" მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*

მოკლედ

### ახალი თავმჯდომარე

გუშინ სოხუმში ახლადარჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომამ ცესკო-ს ახალ თავმჯდომარედ ბათავ ტაბალუა აირჩია, რომელიც სოხუმის ხელისუფლებაში იუსტიციის ექს-მინისტრი იყო.

ტაბალუას მოადგილედ თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის აპარატის უფროსი ალექსანდრე ადლეიბა, მდივნად კი ფატიმა დაუქია აირჩიეს.

გუშინდელ სხდომაზე ცესკო-მ აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ვერ განსაზღვრა. სავარაუდოდ, ამ თარიღს ცესკო დღეისთვის დანიშნულ სხდომაზე დაადგენს.

პრეზიდენტობის კანდიდატებს, სერგეი ბაგაფშსა და რაულ ხაჯიმბას შორის 6 დეკემბერს მიღწეული შეთანხმებით, საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 13 იანვრამდე უნდა გაიმართოს.

სოხუმის ხელისუფლების ცენტრალური საარჩევნო კომისია 15 წევრით დაკომპლექტდა, რომელთაგან 7 პრეზიდენტმა არძინბამ, 8 კი არაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა. **ინტერ-პრესი**

### არძინბას კადრები

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას განკარგულებით, სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრად ისევ სერგეი შამბა დაინიშნა. ასევე, არძინბას დღევანდელი განკარგულებით, სოხუმის ხელისუფლების პირველი ვიცე-პრემიერის პოსტი ვიქტორ ხიჩეფსკიმ დაიკავა, რომელიც სახელმწიფო კომპანია "აფხაზეთის ავიახაზების" დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. აღნიშნულ განკარგულებებს არძინბამ დღეს მოაწერა ხელი.

რაც შეეხება სერგეი შამბას, მან საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება ივნისში დაწერა. მან 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და სერგეი ბაგაფშისა და რაულ ხაჯიმბას შემდეგ, ხმათა რაოდენობით მესამე ადგილი დაიკავა. მას ხმა დაახლოებით 6000-მდე ამომრჩეველმა მისცა.

ამ შუალედში სერგეი შამბამ აფხაზეთში სოციალურ-დემოკრატიული პარტია დააარსა და მისი თავმჯდომარის პოსტიც დაიკავა. **ინტერ-პრესი**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## რუსეთმა აფხაზი ხალხი შეურაცხყო

ზაზა ფაჩუაშვილი

*აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის სერგეი ბაგაფშის კატეგორიული განცხადებები ინაუგურაციის გამართვის შესახებ არც ისე მტკიცე აღმოჩნდა, როგორც ჩანდა. მან ბოლო წამს შეცვალა გადაწყვეტილება და აფხაზეთში ახალი არჩევნები ინიშნება. რა იყო ამის მიზეზი და რა არის მოსალოდნელი, ამის შესახებ გვესაუბრება ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*პაატა ზაქარეიშვილი "24 საათის" რედაქციაში.*

**- ბატონო პაატა, რატომ შეცვალა ბაგაფშმა ბოლო წამს გადაწყვეტილება ინაუგურაციის შესახებ?**

- რუსეთმა ბოლო წუთს გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. ის ვერ შეურიგდა იმას, რომ ბაგაფში მისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. თუ აფხაზეთში გავიდოდა ის, რაც მოხდა საქართველოში და რაც მაგალითი გახდა უკრაინისთვის, მაშინ მთელი კავკასია შეეცდებოდა მსგავსი რევოლუციებით რუსეთიდან თავის დაძვრენას.

ბაგაფში მოსკოვში რამდენჯერმე დაიბარეს, მოეფერენ, დაუყვავეს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს და დაიწყეს შანტაჟი. დახურეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი და მიანიშნეს ბაგაფშს, თუ როგორი აფხაზეთის მართვა მოუწევდა ურჩობის შემთხვევაში. დაანახეს, რომ აფხაზეთში რუსეთის მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი გარკვეული ეკონომიკური პირობები და აგრძნობინეს, თუ რას ნიშნავდა ნამდვილი ეკონომიკური ბლოკადა.

**- ეკონომიკური ბლოკადა აფხაზებისთვის უცხო ხილი არ უნდა ყოფილიყო**.

- საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ თავის დროზე გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადა სასაცილოა, არ მუშაობს, მაგრამ ეს სხვა თემაა. რაც შეეხება ბაგაფშს, მოსკოვი მის პირად შანტაჟსაც არ მოერიდა. დააპატიმრეს ბაგაფშის კომპანიონი და ამით სერიოზული საფრთხე შეუქმნეს მის ბიზნესს. შედეგად ბაგაფში ძალიან გამოიცვალა, ყველაფერს თმობს, არავის ეკონტაქტება. ამის გამო მის გარშემო მყოფი ადამიანები გაწბილებულები და გაოგნებულები არიან.

**- გამარჯვებულია ისევ რუსეთი?**

- რუსეთმა წარმატებას კი მიაღწია, მაგრამ ვაი ამ წარმატებას. აფხაზი ხალხის ღირსების შელახვითა და მის სულში ჩაფურთხებით, რუსეთმა აფხაზეთში სახელი ძალიან გაიფუჭა. აფხაზი ხალხი მიხვდა, რომ რუსეთს არანაირად არ აინტერესებს აფხაზეთის განვითარება. აფხაზეთის ბატონ-პატრონი იყო კრასნოდარის გუბერნატორი. ამდენად აფხაზებისთვის დღეს რუსეთი გახდა აგრესიული სახელმწიფო. ამ ფონზე საქართველო მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. ამიტომ რუსეთი ყოველნაირად ეცდება, წამოაგოს საქართველო გარკვეულ პროვოკაციებზე, რათა დაუბრუნოს მას აგრესიული იმიჯი.

**- ჩვენ რა უნდა დავუპირისპიროთ რუსეთის ამ განზრახვას?**

- ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ გონიერება და განვაცხადოთ, რომ აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური სანქციები ხელს არ გვაძლევს და ფორმალურად, მაგრამ მაინც მოვხსნათ გამოცხადებული ბლოკადა. ჯერ ერთი, ეს იმიტომ არის საჭირო, რომ რუსეთს აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის ბერკეტი ხელიდან გამოვაცალოთ, და მეორეც, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეგვეძლოს აფხაზი ხალხისთვის დახმარების ხელის გაწოდება.

**- რატომ არ მუშაობს გამოცხადებული ბლოკადა?**

- აფხაზეთის მდებარეობა ისეთია, რომ შეუძლებელია ბლოკადის განხორციელება. რუსეთი ერაყში და ბოსნია-ჰერცეგოვინაში აგზავნიდა ტვირთს მაშინ, როცა მსოფლიოს ჰქონდა ბლოკადა გამოცხადებული და მოსაზღვრე აფხაზეთში გაგაკეთებინებს ბლოკადას? – ეს გამორიცხულია. სამაგიეროდ რუსეთი ყოველთვის სპეკულირებდა იმით, რომ საქართველოში აფხაზეთის მიმართ ბლოკადა იყო გამოცხადებული. თუმცა, როცა დასჭირდა თვითონ მოაწყო რეალური ბლოკადა. ჩვენ სწორედ ეს შესაძლებლობა უნდა მოვუსპოთ. აფხაზების ბედი რუსეთის განწყობაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს.

სხვათა შორის ძალიან კარგი იქნებოდა, ჩვენი თხოვნით აფხაზეთში დამზადებული პროდუქტები, რომელიმე სხვა ქვეყნას რომ შეესყიდა. აფხაზები დაინახავდნენ, რომ რუსეთის პირისპირ მარტო არ არიან.

**- ბლოკადის მოხსნა რითი უნდა დავიწყოთ?**

- ჩემი აზრით უნდა დავიწყოთ რკინიგზის აღდგენა. რკინიგზის აღდგენას დევნილების დაბრუნება ოფიციალურად რომც არ მივაბათ, დაბრუნების პროცესი თავისთავად დაიწყება. საბოლოო ჯამში იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთში ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც აფხაზებს უნდოდათ და ჩვენ გვაწყობდა, ჩვენთვის მაინც მომგებიანი ვითარება შეიქმნა. ეს უნდა გამოვიყენოთ. ანუ, მოვხსნათ ბლოკადა, დავიწყოთ რკინიგზის აღდგენა და საუბარი ისეთი ტიპის კონცეფციაზე, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზების ღირსეულ ცხოვრებას ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

**- რამდენად არარუსული პოლიტიკა ჰქონდა ბაგაფშს არჩევნებამდე და როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა?**

- ბაგაფში იქნებოდა პრორუსული მმართველი, მაგრამ ხაჯიმბასგან განსხვავებით ის რუსეთს დაუყენებდა აფხაზი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე პირობებს. ბაგაფშის პროქართულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მის დამოუკიდებელ ფიგურაზე ლაპარაკი შეიძლებოდა. იგი მართლა პატრიოტი კაცია და ყოველთვის აფხაზი ხალხის ინტერესები ამოძრავებდა. მთავარი მაინც ის არის, რომ აფხაზი ხალხის ნების გამოვლინება იყო ანტირუსული და ბაგაფშის არჩევა სწორედ რუსეთის საწინააღმდეგოდ მოხდა. ამიტომ რუსეთმა იმოქმედა არა ბაგაფშის, არამედ აფხაზი ხალხის საწინააღმდეგოდ და შეურაცხყოფა მიაყენა მას.

დღეისათვის ბაგაფში ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. იგი ფაქტობრივად რუსეთის ჯიბის კაცი გახადეს.

**- როგორი ვითარებაა მოსალოდნელი არჩევნების შემდეგ?**

- ბაგაფში გახდება არა დამოუკიდებელი, არამედ მართვადი პრეზიდენტი. ხაჯიმბა იქნება პრემიერ-მინისტრი და მის ხელში მოექცევა ძალოვანი სტრუქტურები. ხაჯიმბა არის არძინბას კაცი და მისი პრემიერ-მინისტრობით წერტილი დაესვა აფხაზი ხალხის მცდელობას, თავიდან მოეცილებინათ არძინბას კლანი. ამას ისიც ემატება, რომ ანქვაბი ხაჯიმბას ვერ აიტანს. შედეგად, ჩემი აზრით, აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი და დაძაბულობა გაგრძელდება. საზოგადოებაში კი სიტუაციის შეცვლის მოთხოვნილება გამძაფრდება, რასაც შეიძლება, დესტაბილიზაციაც მოჰყვეს.

**- არჩევნების ბედი გადაწყვეტილია?**

- არჩევნების ზუსტი თარიღი, ჯერჯერობით, უცნობია, ალბათ, 9 იანვარს დაინიშნება. ჩემი ინფორმაციით შამბა კვლავ აპირებს საკუთარი კანდიდატურის დაყენებას. ვფიქრობ, მას მხარს დაუჭერს ბაგაფშზე და ხაჯიმბაზე გაბრაზებული ხალხი. ეს არჩევნებს თავის ინტრიგას ჰმატებს. თუმცა, ალბათ, მაინც ბაგაფში გაიმარჯვებს.

ნიშანდობლივი ფაქტი: სამიოთხი დღის წინათ შამბამ გააკეთა ის, რაც არასოდეს გაუკეთებია. გამოვიდა ტელევიზიით და გალის მოსახლეობის მისამართით ძალიან ანტიქართული განცხადებები გააკეთა. გალის რაიონი ძალიან მივუშვითო, ომის შემდეგ მეგრელებს რომ უნდოდათ ეროვნების შეცვლა, ჩვენ ამისთვის ხელი არ უნდა შეგვეშალაო.

**- ცნობილია ხაჯიმბას მუქარა გალის მოსახლეობის მისამართით. ერთადერთი გამოსავალი ბაგაფშის გაპრეზიდენტება იყო, მაგრამ თუ ხაჯიმბა პრემიერ-მინისტრი გახდება, მუქარა ძალაში დარჩება.**

- მართალია, გალის მოსახლეობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იქნება. აქამდე, როცა ბაგაფშის უპირატესობა აშკარა იყო და ყველა მის მხარეზე გადავიდა, ენგურის ხიდზე ქართველი მოსახლეობის მოძრაობა აფხაზებმა ძალიან გააიოლეს. რაღაც კეთილგანწყობა გალის ქართველი მოსახლეობის მიმართ მართლაც შეინიშნებოდა. სამწუხაროდ დღეს ყველაფერი ძველებურადაა და ქართველები ისევ ისე დაჩაგრულები არიან, როგორც ბაგაფშის გამოჩენამდე. პროვოკაციებიც მოსალოდნელია.

## ბავშვები დიდების უღლით

ლელა მარგიანი

*10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა კავკასიური ქსელის – "CRINGO"-ს პრეზენტაცია. 2002 წელს ქალაქ სოჭში დაფუძნებული ქსელი წარმოადგენს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებას, რომლებიც მოქმედებენ კავკასიის ტერიტორიაზე და მუშაობენ ლტოლვილი, დევნილი და მათთან გათანაბრებული სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.*



იური ლობოდინის ფოტო

*სასტუმრო "მეტეხში" ჩატარებულ პრეზენტაციას ესწრებოდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი (ახალციხეში მცხოვრებმა ბავშვებმა უამინდობის გამო თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს) ოცდაათი ბავშვი.*

"ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციის" თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა იცხოვროს იქ, სადაც მას სურს. თანამედროვე მსოფლიოში ხშირად ირღვევა ეს ძირითადი უფლება, რასაც შედეგად მოსდევს ლტოლვილი და საკუთარი მიწა-წყლიდან გამოძევებული დევნილი მოსახლეობის წარმოშობა. სამწუხაროდ, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას კავკასიის რეგიონში, სადაც გვყავს მთიანი ყარაბაღიდან, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოძევებული ათასობით ადამიანი.

ბევრი საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია წლების მანძილზე მუშაობს აღნიშნული კონფლიქტების მოგვარებაზე. ისეც ხდება, რომ რეგიონებში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები, მუშაობაში მეტი წარმატების მისაღწევად, ერთიანდებიან რეგიონალურ ქსელებად და უკვე გაერთიანებული ძალებით ცდილობენ პრობლემების გადაჭრას.

ერთ-ერთი ასეთი რეგიონალური ქსელია "CRINGO", რომელიც ორი წლის წინათ დააფუძნა დანიის ლტოლვილთა საბჭომ. ამჟამად ქსელში კავკასიაში მოღვაწე 60-ზე მეტი ორგანიზაციაა გაერთიანებული.

**"ჩვენს ქსელში თავდაპირველად გაერთიანებული იყო მხოლოდ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, ვინც მონაწილეობა მიიღო "ჟენევის კონფერენციაში" და მისი აკრედიტირებული წევრი იყო. ორი წლის მანძილზე ქსელი საკმაოდ გაიზარდა. ამჟამად ქსელში გვაქვს ოთხი საკოორდინაციო წერტილი (ბაქო, თბილისი, ერევანი, სტავროპოლი) და გვყავს ექვს ათეულზე მეტი წევრი. ჩვენი ქსელის ძირითადი მიზნებია: ლტოლვილთა, დევნილთა და მათთან გათანაბრებულ პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი იურიდიული და სოციალური დაცვა, რეგიონში საგანგებო სიტუაციის პრევენცია და მათზე დროული რეაგირება. არსებობის ორი წლის მანძილზე ქსელის წევრმა ორგანიზაციებმა განახორციელეს ოცდაათზე მეტი რეგიონული პროექტი და ქსელური აქციები, რაც გულისხმობს ერთობლივი აქციების ჩატარებას ოთხივე ქვეყანაში. მაგალითად, ჩვენ ერთდროულად აღვნიშნავთ ლტოლვილთა დღეს (20 ივნისი), ცოდნის დღეს, სოლიდარობის დღეს და ა.შ. მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით, ქსელის ფარგლებში მომზადდა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე მომუშავე ტრენერთა გუნდი. ქსელს ჰყავს თავისი პარტნიორი ქსელი ბალკანეთის ქვეყნებში (მისი ვებგვერდია www.cringo.net),"** - აღნიშნა პრეზენტაციაზე ქსელის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ქეთი დადუნაშვილმა.

ქსელის წევრმა ლიანა ბერიამ ისაუბრა მათ მიერ განხორციელებულ ბოლო აქციის -"მსოფლიო ძალადობის გარეშე" - შესახებ და აღნიშნა, რომ 10 დეკემბერს, კავკასიის სამივე ქვეყანაში ჩატარდება აქციის შემაჯამებელი ღონისძიება.

სასტუმრო "მეტეხში" ჩატარებულ პრეზენტაციას ესწრებოდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი (ახალციხეში მცხოვრებმა ბავშვებმა უამინდობის გამო თბილისში ჩამოსვალა ვერ შეძლეს) ოცდაათი ბავშვი, რომელთაც გაიმარჯვეს აქციის ფარგლებში მოწყობილ კონკურსში. გამარჯვებულ მოზარდებს, რომლებიც თბილისში წინა დღეს ჩამოვიდნენ და რომელთა უმეტესობა პირველად იყო დედაქალაქში, უკვე მოესწროთ ზოოპარკში მისვლა, თბილისის ღირსშესანიშნაობებისა და სამების ტაძრის მონახულება. მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სერთიფიკატები და სამახსოვრო პრიზები - ლამაზი საათები.

გამარჯვებულთა შორის იყო ჩემს გვერდით მჯდომი 13 წლის მარიამ მარღანია, რომელიც უკვე ათი წელია, თავის ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობს და ამჟამად, 171-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა.

**"სამწუხაროდ ძალადობა ძალიან აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსთვის. ახლახან ბესლანში მოხდა საშინელი ტრაგედია, სადაც ბევრი ბავშვი დაიღუპა. თითოეული ადამიანი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდეს. ყველა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს, რათა მას აღარ შეეწიროს ადამიანების სიცოცხლე,"** – გვითხრა მარიამმა.

კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული მეორე მოზარდის, მაჰმადიანი მესხების შთამომავლის, ამჟამად დემირელის სახელობის კოლეჯის წარჩინებული მოსწავლის, თეიმურაზ ბარათაშვილის აზრით, - **"მშვიდობა არის "ხე", რომელსაც სულ მოვლა და ზრუნვა სჭირდება, რათა მას არ დაესიონ პარაზიტები-ტერორისტები. ბესლანში დაღუპული ბავშვები არიან "ფოთლები", რომლებიც არიან "მოჭმულები" და მოკლულები პარაზიტების - ტერორისტების მიერ. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, რომ გავაგრძელოთ "მშვიდობის ხეზე" მზრუნველობა, რომ ბავშვებმა იცხოვრონ მშვიდობიან ქვეყანაში და გაიზარდონ ზრდილობიან ადამიანებად".**

**შევჩენკო საუკეთესოა!**



B4

**მეოთხე ჩოგნის მეოთხე პარტნიორი**

მარია შარაპოვა მდიდრდება



B5

**საქველმოქმედო აქცია ნიუ იორკში**

ქართველი მხატვრები პირველად უდიდეს აუქციონის სახლში



B6

მოგზაურობა

# წმინდანების ქალაქი - გრეჰემსთაუნი

## კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება სამხრეთ აფრიკაში

ნინო გომართელი

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე შევძლებდი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩასვლას. საბჭოთა იმპერიული მმართველობიდან გამომდინარე, ეს ქვეყანა ყველა ჩვენგანის ცნობიერებაში გამჯდარი იყო, როგორც ოცნების ეგზოტიკური სამყარო. მთელ აფრიკის კონტინენტზე, ბრილიანტებითა და ოქროთი უმდიდრესი ქვეყანა, განსხვავებული კულტურის ნაზავი, ულამაზესი და ამაყი - სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო.

ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ აფრიკაში მიმავალს, მაინც ველოდი, რომ დამხვდებოდა განვითარების საშუალო დონეზე მყოფი სახელმწიფო და ბანანებსა თუ ანანასებზე გაზრდილი, ხუჭუჭთმიანი და შავკანიანი ბავშვები. მაგრამ შევცდი... იოჰანესბურგის აეროპორტიდან გარეთ გასულს სულ სხვა რეალობა დამხვდა - ულამაზესი შენობები, საკმაოდ განვითარებული სამყარო და თეთრკანიან აფრიკელთა სიმრავლე, რომლებიც არანაირ დისკომფორტს არ განიცდიდნენ შავკანიანებთან ურთიერთობით და თანცხოვრებით.

მე პირადად, ცხადია, არასოდეს ვყოფილვარ რასისტული დისკრიმინაციის მომხრე და აფრიკის კონტინენტზეც იმ თავდაჯერებულობით გავემგზავრე, რომ ერთი კვირის მანძილზე ნამდვილ შავკანიან სახრეთ აფრიკელებთან ერთად მომიწევდა ცხოვრება. მაგრამ რაც ვნახე, იმან მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა.

სამხრეთ აფრიკაში ჩვეული და ორდინარულია ორი რადიკალურად განსხვავებული ფერის - თეთრისა და შავის ერთობლიობა. ამის გამო მოკლე დროში რასიზმის ცნებისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ეჭვიც კი შემეპარა, იმდენად ხშირი იყო თეთრი, ფითქინა გოგო და შავკანიანი მამაკაცი ან პირიქით, თანაც უბედნიერესი გამომეტყველებით და ნაზავი ფერის მქონე პატარა ბავშვებით. მაგრამ უკვე რამდენიმე დღეში ყველაფერს მივეჩვიე და კმაყოფილებაც დამეუფლა იმის გამო, რომ აფრიკულ ეგზოტიკას თვალი გავუსწორე.

ახლა მეცინება, როდესაც ჩემი მეგობრები სამხრეთ აფრიკაში გადაღებულ ჩემს ფოტოებს გაოცებით უყურებენ.

დღეს სამხრეთ აფრიკის ყველა ქალაქში შავკანიანები მოსახლეობის 60-70 პროცენტს შეადგენენ.

**"შავკანიანებს ავიწროებდნენ, კლავდნენ, არავის სურდა მათთან თანაცხოვრება, მაგრამ ჩვენთან ათი წლის დამოუკიდებლობის მანძილზე, ყველაფერი სხვაგვარადაა, ჩვენთან მათ არავინ დევნის"** - გაოცებული დავრჩი, როდესაც მსგავსი სარეკლამო კლიპი ვნახე სამხრეთ აფრიკის ინგლისურენოვან SABC - ტელეარხზე, რომლის სტუდიებშიც თავმომწონედ ენაცვლებიან ერთმანეთს თეთრკანიანი და შავკანიანი წამყვანები. როგორც ჩანს, ეს არის ის, რითაც სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო დღემდე ამაყობს. ყველას ახსოვს და უყვარს საპატიო პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, რომელიც მოხუცებულობის გამო ამჟამად აქტიურ პოლიტიკაში ვერ ერევა, თუმცა მის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლის გამო, მას ყველა პატივს სცემს. არავის ავიწყდება აღნიშვნა, რომ ნელსონ მანდელამ თავისუფლება მიანიჭა შავკანიანებს.

**"დღეს ჩვენ თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ, თავისუფლები ვართ. თავისუფლება ნელსონ მანდელამ მოგვანიჭა. ჩვენ ვამაყობთ მისით"** - მითხრა ერთმა შავკანიანმა ასაკოვანმა მამაკაცმა. მაგრამ, იქვე დაამატა, რომ მიუხედავად ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის თაბო მბეკის მცდელობისა, დღესდღეობით სახელმწიფოში სოციალური მდგომარეობა მაღალ დონეზე ნამდვილად არ არის: **"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო მდიდარია რესურსებით და ტურიზმის სფერო ქვეყანაში საკმაოდ განვითარებულია, მოსახლეობა არ არის მდიდარი და შეიძლება ითქვას, რომ გაჭირვებულია. ამის მიზეზი კი სამუშაო ადგილების ნაკლებობა და დაბალი ხელფასებია".**

მართლაც, მოსახლეობის დაბალ სოციალურ დონეზე ნამდვილად მეტყველებს ქალაქებში მათხოვრების სიმრავლე რომელთა უმეტესობაც არასრულწლოვანი შავკანიანები არიან. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მათხოვრობას იქ თავისი წესები აქვს. ძალით არავინ არაფერს წაგართმევს და მათხოვრის დახმარება შენს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოს თეთრკანიან მოსახლეობას კი ამ ყველაფერზე საკუთარი მოსაზრება აქვს.

**"დღეს ჩვენი სახელმწიფოს მოსახლეობის გაჭირვების უმთავრესი მიზეზი სწორედ შავკანიანების სიმრავლეა, რომლებიც საშინლად ზარმაცები არიან. მათ ყველაფერი საუკეთესო სურთ, მაგრამ ამისათვის არ მუშაობენ"** - აცხადებს ამჯერად თეთრკანიანი სამხრეთ აფრიკელი.

ერთი სიტყვით, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ფარული შუღლი შავკანიანებსა და თეთრკანიანებს შორის.

საერთო ჯამში, მოსახლეობა ძალზედ მეგობრული და თავისუფალია. ქუჩაში გასული თავს მარტოდ ნამდვილად არ იგრძნობ.

ქართულ რეალობაში წარმოუდგენელი ფაქტის მომსწრე ვიყავი. იქაც კი, სადაც არავინ გიცნობს, ყველა გესალმება და გეკითხება თავს როგორ გრძნობ. შენში ახლის და შორეულის აღმოჩენის შემდეგ კი თითოეულ ადამიანს უჩნდება სურვილი გაგეცნოს, გამოგელაპარაკოს, შენი სამშობლოს ადგილმდებარეობის თუ პოლიტიკური ამინდის შესახებ გესაუბროს.

სამწუხარო იყო, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩემი ყოფნის ერთი კვირის მანძილზე მხოლოდ ორი ადამიანი შემხვდა ისეთი, რომელსაც პატარა წარმოდგენა მაინც ჰქონდა საქართველოზე.

ერთმა, ჩემი წარმომავლობის გაგებისთანავე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დამისვა შეკითხვა და საკმაოდ გაოცდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ შევადრნაძე უკვე ერთი წელია, რაც აღარ, უფრო სწორად ველარ პრეზიდენტობს.

მეორე სამხრეთ აფრიკელი, პირველთან შედარებით გაცილებით ინფორმირებული აღმოჩნდა და სიტყვა საქართველოს გაგონებაზე პირველი რაც წამოიძახა, "ვარდების რევოლუცია" იყო, თუმცა მეტი საუბარი აღარ ისურვა. ალბათ, ამის მეტი არც არაფერი იცოდა და გამეცალა, მაგრამ იმ მომენტში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, რადგან პირველად ვნახე ადამიანი, რომლისთვისაც აღარ მომიწევდა ახსნა-განმარტებები, რომ საქართველოს არანაირი კავშირი არ აქვს ჯორჯიის შტატთან და ის არც რუსეთი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა.

მე შესაძლებლობა მომეცა ჩავსულიყავი არაჩვეულებრივ ისტორიულ ქალაქ გრეჰემსთაუნში, რომელიც ყურადღებას ვიქტორიანული არქიტექტურის ძეგლებით, ეკლესიებისა და მუზეუმების სიმრავლით იქცევს.

როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან გავიგე, ეს არის ისტორიული ქალაქი, რომელიც ყველაფერ იმ საუკეთესოს ნაზავია, რაც აფრიკას შეუძლია შემოგთავაზოს, წარმოაჩენს რა უამრავი სხვადასხვა კულტურის სულს, რომლებიც აქ ერთმანეთს შეხვდა და თავისი კვალი და მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა.



წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ანგლიკანური კათედრალი



ქუჩის მოცეკვავეები



გაზეთების დამტარებელი

სახელი გრეჰემსთაუნი, ქალაქს მისი დამფუძნებლის, პოლკოვნიკ ჯონ გრეჰემის საპატივცემულოდ დაერქვა. ბრიტანელი კოლონისტების გამო, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში 1800 წელს ჩავიდნენ, გრეჰემსთაუნს ზოგჯერ კოლონისტების ქალაქსაც კი უწოდებენ. ყველაზე გავრცელებული სახელი კი მაინც "წმინდანების ქალაქია", რაც იქ არსებულ ეკლესიათა სიმრავლის გამო შეარქვეს.

1800 წლის ბოლოსკენ, მას შემდეგ რაც რამდენიმე სკოლა აშენდა და 1900 წელს როდესის უნივერსიტეტი დაფუძნდა, გრეჰემსთაუნი მთელი ქვეყნის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. მან ასევე, ეკლესიათა სიმრავლის გამო, მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრის მნიშვნელობა შეიძინა და იქცა კომერციულ ცენტრად ადგილობრივი აგრარული ერთობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგია და კომერცია დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრეჰემსთაუნის ცხოვრებაში, ეს ქალაქი მაინც უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებო ცენტრს წარმოადგენს.

მაგრამ, სამხრეთ აფრიკელთა უმეტესობისათვის გრეჰემსთაუნი ფესტივალების ქალაქია. ყოველი წლის ივლისში, ათი დღის განმავლობაში ამ ქალაქში, უდიდესი ხელოვნების ფესტივალი ტარდება, რაც თავის მხრივ ტურისტების სიმრავლეს განაპირობებს.

მე ამ დღესასწაულს სამწუხაროდ ვერ დავესწარი.

პირადად ჩემში ამ ქალაქმა "წმინდანების ქალაქის" ასოციაცია ნამდვილად დატოვა, საოცარი სილამაზის ეკლესიებით, ვიქტორიანული და გოთიკური სტილის შენობებით და საოცარი სიმშვიდით.

აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი, როდესაც ვნახე წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის სახელობის ანგლიკანური კათედრალი, რომელიც ადრეული ინგლისური გოთიკის საუკეთესო მაგალითია. გოთიკური სტილის მაგალითებს წარმოადგენს, ასევე, მემორიალური ეკლესია, ქრისტეს ეკლესია, წმინდა პატრიკის, წმინდა ეიდანის და წმინდა ბართლომეს სახელობის ეკლესიები, რომელთა უმეტესობაც მე-19 საუკუნის შუა ხანებშია აშენებული. ნამდვილად ღირს ასევე არაანგლიკანური ეკლესიის, სომერსეტის ქუჩაზე მდებარე რომანული სტილის წმინდა ენდრიუს სახელობის სამლოცველოს ხილვა.

რაც შეეხება რელიგიას, დღემდე, სამხრეთ აფრიკის 45 მილიონიანი მოსახლეობის 80 პროცენტი ქრისტიანული რელიგიის მიმდევარია, რის გამოც ქრისტიანობა რესპუბლიკაში დომინანტი სარწმუნოებაა, მაგრამ მრავლად არიან მუსულმანებიც, უმეტესად შავკანიანები - სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიელი ან ინგლისელი კოლონისტების მიერ ჩამოყვანილი მონების შთამომავლები.

ჩემთან ერთად ცხოვრობდა შავკანიანი ახალგაზრდა სახელად მეიბლი, რომელმაც სარწმუნოების შესახებ დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხი გამცა: **"ჩვენს ოჯახში რვა და-ძმა ვართ. მე პირადად ქრისტიანი ვარ. ჩემი ძმები კი მუსულმანები. ერთ-ერთ მათგანს სამი ცოლი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სარწმუნოება მრავალცოლიანობას კრძალავს, ჩემთვის ნამდვილად არ იქნება პრობლემა, თუ ჩემს მეუღლეს, ჩემს გარდა, კიდევ ეყოლება რამდენიმე ცოლი".** პირადად მე, ამის გამგონე ნამდვილად გაოცებული დავრჩი.

გრეჰემსთაუნში უმეტესად სტუდენტი ახალგაზრდობა ცხოვრობს, რომლებიც ყოველ საღამოს თავს ბარებში ირთობს. შაბათ-კვირას კი ყველაზე პრესტიჟულად გოლფის კლუბში სიარული ითვლება.

ახალგაზრდობა უმეტესად რასაკვირველია, თანამედროვე პოპმუსიკას უსმენს და მათში დიდ მოწონებას იმსახურებს მუსიკალური ტელერხი MTV, მაგრამ მაინც, ყველაზე პოპულარული მუსიკალური ჯგუფი არის სამხრეთ აფრიკული "მალაიკა", რომლის წევრებიც სიმღერებს ნკოსასა და ინგლისურ ენებზე ასრულებენ.

აშკარად გამოკვეთილი აფრიკული ჟღერადობა აქვს, ასევე, საკმაოდ პოპულარულ ოლივერ მტუკუძის სიმღერებს. ის უმეტესად ოჯახურ სიწმინდეებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე და რელიგიაზე მღერის. მის სიმღერებს კი მეტ ჟღერადობას ნამდვილი აფრიკული მუსიკალური ინსტრუმენტები, მატებს.

ერთი ნამდვილი აფრიკული ტამტამი მეც მაქვს.

გრეჰემსთაუნის მაცხოვრებლებისთვის უცხო ნამდვილად არ იყო ახალი ტურისტის გამოჩენა, მაგრამ, ისევე როგორც ჩემთვის სამხრეთ აფრიკა, მათთვისაც - საქართველო ეგზოტიკის სამყარო იყო, რის გამოც თითქმის ყოველ საღამოს მიწევდა ქართული კულტურისა თუ წეს-ჩვეულებების წარმოჩენა.

იმის გარდა, რომ ქართული კულინარიის სრულად ათვისების სურვილი გამოთქვეს და ქართული სიმღერების თითქმის სრული რეპერტუარი შემასრულებინეს, ქართულმა ეროვნულმა ცეკვამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია. სანაცვლოდ კი ერთი კვირის განმავლობაში აფრიკულ ეროვნულ ცეკვებს და ურთულეს ენას - ნკოსას ვითვისებდი. არ შემრცხვება და ვიტყვი, რომ ეს პერიოდი ძალზედ მიკლე აღმოჩნდა ამ ყველაფრის სასწავლად. საბოლოოდ, გამარჯობისა და ნახვამდის ნკოსაზე ძლივს წარმოთქმის გარდა, ყველაფერზე ინგლისურად ვსაუბრობდი, ისე როგორც სამხრეთ აფრიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა.

მართალია, შემრცხვება, თუმცა მაინც ვიტყვი, რომ აფრიკელებმა დამიწუნეს.

ჯერ ერთი, თურმე - მე არც ისე თეთრი და ამის გამო არც ისე მიმზიდველი ვარ, როგორც მაგალითად რუსი ქალბატონები და არც ისე ფერ-ხორციანი, როგორც სამხრეთ აფრიკელებს უყვართ.

მოკლედ მოსწონთ აფრიკელ მამაკაცებს ჩემზე მსუქნები და ქალებიც ჭამენ, თუმცა გულახდილად გეტყვით და მიკვირს, რა მოსწონთ აფრიკულ საკვებში. ქართული კულინარიის მოყვარულს, ნამდვილად გამიჭირდა აფრიკულად, თანაც უგემურად კვება. ერთადერთი, რამაც მეტ-ნაკლებად მომხიბლა, იყო სამხრეთ აფრიკული ეროვნული ნახევრად ნამცხვარი, ნახევრად კი ხაჭაპური.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტკბილეულობა უდავოდ გემრიელი აქვთ, განსაკუთრებით გემრიელი კი აფრიკული ბანანი და ანანასი იყო, რომლის გემოსაც საერთო არაფერი აქვს იმასთან, რაც საქართველოში ასე მრავლად არის.

სამწუხაროდ, მე ვერ ჩავედი დედაქალაქში - კეიპტაუნში და ვერ ვნახე სამხრეთ აფრიკის გული, ვერც ინდოეთის ოკეანეში ნავარდობა მოვასწარი, თუმცა ნამდვილად ბედნიერი და კმაყოფილი ვარ ნანახით. ამიტომაც თამამად გეტყვით:

დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უკვე აღარ არის შორეული ოცნების სამყარო. ის რეალობაა, რომელიც გელის. და უამრავი მიზეზი არსებობს იმის, თუ რატომ უნდა წახვიდე მის სანახავად, თუნდაც ისტორიული ნაზავი კულტურის, მისი ლანდშაფტების სილამაზის, მდიდარი ველური ბუნების ან არაჩვეულებრივი კლიმატის გამო, როდესაც მთელი წლის განმავლობაში მზე ანათებს.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ანტონ ჩეხოვი
"ძია ვანია"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
"თეატრის მოტაცება"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
მიხეილ მარმარინოსი
"ეროვნული ჰიმნი"
(თეატრალური ლაბორატორია ტერა ინკოგნიტა)
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მუსიკალური საღამო
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 13:00; 18:00; 20:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 15:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

### გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა-ფოტოკონკურსი "ქოლგა 2004"

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"

**ძველი გალერეა**
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

**გოეთეს ინსტიტუტი**
ვერნერ ჰერცოგის ფილმების ჩვენება
"ნოსფერატუ" (1979)
დას: 18:00 სთ.

### დისკუსია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი**
საჯარო დისკუსია თემაზე: "როგორ უნდა განვითარდეს დედაქალაქი: პრობლემები და პერსპექტივები"
მომხსენებლები: ვახტანგ ლეჟავა (ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე), ზურაბ ჭიაბერაშვილი (თბილისის მერი), ლადო ვარდოსანიძე (ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე).
მოდერაცია: დავით პაიჭაძე (რადიო თავისუფლება)
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# მუსიკალური „ჰუმანიტარული დახმარება"

## იტალიელმა სოლისტებმა თბილისში მოცარტის "დონ ჯოვანი" შეასრულეს

მადი სერებრიაკოვა

**"ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ქართველი ხალხის სიყვარული მუსიკისადმი"** - აღნიშნა იტალიის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომ, გუშინ, ოპერისა და ბალეტის თეატრში იტალიელი მომღერლების გასტროლებთან დაკავშირებით. ზუსტად ერთი წლის წინათ საელჩოს მოწვევით სამმა იტალიელმა მომღერალმა გამართა გასტროლი თბილისის თეატრში. მუსიკალური "ჰუმანიტარული დახმარება" საელჩომ წელსაც გაიმეორა და ამჯერად მოცარტის "დონ ჯოვანის" შესასრულებლად მოიწვია იტალიელი მომღერლები. "ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო" - მიუხედავად იმისა, რომ იტალიელმა სოლისტებმა თავი დიდად ვერ გამოიჩინეს, "დონ ჯოვანი" მაინც საინტერესო აქცია იყო. მას შემდეგ, რაც ოპერის თეატრში ხელმძღვანელობა და მთლიანად სტრუქტურა შეიცვალა - ეს თეატრის პირველი საერთაშორისო საოპერო პროექტი იყო.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გია ასათიანი, მასიმილიანო დამატო და ტარიელ ჭიჭინაძე.*

ამ პროექტისთვის თეატრში საკმაოდ დიდხანს ემზადებოდნენ. ემზადებოდნენ ახალგაზრდა სოლისტები, რომლებიც იტალიელების გასტროლის პასუხად 26 დეკემბერს იგივე სპექტაკლს მხოლოდ ადგილობრივი ძალებით წარმოადგენენ. ემზადებოდა განახლებული გუნდი და ორკესტრი დირიჟორ გიორგი ჟორდანიას ხელმძღვანელობით. მთავარი პარტიების შესასრულებლად თბილისში ოთხი იტალიელი მომღერალი: მასიმილიანო დამატო, ნუნცია სანტოდიროკო, ფრანჩესკა რინალდი და ემანუელა მარტელი ჩამოვიდნენ. მათ შორის, ჩვენთვის მხოლოდ ნუნცია სანტოდიროკო იყო ცნობილი, რომელმაც შარშან თბილისში ფლორია ტოსკას პარტია შეასრულა. გასულ წელს ამ უკანასკნელით აღფრთოვანებული არ დავრჩენილვარ. ასე რომ, წელს უფრო ჩვენთვის უცნობი მომღერლების ინტერესით წავედი სპექტაკლზე. მაგრამ მოლოდინმა არ გაამართლა. შარშან დაწუნებული ნუნცია სანტოდიროკო ნამდვილი ვარსკვლავი იყო დანარჩენი გასტროლიორების ფონზე. ის ყველაზე სრულყოფილი გამოდგა თავის კოლეგებს შორის.

პროგრამა გვაუწყებდა, რომ მოწვეული სოლისტები მრავალი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები არიან, არაერთ თეატრში ასრულებენ წამყვან პარტიებს, პარტნიორობას უწევენ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც ჯუზეპე დი სტეფანო, კატია რიჩარელი, პიერო კაპუჩილი, ლეო ნუჩი და სხვები არიან. სამწუხაროდ, თბილისის თეატრის სცენაზე ისინი ახალბედა ქართველი სოლისტების ფონზეც კი საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდნენ.

ნუნცია სანდიროკო დონა ანას პარტიას ასრულებდა და მიუხედავად მისი როლის საკმაოდ სტატიური სცენური გააზრებისა, როგორღაც მაინც ახერხებდა საკუთარი გმირის გაცოცხლებას. არტისტიზმით ცდილობდა ფონს გასულიყო მთავარი მოქმედი გმირი მასიმილიანო დამატოც. მისი ბიოგრაფია გვაუწყებს, რომ იგი არა მარტო მომღერალი, არამედ რეჟისორი და კომპოზიტორიც არის. ამ უკანასკნელების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, როგორც ვოკალისტი კი, ის საკმაოდ სუსტი გამოდგა. მსმენელის ყურამდე ვერ მიაღწია მისმა თითქმის ვერც ერთმა კულმინაციურმა ბგერამ თუ ფრაზამ. ჩვენი ორკესტრი გრანდიოზულობით რომ არ გამოირჩევა - ეს ყველამ ვიცით. თუმცა, გუშინდელი დონ ჯოვანი მის ფონზეც კი ვერ ახერხებდა გაჟღერებას.

დამატოსგან განსხვავებით, ძლიერი და მჟღერი ხმით გამოირჩეოდა ფრანჩესკა რინალდი დონა ელვირას პარტიით. თუმც, საკუთარი პარტიისთვის ის არასაკმარისად გამომსახველი და მეტყველი იყო. მეოთხე გასტროლიორი ემანუელა მარტელი გახლდათ. ძალზედ უსიამოვნო სანახავი და მოსასმენი იყო, თუ როგორ გააუფერულა ამ უკანასკნელმა "დონ ჯოვანის" ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და გრაციოზული გმირის - ცერლინას სახე. ვოკალური არასრულფასოვნების კომპენსირებას იგი არტისტიზმითაც ვერ ახერხებდა.

საბოლოოდ, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იტალიელი სოლისტები გუშინ ან ძალზედ ცუდ ფორმაში იყვნენ, ანდა მისამართი შეეშალათ და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მათი ადგილი არ იყო. მათ ფონზე ქართველი სოლისტები ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ. თუმცა, გარკვეული ხარვეზები მათთანაც შეინიშნებოდა. ყველაზე საინტერესო, ალბათ, გია ასათიანი გახლდათ ლეპორელოს პარტიით. თუ არ ჩავთვლით მცირე ხარვეზს მეორე მოქმედებაში, ერთ-ერთი საუკეთესო იყო გია მახარაძე დონ ოტავიოს პარტიით. ფაქტობრივად, სადებიუტო იყო ნიკა გულიაშვილისთვის მაზეტოს პარტია. ეს უკანასკნელი თეატრის ახალი სოლისტების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებზეც თეატრის ახალი ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს.

ასეა თუ ისე, ქართველი მსმენელის გულუხვი აპლოდისმენტებით თუ ვიმსჯელებთ, სპექტაკლი ზოგიერთებს მაინც მოეწონათ. კმაყოფილებას ჯერ კიდევ სპექტაკლის დაწყებამდე გამოთქვამდა იტალიის ელჩიც: **"დღევანდელი საღამო გამორჩეული იქნება განსაკუთრებული შესრულებით. ეს არ არის მოცარტის ტრადიციული შესრულება, ეს ბევრად ღრმა და საინტერესო შესრულებაა, რომელსაც დირიჟორი გიორგი ჟორდანია წარმოგვიდგენს."** 26 დეკემბერს იგივე სპექტაკლს მხოლოდ ქართველი სოლიტები წარმოგვიდგენენ. იმედს ვიტოვებ, ისინი უკეთ გაართმევენ თავს ამ არცთუ იოლ ამოცანას.

# „დებიუტი" დებიუტანტების გარეშე

სალომე კიკალეიშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გრძელდება კონკურს-ფესტივალი "დებიუტი", რომელზეც უჩვენებენ ახალგაზრდა რეჟისორებისა და მსახიობების ფილმებსა და სპექტაკლებს. გუშინ კინოთეატრ "ქოლგაში" დამთავრდა ფესტივალის ერთი ნაწილი - კინოფილმების კონკურსი. ჟიურის წევრები: თეო ხატიაშვილი, მაგდა ანიკაშვილი, გუჯა ბურდული, გიორგი ოვაშვილი, დათო გუჯაბიძე ექვს ნომინაციაში გამარჯვებულებს ფესტივალის დახურვაზე, 17 დეკემბერს, კინოთეატრ "რუსთაველში" გამოავლენენ.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სამი დღის მანძილზე 45 ფილმის ნახვის შემდეგ ჟიური არც ისე იოლი ამოცანის წინაშე დგას: მან უნდა ამოარჩიოს საშუალო - საშუალოსა და ცუდს შორის. ეს არც გადაჭარბებაა და არც ენამწარე კინომცოდნის ფრაზა. უბრალოდ, ფაქტი ფაქტად რჩება: ყოველწლიური იმედი, რომ ამა თუ იმ ფესტივალზე რაიმე ახალს და საერთო ნაცრისფერი ფონისგან განსხვავებულს ვნახავთ, ისევ იმედად რჩება. თითოოროლა ახალგაზრდა, რომლებიც, ასე თუ ისე, გამოირჩევიან კოლეგებისგან, შეიძლება ითქვას, გაიძულებენ, მიხვიდე ფილმების ჩვენებაზე რაღაც უკეთესის, გაუმჯობესებულის მოლოდინში.

სამწუხარო და მოსაბეზრებელია ამდენი ლაპარაკი მათ სისუსტეზე, დაბალ დონეზე. ერთმა ისიც კი თქვა: რა ადვილია წაქცეულის ცემაო. მართალია, ადვილია, მაგრამ სათქმელი ხომ უნდა ითქვას? ოდესმე რამე ხომ უნდა შეიცვალოს? მეხუთე კურსის სტუდენტებმა კამერის დაჭერა მაინც ხომ უნდა ისწავლონ? სტუდენტებმა კი არა, კურსდამთავრებულებმა მაინც ხომ უნდა იცოდნენ, რომ ფილმის გადაღებამდე საჭიროა, დრამატურგიულად გამართული სცენარი გქონდეს? არ ვიცი, შესაძლოა, ასეთ სცენარებს წერენ კიდეც, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ის არის, როცა ფილმი შინაარსს ვერ გაწვდის დრამატურგიული გაუმართაობის გამო (დაბალ გამომსახველობით ხარისხს ხომ უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ).

მაგრამ თითქმის ყოველთვის ყველაფერს ამ სტუდენტებს და ცუდ დროს ვაბრალებთ. იქნებ ერთხელ მაინც გვეცადა, სხვანაირად შეგვეხედა ამ საკითხისთვის და დამნაშავენი სხვაგანაც გვეძებნა. ერთხელ მაინც დავფიქრდეთ: ნუთუ ამ სტუდენტების (აქ მე ვეხები ზოგადად სარეჟისორო ფაკულტეტებს, რომლებიც ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლდა თბილისში) პედაგოგებს არ აღელვებთ, რას და როგორ იღებენ მათი მოწაფეები? დავიჯერო, უხარიათ, როცა ამ აბდაუბდას უყურებენ და იქ მათი სახელოსნო და გვარია მითითებული? რა, სულერთია?

დარწმუნებული ვარ, ეს კითხვები კიდევ დიდხანს იქნება ჰაერში გამოკიდებული, უნივერსიტეტები და ინსტიტუტები კიდევ დიდხანს გააგრძელებენ სარეჟისორო ფაკულტეტებზე ნებისმიერი შესაძლებლობის მსურველთა (მთავარია, გადახდისუნარიანთა) აურაცხელი რაოდენობის მიღებას, პედაგოგები ისევ კმაყოფილი იქნებიან სტუდენტთა ნამუშევრებით, ჩვენ კი ისევ გავაგრძელებთ წერას: არაფერი არ ხდება, არაფერი არ იცვლება, თუ ასე გაგრძელდა, ქართული კინო საბოლოოდ გაქრება და ა.შ. და ა.შ.

მაინც რა აინტერესებს და რა აღელვებს ახალგაზრდა კინორეჟისორთა უმრავლესობას? - თანამედროვეობა თავისი პრობლემებით: ნარკოტიკებით, მიგრაციით, ადამიანთა დაუნდობლობით, მარტოობით... ეს ძალიან კარგია, მაგრამ დგება მეორე, საპასუხისმგებლო მომენტი: საჭიროა ამ ყველაფრის გაანალიზება, სცენარის სახით შექმნა და ფილმად გადაღება. ზოგი პირველში "იჭედება" - თვითონვე ვერ ერკვევა, რა უნდა, მეორემ აზრის დალაგება და ჩამოყალიბება არ იცის, მესამემ - კამერის დაჭერა. ახლა წარმოიდგინეთ, რა ხდება, როცა ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება. ეს კი საკმაოდ ხშირია, რადგან ერთი და იგივე ადამიანია სცენარისტიც, რეჟისორიც და ოპერატორიც. როგორ უნდა მოვთხოვოთ მათ რაიმე ახლის შექმნა, როცა კინოენის ელემენტარულ კანონებს ვერ იცავენ. და ეს ასეა არა მარტო სტუდენტებთან, რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს, არამედ კურსდამთავრებულთა ფილმებშიც, რომლებმაც დიდი ხანია აიდგეს ფეხი და ლოგიკურია, რომ მათგან რაღაც ახალს, უფრო მოწესრიგებულს ველით.

თავისთავად ჰუმანურია ჩანაფიქრი კეთილ ბიჭზე (ირაკლი კოჭლამაზიშვილის ფილმი "წვეთები"), რომელიც უპატრონო ბავშვისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთებს გაიღებს და იღუპება, მაგრამ სუსტი და ზედმეტად სანტიმენტალურია; უკაცრიელ ადგილას მარტოობისა და სიკვდილისთვის განწირულია ადამიანი (თორნიკე ბზიავას "საიდუმლო კაცი"), რომელიც, ალბათ, უფრო საინტერესო უნდა გამოსულიყო; მართალი გითხრათ, უფრო მეტს ველოდი გიორგი მასხარაშვილისგან; თამუნა სულამანიძის "37 C" კი ამერიკულ სტილში გადაწყვეტილი ვარიანტია: თმააბურძგნილი ქართველი კაცი შეყვარებულთან მიდის ხელის სათხოვნელად, მაგრამ... მაგრამ აქ იმდენია "მაგრამ"... (ეს გახლავთ ფილმი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა მაყურებელს. აქ არც თამაზ გოგინაშვილის ოპერატორული ნამუშევარი იყო ცუდი; რაკი ოპერატორი ვახსენე, ცალკე გამოვყოფდი გიორგი შველიძის ნამუშევარს ფილმში "უბრალოდ, ამბავი" (რეჟისორი დავით ჩოკოლაშვილი). გიორგი არც დამწყებია და არც სტუდენტი, თუმცა, ბევრ მისნაირს, პროფესიონალ ოპერატორს რომ ეძახიან, აშკარად სჯობს. ეს ფილმი, ალბათ, ერთადერთი გამართული მხატვრული ნამუშევარია, რომელშიც სცენარის არსებობაც იგრძნობა და კამერაც თავის საქმეს აკეთებს. რაც მთავარია, დასაფასებელი იმით, რომ ფილმი გამართულია და რეჟისორმა მაყურებლამდე მიიტანა თავისი სათქმელი თუ გულისტკივილი); ნატო შუშანიას კოლაჟური "გარიყულა"; საშა ქორიძის "სტიპენდიანტები" (სამწუხაროა, რომ ვერ ვნახე მისი ბოლო ფილმი "ზღვისეული", თუმცა, ვფიქრობ, ახალგაზრდა დოკუმენტალისტებში ის ერთ-ერთი საუკეთესოა), მიმოხილვა რომში მცხოვრები სტიპენდიანტებისა - ეს ის ფილმებია, რომლებიც, ასეა თუ ისე, რაღაცას ეუბნება მაყურებელს, რომელთა ავტორებისგან რაღაცას მოელი. რაც შეეხება უცხოელ სტუდენტთა ფილმებს, საინტერესო იყო ნიდერლანდების კინოსა და ტელევიზიის აკადემიის სტუდენტის ჯისტა რიკელსის დოკუმენტური ფილმი Untertage, მაღაროელებსა და მათ მძიმე შრომაზე. მიწის ზემოთ ამოსული სახეგაშავებული მეშახტეები შვებით ეწევიან სიგარეტს და სულ არ ადარდებთ, რომ ამ დროს სრულიად შიშვლები არიან - მძიმე შრომის შემდეგ, შხაპის მიღებამდე, ერთხელ მაინც ხომ უნდა იგრძნო თავი ადამიანად?!

კინოჩვენება დასრულდა. სამაგიეროდ გრძელდება მათი განხილვა, ოღონდ არა ჟიურის წევრებთან, არამედ სტუდენტ კინომცოდნეებთან, რომლებიც დღეს გამართავენ სემინარს. საინტერესოა, როგორ შეაფასებენ საკონკურსო ფილმებს ახალგაზრდები და ვინ მოიპოვებს ფესტივალის კიდევ ერთ ნომინაციას - წლის საუკეთესო კინომცოდნის ტიტულს.

**P.S.** შემდეგში მოგიყვებით ფესტივალის თეატრალური ნაწილის - მნიშვნელოვანი და საინტერესო წარმოდგენების შესახებ.

# ანა კალანდაძე იუბილარია

დღეს ცნობილ პოეტს ანა კალანდაძეს 80 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 24 დეკემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ანა კალანდაძის პოეზიის საღამო გაიმართება. საღამოზე წარმოდგენილი იქნება პოეტის შემოქმედება და მის ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები. საიუბილეო საღამოს რეჟისორია გოჩა კაპანაძე.

პოეტის იუბილეს მიეძღვნა ლექსების კრებული, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალებით თბილისის მერიამ გამოსცა.
*მედია-ნიუსი*

# შთაგონება - ეიფელის კოშკი

## ასოციაცია - მანქანით ფრენა

თამარ ბაბუაძე



პარასკევს სამხრეთ საფრანგეთში გაიხსნება მსოფლიოში უმაღლესი ხიდი, რომელიც კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ხიდი ხელოვნებასა და ხელოსნობას შორის ჩატეხილი არ არის.

ახალი საუკუნის დადგომისთანავე ამაში ნორმან ფოსტერის არქიტექტურულმა ფირმამ დაგვარწმუნა - ლონდონში გახსნილი ათასწლეულის ხიდით, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშით. გუშინ კი იგივე აზრით საზოგადოების წინაშე ისევ ფოსტერი წარდგა - ოღონდ ეპიცენტრით უკვე ლონდონიდან შორს, სამხრეთ საფრანგეთში.

იქ პარასკევიდან უკვე სრულად დაიტვირთება გზატკეცილი, რომელიც ტარნის ხეობაზე გადაივლის და პარიზიდან, მთების ცენტრალური მასივის გავლით, კოტ დ`აზურისა და ესპანეთისკენ მიმავალ მანქანებს მიიღებს.

მაგრამ გზაც არის და გზაც. ეს იქნება მარშრუტი, რომელიც უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ყველაზე ნაკლებად რომანტიკოს მძღოლსაც კი; მარშრუტი, რომელიც მანქანით ცაში ფრენას უფრო დაემსგავსება.

ნორმან ფოსტერი ხომ მოყვარული პილოტია და ასე რომ, კარგად იცის, რასაც გულისხმობს. მისი აზრით, ხიდის გადავლისას ფრენის გახსენება უბრალო, სიტყვიერი პოეტიკა კი არ არის, არამედ რეალურად აღძრული განცდა, რომელიც ყველას დაეუფლება - სატვირთო მანქანის მძღოლსაც და ისეთსაც, არქიტექტორივით, თვითმფრინავის მართვის მოწმობა რომ აქვს.

მოკლედ, ხელთათმანების მწარმოებელი პატარა ფრანგული ქალაქი მილო ფოსტერის დიზაინის წყალობით მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, მაგრამ პარასკევიდან იქაურები ისეთ მშვიდ ცხოვრებას დაიწყებენ, რამდენიმე წლის წინ რომ არც დაესიზმრებოდათ. ქალაქის სმენას აღარც პარიზიდან ესპანეთისკენ მიმავალი მანქანების "ფლოქვების თქარუნის" ატანა მოუწევს და აღარც ისედაც გამომშრალ ჰაერში გარეული გამონაბოლქვის სუნთქვა.

პარასკევიდან დაწყებული, მანქანები მილოს გვერდს აუქცევენ, ქალაქის აღმოსავლეთისკენ აიღებენ გეზს და გადაივლიან ტარნის ხეობაზე გადებულ ულამაზეს ხიდს, რომელიც ერთ წერტილში ეიფელის კოშკზეც მაღალია.

თანაც, ეიფელის კოშკი საქმეში ტყუილად არ ფიგურირებს. სერ ნორმან ფოსტერმა შთაგონებისთვის სწორედ მას მიაკითხა. გაჯიბრებაც კოშკსა და ხიდს შორის, ალბათ, თავიდანვე ჩაიფიქრა. ფრაზა - "ეიფელის კოშკზე მაღალი ხიდი" ხომ უდიდეს ინტრიგას იტევს და ცნობისმოყვარეობასაც დიდს აღძრავს.

პარიზული კოშკი კიდევ იმ შუაშია, რომ ფოსტერის ქმნილებას სილამაზით გუსტავ ეიფელის 1884 წელს აშენებულ გარაბიტის ვიადუკს ადარებენ, ზოგი კი იმასაც ამტკიცებს, რომ ეიფელის ნახელავს - წითლადშეღებილ რკინის სარკინიგზო ხიდს, ფოსტერის ნახელავი ჯობია - შვიდ უმაღლეს ბოძზე შემდგარი ხიდი, რომელიც უფრო ღრუბლებში მცურავ აფრებიან ხომალდს წააგავს.

ცხადია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ინგლისელი ფოსტერის ფრანგული ნაწარმოები პირადად არ მინახავს, მაგრამ სამაგიეროდ, "გარდიანის" მიმომხილველმა ჯონათან გლენსიმ ისე კარგად ამიღწერა იქაურობა, რომ წარმოსახვაში სურათს უცებ შევასხი ხორცი. აი, როგორ იხსენებს ის ტარნის ხეობაში მოგზაურობას:

"ხეობის კლდოვან ნაპირზე სეირნობისას შორიდანვე დავინახე მაღლა, ცაში, ღრუბლებს შორის ამოჩრილი რკინაბეტონის სვეტები... დანარჩენის გარჩევა შეუძლებელი იყო, ხიდის ქვედა ნაწილს ღრუბლები ფარავდა... მაგრამ შემდეგ, როცა შუადღის მზემ ცა გადაწმინდა, ხიდიც მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგა ჩემ წინაშე. ეს იყო ხელოვნების ნამდვილი ნიმუში. ზოგიერთი რაკურსით - თითქოს არაამქვეყნიურიც. უმძიმესი კონსტრუქცია, რომელიც ისეთი სიმსუბუქის განცდას ტოვებდა, რომ ერთ მომენტში მეგონა, მზის სხივებში დაინთქმება-მეთქი... ხიდი ფეხით გადავიარე, თითქმის ორ წუთში, გზა შეუმჩნევლად დამრეცად დაეშვა ქვევით და ხიდზე სეირნობა კიდევ უფრო სასიამოვნო გახადა... 3-მეტრიანი, ქარისგან დამცავი ეკრანები გამჭვირვალე აღმოჩნდა და პეიზაჟი კიდევ უფრო გამილამაზა... ხიდი ისე გაჩნდა და გაქრა თვალსაწიერიდან, როგორც სინათლის სხივი..."

როგორც ხედავთ, პათეტიკას ვერც "გარდიანის" თავშეკავებულმა მიმომხილველმა დააღწია თავი. ეს კი ისევ ფოსტერის ღირსებაზე მეტყველებს.




თუ მან ირონიულ ბრიტანელს ხიდის შესახებ ასეთი ოდა დააწერინა (თანაც საფრანგეთში თავისი თანამემამულის მიერ აშენებული ხიდის შესახებ), ე.ი. მისი ხიდი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ხიდი. ის არც ბეწვისაა, არც ჩატეხილი და არც შეყვარებულების. ის უფრო საფრანგეთის სამხრეთ მთიანეთის ბუნებაში შეტანილი გრანდიოზული "კორექტივაა"; პირდაპირ ღია ცის ქვეშ "დახატული" ფერწერული ტილო, რომელსაც დისტანციური მართვის პულტით ისევ ბუნება მართავს - ხან ღრუბლებში მალავს ხიდს, ხან მზის სხივებზე აბრჭყვიალებს მის 3-მეტრიან საქარე ეკრანებს...

თუმცა, ჯობია, წერა აქ დავასრულო, თორემ, ვატყობ, პათეტიკით მალე "გარდიანის" მიმომხილველსაც გადავუსწრებ. თანაც, მას რეალურად ნანახი მაინც ჰქონდა, რაზეც წერდა, მე კი... თუმცა, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ხიდის შეუფერხებელი ექსპლოატაცია 120 წელზეა გათვლილი; წესით, მან ექსტრემალურ სეისმურ და მეტეოროლოგიურ პირობებსაც უნდა გაუძლოს და იქნებ, ამ 120 წლის მანძილზე, ჯონათან გლენსის მიერ გავლილი გზა მეც გავიარო, ზემოთ გამოჟონილი პათეტიკაც ამით გავამართლო და ის ჩატეხილი ხიდიც გავამთელო ჩემ რეალობას და სურვილებს შორის რომ გადის.

მანამდე კი, ფოსტერის ხიდი საფრანგეთი-ესპანეთის დამაკავშირებელ გზას ამთელებს და თან ბარსელონასკენ დაძრულ მგზავრთა ფართო ნაკადს დაუვიწყარ სანახაობას სთავაზობს.

ანუ, მსოფლიოში უმაღლესი ხიდის გადავლა ნაწილობრივ იგივეა, რაც ხელოვნების ნიმუშების კარგი გამოფენის დასათვალიერებლად წასვლა. ვინც წახვალთ და დაათვალიერებთ, მერე მომიყევით...

# დეივ ბრუბეკი - ღვთისმეტყველი

*საქვეყნოდ ცნობილ ჯაზ-მუსიკოსსა და კომპოზიტორს დეივ ბრუბეკს ღვთისმეტყველების პროფესორის საპატიო ხარისხი მიანიჭეს. ამ ხარისხით მუსიკოსი დააჯილდოვა შვეიცარიის ქალაქ ფრიბურის პრესტიჟულმა უნივერსიტეტმა, რომელიც ვატიკანის ნებართვით უფლებამოსილია საღვთისმეტყველო განათლება მისცეს დაინტერესებულ ადამიანებს.*

დეივ ბრუბეკმა სახელი გაითქვა პოპულარული ჯაზ-კომპოზიციებით, ისეთებით, როგორიცაა Take Five, თუმცა ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ 84 წლის ჯაზმენის მიერ დაწერილია არც ისე ცოტა სასულიერო და საეკლესიო მსახურებისთვის განკუთვნილი ნაწარმოებები. ბრუბეკის კვარტეტი 50-60-იან წლებში გახდა პოპულარული, ხოლო 1960 წელს გამოცემული Time Out, ჯაზის ისტორიაში ყველაზე დიდი ტირაჟით გაყიდული ალბომია.

1968 წელს ბრუბეკმა პირველად სცადა სასულიერო თემატიკაზე შეექმნა მუსიკალური ნაწარმოები და დაწერა ორატორია "სინათლე უდაბნოში". მუსიკოსის შთაგონების წყარო გახდა მაცხოვრის სწავლება, მტრების სიყვარულის შესახებ. ბრუბეკის თქმით, ბიბლიური მცნება მას მეორე მსოფლიო ომის ფრონტზეც დაეხმარა. 1979 წელს ბრუბეკს კათოლიკური მესისთვის შეუკვეთეს მუსიკა. როგორც კომპოზიტორი იგონებს, მუსიკა "მამაო ჩვენოსთვის" მან სიზმარში მოისმინა. საღვთისმსახურო მუსიკამ ბრუბეკი ისე მოხიბლა, რომ კათოლიკობაც მიიღო. სან ფრანცისკოში რომის პაპის იოანე პავლე მეორის ვიზიტისთვის საგანგებოდ მან ნაწარმოებიც დაწერა. საერთო ჯამში ბრუბეკმა მეუღლესთან (იოლა ბრუბეკის ნაწარმოებების ტექსტების ავტორია) ერთად, რელიგიურ და საზოგადოებრივ თემატიკის 16 საგუნდო და საორკესტრო ნაწარმოები შექმნა. კომპოზიტორმა ასევე დაწერა მუსიკა 30 რელიგიური ჰიმნისთვის. "როდესაც მთხოვენ რომელიმე მუსიკაზე წმინდა ტექსტი დავადო, პირველ რიგში მისი ისტორიის შესწავლას ვცდილობ, შემდეგ კი მის აზრში წვდომას", - ამბობს თავად მუსიკოსი.

ბრუბეკისთვის საპატიო ხარისხის მინიჭების იდეა ფრიბურსკის უნივერსიტეტის პედაგოგს, ამერიკელ მღვდელმსახურს მაიკლ შერვინს ეკუთვნის. "თქვენ საკუთარი მუსიკალური ნიჭი მოახმარეთ ადამიანებში ღვთის შემეცნებას; იმას, რომ ეს რწმენა მათში გაძლიერდეს; თქვენ ხელი შეუწყეთ იმას, რომ ადამიანებს უყვარდეთ ღმერთი და საკუთარი მტრებიც კი - თქვენ ეს საკუთარი ნაწარმოებებითა და ვირტუოზული შესრულებით შეძელით. თქვენ დაუღალავად მოწმობდით ქრისტეში და ეკლესიის საიდუმლოებებში განხორციელებულ სიყვარულსა და ჭეშმარიტებას. თქვენ ღვთაებრივი სიყვარულის ჭეშმარიტი გზავნილი ხართ," - ამგვარად მიულოცა სასულიერო პირმა ჯაზმენს საღვთისმეტყველო ხარისხის მიღება.

სამსონ ლეჟავას სვეტი

## ჩანართი მეორე: ქართული სუფრის წესრიგი და მისი რღვევა



უკანასკნელ ხანს ვნებათაღელვა გამოიწვია დავამ ქართული სუფრის საზრისის შესახებ, რომელმაც, სამწუხაროდ, დიალოგის სახე ვერ შეიძინა. ეს არ არის კერძო პოლემიკა - საქმე ეხება ჩვენი კულტურის ღირებულებათა სისტემის მნიშვნელოვან გამოვლინებას.

მართალია, ჩემთვის საპატივცემულო პიროვნებათა რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებში ჩანდა სიმართლის მარცვლები, მაგრამ მახსენდება გამონათქვამი იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტების ფესვები ღრმაა... გასარკვევია, თუ რას ვიცავთ, ანდა უარვყოფთ - ანუ უნდა განვსაზღვროთ გასაანალიზებელი მოვლენის რაობა, მისი არსი.

სუფრა როდია მხოლოდ ზედაპირული გართობის "არე". მას სერიოზული მსოფლმხედველობრივი დატვირთვა გამოარჩევს, და იგი წარმოაჩენს კიდეც კულტურის ერთ-ერთ ძირეულ მოდელს.

ქართული სუფრის წესრიგი ღრმად გამოხატავს ფასეულ ტრადიციებს, და თავისი პირველსაფუძველით - მომდინარეობს რელიგიური მსოფლმხედველობიდან. რელიგია გულისხმობს კავშირის აღდგენას უფალთან, და ამასთან ერთად, იგულვებს ადამიანთა ერთობასაც ამ ურთულეს გზაზე. ეკლესიაში ჩენილი ლოცვითი ურთიერთშეზიარებულობის ანარეკლია საერო სივრცეში ქართული სუფრაც - ოღონდაც, ცხადია, თავისი შეუბღალავი ფორმით. იგი რიტუალური შესაკრებელია, თავმოყრის, გულგახსნილი ურთიერთობის, ცოცხალი კომუნიკაციურობის ადგილი. ისევე როგორც ცუდი სპექტაკლის გამო ვერ უარვყოფთ თეატრს, როგორც ხელოვნების ფორმას, მცდარი იქნებოდა ქართული სუფრის, როგორც ფენომენის გაიგივება მის პროფანულ, მდარე, ფსევდო-გამოხატულებებთან. ასევე, მიჯნურობის ამაღლებულობას ვერაფერს დააკლებს სიძვა თუ მრუშობა, ხოლო "მრავალჟამიერის" საზეო განზომილებას - გაპაპსებული რემიქსი. დავძენ, რომ ძალზე საგულისხმოა ეთნოლოგ ნინო აბაკელიას მიერ განხორციელებული, ქართული სუფრის ფუნდამენტური ანალიზი.

ქართული სუფრისავე ღრმად შემოქმედებითი ხასიათი ეჭვმიუტანელია მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს თავისუფალ პიროვნებათა ერთობლივ ზეიმს, სადაც თამადა მხოლოდ წარმართავს მის ცოცხალ, დინამიკურ რიტმს. ასეთ დროს მჭევრმეტყველებას, ურთიერთდალოცვას, პირველყოვლისა ღვთისადმი, და წინაპართა სულებისადმი პატივმიგებას - ენაცვლებოდა უმაღლესი ჰარმონიით გამორჩეული, კვლავ და კვლავ რელიგიური დატვირთვის მქონე "მრავალჟამიერი", "ჩვენ მშვიდობა", "რიხი" (მასპინძლის სასიმღერო დალოცვა), თუ სხვანი. შთაგონებით, ზოგჯერ ექსპრომტად წარმოთქმული. ლექსიც - რაღა თქმა უნდა, ამშვენებდა მას, ისევე როგორც ენამოსწრებულობა და ცინცხალი, ურთიერთკეთილგანწყობილი იუმორი. ქართული სუფრის ძირეულ მახასიათებელთა შინაგანი მატარებლობა გამოარჩევდა ჩვენში ყოველ ფენას - არისტოკრატიასაც, თავისთავად - სამღვდელოებასაც და ასევე - დიდი სისრულით-გლეხობას (რისი თვალსაჩინო დასტურიცაა გიორგი ლეონიძისეული "ნატვრის ხე") და სხვა.

ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები კონცენტრულად წარმოაჩენს ჩვენებური სუფრის თავისებურ ტრაპეზულობას. ფიროსმანის "ქეიფთა" რეპრეზენტატიულობა და გარინდება ამის უცილო დასტურია. მის ტილოებში "ჩართული", თუ ცალკეული ნატურმორტები ცხადყოფს, რომ საკვები აქ აღიქმებოდა არა ხორაგად, არამედ ღვთის წყალობად. რაც შეეხება ლადო გუდიაშვილის ოციანი წლების სურათებს, მათში აღარაა ფიროსმანისეული ჰარმონია. უკვე - დანახული და განჭვრეტილია კულტურის ის ღრმა კრიზისი, რაც ისტერიულ, ურთიერთგაუცხოებულ, "ბოჰემურ" ღრეობებში უტყუარად ამოიცნო და განჭვრიტა მხატვარმა (ვახტანგ ბერიძე).

ქართული სუფრის მაღალი განზომილება ერთბაშად არ მოშლილა. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. თენგიზ მირზაშვილის ზოგიერთ ნაწარმოებში ჯერაც ჩანს მისი სისუფთავე, სინაღდე.

დღესაც აღფრთოვანებით მოიხსენიებენ პეტრე ბოკერიას მიერ წარმართულ სუფრას - მის თამადობას გამოარჩევდა დიდი სიდარბაისლე, სიდინჯე, უმაღლესი არტისტიზმი, არისტოკრატულობა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს შალვა დადიანის, ანდა განსაკუთრებით - "ცისფერყანწელთა" მიერ მოწყობილი სუფრისეული დღესასწაულები, თუ რაოდენ მძლავრად ზემოქმედი იქნებოდა.

ის, რაც თავად აღმიქვამს - ამჟამადაც ინტენსიურ შთაბეჭდილებად რჩება. მახსოვს კარლო კალაძის რამდენადმე "რაბლეზიანურ-გროტესკული", იშვიათი ენამახვილობით გამორჩეული სუფრის გაძღოლა. შეუდარებელი თამადა იყო თეიმურაზ ჩირგაძე. მისი ფეიერვერკული, ზოგჯერ დაუჯერებელი იმპროვიზაციულობა, უმაღლესი მუსიკალურობა, სრულებით მოულოდნელი, გამაოგნებელი "სვლები" განგაცვიფრებდათ კიდეც. უფრო "აკადემიური" ჩანდა ცნობილი მსახიობის, ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოამაგის, ჩვენი ისტორიის ნამდვილი ექსპერტის, ბატონი გიორგი გელოვანის ზეპირი, ხატოვანი მინიატურებით გამდიდრებული სუფრის ხელმძღვანელობა, რასაც მისი არაორდინარული გარეგნობაც მეტ ლაზათს სძენდა. უმაღლესი დონის თამადა უდავოდ იყო აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, თავისი უზადო ქართულით, ინტელექტუალურობისა და თავდაჭერილი ემოციურობის უიშვიათესი შეხამებით - აქ ჯერ კიდევ ჩანდა აკაკისეული "თორნიკე ერისთავის" არსებითად სადა ტრაპეზის სულისკვეთება. . .

სრულიად ნათელია, რომ ტრადიციული ქართული სუფრა დღეს მეტად სერიოზულ კრიზისს განიცდის, რაც კულტურის ზოგადი დაქვეითების მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანია. ყალბი "სუფრულობის" მახინჯ გამოვლინებათა კრიტიკა უდავოდ გასაზიარებელია, ამასთან, რამდენადაც მახსოვს, მსგავს პოზიციას კარგა ხნის წინ პირუთვნელად გამოხატავდა კულტუროლოგი ჯანრი კაშია, როგორც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამცველი და ქართული კულტურის "ძირების" მკვლევარი.

ნამდვილი, შეურყვნელი სუფრა მიხილავს ძველი თბილისის ეზოებშიც, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისა და განსხვავებული რელიგიების მიმდევართა თავშეყრის ფორმა როგორც სალხინო, ისე ჭირის სუფრაზე, ბუნებრივად ურთიერთმეგობრული იყო და უმაღლესი ყოფითი კულტურის დიდ სიფაქიზეზე მეტყველებდა. ამჟამად ასეთი რამ სულ უფრო დიდი იშვიათობაა. სუფრის შემოქმედებით სულსა და მოქნილ წესრიგს ხშირად დაბეჯითებით ენაცვლება ხმაური და უკონტაქტობა; აყალ-მაყალი და ღრიანცელი; მემთვრალეობა - ნაყროვანება და ამაოდმეტყველება - ანუ კნინდება მისი ნამდვილი მახასიათებლები. ეს მართლაც დამაჯერებლად წარმოჩინდა ირაკლი კვირიკაძის ფილმში "ქალაქი-ანარა".

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ქართულ სუფრას არა მარტივი უარყოფა, არამედ ჩაწვდომა, შემეცნება და გაწმენდაც ესაჭიროება, მისი პირველ - არსის შეძლებისდაგვარი აღორძინება...

მოკლედ

# კლინსმანის ორი ცვლილება



ამ თვეში გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები აზიაში ტურნეს გამართავს. გუნდის მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ორი ცვლილება განახორციელა. გერმანიის ნაკრები დარჩა მიუნხენის "ბაიერნის" ჰავბეკის ტორსტენ ფრინგსის გარეშე, რომელმაც ბუნდესლიგის ჩემპიონატის მატჩში "შტუტგარტთან" ბარძაყი იტკინა. ლაზარეთში აღმოჩნდა ფრანკ ბაუმანიც, რომელმაც "ვერდერის" შემადგენლობაში "კაიზერსლაუტერნთან" ვერ ითამაშა.

კლინსმანმა, რომელიც აპირებს, აზიურ ტურნეში გამოსცადოს გუნდის უახლოესი რეზერვი, ნაკრების შემადგენლობაში გამოიძახა "ვერდერის" მცველი კრისტიან შულცი და "კაიზერსლაუტერნის" ნახევარმცველი მარკო ენგელჰარდტი. "მე ყურადღებით ვაკვირდები ამ ფეხბურთელების თამაშს", - განაცხადა იურგენ კლინსმანმა.

"შალკე 04-ის მცველი კრისტიან პანდერი აზიურ ტურნეში ნაკრებთან ერთად კი გაემგზავრება, მაგრამ ბარძაყის ტრავმის გამო შეიძლება ვერ ითამაშოს იაპონიის, კორეისა და ტაილანდის წინააღმდეგ.

# აპელაცია

რომის "ლაციომ" გააპროტესტა უეფას გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ევროპულ სარბიელზე თავის მომავალ მატჩს გუნდი ცარიელი ტრიბუნების წინ გამართავს. "ლაციო" ნოემბერში უეფას თასის შეხვედრისას არასპორტული საქციელის გამო დაისაჯა.

გასულ კვირას უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომაული კლუბის სტადიონისთვის გულშემატკივართა რასისტული გამოხდომების გამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა. სერბეთის "პარტიზანთან" 25 ნოემბრის შეხვედრაში ტრიბუნიდან საგნები ცვიოდა. ამას გარდა, პოლიციასთან შეტაკებაც დაფიქსირდა, ხოლო ერთ-ერთი გულშემატკივარი დანით დაჭრეს.

ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი, მაგრამ "ლაციომ" მეთექვსმეტედფინალში გასვლის ყველა შანსი დაკარგა. თუ "ლაციოს" აპელაციას არ დააკმაყოფილებენ, მაშინ ევროტურნირების მომდევნო მატჩს გუნდი ცარიელი ტრიბუნების წინ გამართავს.

უეფაში აპელაცია გაგზავნა მადრიდის "რეალმაც", რომელიც "ბაიერთან" შეხვედრაში გულშემატკივრების საქციელის გამო 9780 ევროთი დააჯარიმეს. უეფამ დასციპლინარული გამოძიება დაიწყო მადრიდში, "სანტიაგო ბერნაბეუზე" 23 ნოემბერს მომხდარი ფაქტის გამო. ტრიბუნებიდან "ბაიერის" შავკანიან მოთამაშეთა მიმართ რასისტული ლოზუნგები ისმოდა. ამას გარდა, ზოგიერთი გულშემატკივარი ნაცისტური მისალმებით ზეწოლას ახდენდა სტუმარი გუნდის ფეხბურთელებზე. უეფას წარმომადგენლებს არც ეს ფაქტი გამოჰპარვიათ მხედველობიდან. უეფამ განაცხადა, რომ ორივე კლუბის აპელაციას 2005 წლის იანვარში განიხილავს.

# აქციები ვალის წინააღმდეგ

"გლაზგო რეინჯერსმა" ახალი აქციების გამოშვებით 71,3 მილიონი ევრო გამოიმუშავა და ახლა ვალის ნაწილის დაფარვას შეძლებს. კლუბის ვალების საერთო რაოდენობა კი 106,9 მილიონს შეადგენს.

"რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიურეი იმედოვნებდა, რომ ამ გზით 82,4 მილიონ ევროს იშოვიდა. თუმცა, მისი პროგნოზი არ გამართლდა. და მაინც მიურეი, რომელიც ამჟამად კლუბის აქციების 91,8 პროცენტს ფლობს, გახარებული იყო.

"მე შედეგით კმაყოფილი ვარ, - თქვა მან, - ეს ჩვენი იდეა იყო, აქციები გამოგვეშვა მათთვის, ვისაც უკვე აქვს და მათთვისაც, ვისაც ამ აქციების შეძენა სურს. თუ გავითვალისწინებთ ამ აქციათა მფლობელების რაოდენობას, შეიძლება ითქვას, რომ მიზანს მივაღწიეთ. ჩვენ ერთად დიდი ნაბიჯი გადავდგით კლუბის ნათელი ფინანსური მომავლისკენ".

ამ ღონისძიების წარმატება განაპირობა კომპანია MHL-მა, რომელიც პროექტის ფინანსურ გარანტად გამოვიდა. ამას გარდა, აქციონერთა საერთო რაოდენობამ 4500-ს გადააჭარბა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი იდეა პოპულარული გახდა", - განაცხადა მიურეიმ.

ფეხბურთი

# შევჩენკო საუკეთესოა!

ფრანგული ყოველკვირეული გამოცემა France Football-ის ვერსიით უკრაინის ნაკრებისა და იტალიური "მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია. ამრიგად, "მილანის" თავდამსხმელი ევროპული ფეხბურთის გრანდებს შორის დამკვიდრდა. შეგახსენებთ, რომ ყოფილი საბჭოეთიდან ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ ლევ იაშინი, ოლეგ ბლოხინი და იგორ ბელანოვი.

ტიტულისთვის პაექრობაში შევჩენკომ აჯობა "ბარსელონას" ფეხბურთელებს - დეკუსა და რონალდინიოს, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს. მეოთხე ლონდონის "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი იყო, მეხუთე - საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი თეოდოროს ზაგორაკისი, მეექვსე - "ინტერის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანო.

ის, რომ ანდრეი შევჩენკო France Football-ის რჩეული გახდებოდა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ იყო ცნობილი. დეკემბრის დასაწყისში იტალიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ "მილანის" ფორვარდი ერთადერთი კანდიდატურაა უძველესი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზზე. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა "მილანის" ხელმძღვანელობამ, რომელიც თავის ბომბარდირს გამარჯვებას ულოცავდა. ასე, მაგალითად, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ შედეგების გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო საზეიმო სამზადისი. არადა, ბუნებრივია, ასეთი პატივცემული ჩინოვნიკი არაფრით არ დაიწყებდა რაიმე ღონისძიებისთვის მზადებას, დაზუსტებული ინფორმაცია რომ არ ჰქონოდა.

მალე გავრცელდა ცნობა, რომ შევჩენკომ უკვე გაიარა ფოტოსესია და France Football-ის კორესპონდენტებს ინტერვიუ მისცა. თუმცა, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ოფიციალურად 13 დეკემბერს უნდა ელიარებინათ და დაეჯილდოებინათ კიდეც. თუმცა, ინფორმაციის გაჟონვა ბოლო დროს ფრანგული გამოცემისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. სწორედ ამიტომ მოვლენების განვითარების სცენარი იძლეოდა საშუალებას გვევარაუდა, რომ ევროპაში საუკეთესო სწორედ ანდრეი შევჩენკო იქნებოდა.



ანდრეი შევჩენკომ ოქროს ბურთი მოიგო.

უკრაინელს ყველა საფუძველი ჰქონდა, ჯერ კიდევ 2003 წელს გამხდარიყო საუკეთესო ფეხბურთელი. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი პენალტი ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში. თუმცა, ჯილდო ჩეხ პაველ ნედვედს ერგო. მართალია, ნედვედმა ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ სწორედ მან დაიდო ლომის წილი იმ საქმეში, რომ ტურინის "იუვენტუსი" ლიგის ფინალში გავიდა. ამას გარდა, ნედვედმა თითქმის პირადად მოაგებინა "იუვეს" "სკუდეტო", ხოლო ჩეხეთის ნაკრებმა ევრო 2004-ის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

საერთოდ, შევჩენკოსთვის ნაკრები აქილევსის ქუსლივით არის. როგორ არ ეცადა ფეხბურთელი, მაგრამ უკრაინის ნაკრებს დღემდე სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. თუმცა, ამის მიუხედავად, უკრაინელი ღირსია, მისი ტალანტი ჯეროვნად დაფასდეს. ისიც ხომ სიმართლეა, რომ უკრაინის ნაკრებთან ერთად გაცილებით უფრო ძნელია წარმატების მიღწევა, ვიდრე ვთქვათ, საფრანგეთის, პორტუგალიის ან იგივე ჩეხეთის გუნდთან ერთად.

კვირას თავისი ახალი ტიტულის მოპოვება ფორვარდმა დუბლით აღნიშნა ფლორენციის "ფიორენტინას" კარში, რომელიც "მილანმა" საბოლოო ჯამში - 6:0 გაანადგურა. "ჩემი დღევანდელი თამაშით უაღრესად კმაყოფილი ვარ, - მატჩის შემდეგ განაცხადა ანდრეი შევჩენკომ, - ჩვენ, უბრალოდ, შეუდარებლად ვითამაშეთ, ხოლო ხვალინდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. წლევანდელი წელი ჩემთვის შესანიშნავი იყო. მე დავქორწინდი, მამა გავხდი. ახლა კი ძალიან მსიამოვნებს, რომ ჩემმა წარმატებებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა".

ასე რომ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ანდრეი შევჩენკო მეოთხე ფეხბურთელი გახდა, რომელსაც ესოდენ დიდი აღიარება ხვდა წილად იაშინის, ბლოხინისა და ბელანოვის შემდეგ. შევჩენკოს შემდეგი მიზანია, უკვე არა ჟურნალისტების, არამედ ფიფას აღიარება მოიპოვოს. ამ ორგანიზაციამ უკრაინელი ფორვარდი 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სამ ნომინანტთა შორის შეიყვანა. შევჩენკოს მეტოქეები არიან ფრანგი ტიერი ანრი და ბრაზილიელი რონალდინიო. აღსანიშნავია, რომ World Soccer-ის ვერსიით რონალდინიომ უკვე მოიპოვა მსოფლიო აღიარება.

2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ფიფა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში 20 დეკემბერს დაასახელებს. ტრადიციულად, გამარჯვებულს ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები ასახელებდნენ, მაგრამ წლეულს არჩევანის პროცედურამ სახე იცვალა. ახლა მწვრთნელებთან ერთად თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ ეროვნული ნაკრებების კაპიტნები და FIFPro-ის წარმომადგენლები (ორგანიზაცია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით პროფესიონალ ფეხბურთელებს აერთიანებს).

თავდაპირველი ხმის მიცემისთვის ფიფამ თავისი ვერსიით 35 საუკეთესო ფეხბურთელი წარმოადგინა. ამათ მან ქალთა ფეხბურთის 21 წარმომადგენელიც დაუმატა. თუმცა, თავისებურ ფინალში აქედან სამ-სამი საუკეთესო მონაწილე უნდა გასულიყო. ესენი ვაჟთა შორის საბოლოოდ გახდნენ - "ბარსელონას" ფეხბურთელი რონალდინიო, არსენალელი ტიერი ანრი და მილანელი ანდრეი შევჩენკო.

# განგაში სტადიონზე

ნინო ტიკარაძე

*მადრიდის "რეალი" და "რეალ სოსიედადი" 5 იანვარს დაასრულებენ გასულ კვირას "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაწყებულ თამაშს, რომელიც სტადიონზე ნაღმის შესაძლო არსებობის გამო უკანასკნელ წუთებზე შეჩერდა, როცა ანგარიში ფრე 1:1 იყო. შეხვედრა იმ მომენტიდან განახლდება, რა დროსაც შეწყდა და ექვს წუთს გასტანს - მატჩის დასრულებამდე დარჩენილი ორი წუთი პლუს მსაჯის მიერ დამატებული ოთხი წუთი.*

თამაშის მსვლელობისას ბასკურ გაზეთში "Gara" უცნობის ზარმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მან ბასკური ტერორისტული ორგანიზაციის "ეტას" წევრად დაასახელა თავი და გაზეთს შეატყობინა, რომ "ბერნაბეუზე" დამონტაჟებული იყო ნაღმი, რომელიც ადგილობრივი დროით 21 საათზე აფეთქდებოდა. რა თქმა უნდა, მატჩი შეწყდა და პოლიციამ ადამიანების ევაკუირება დაიწყო, თუმცა, საბოოლოდ განგაში ცრუ აღმოჩნდა. პოლიციის განცხადებით, მუქარა იმდენად რეალური ჩანდა, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება სტადიონის ევაკუირება იყო. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ ესპანური ფეხბურთის ისტორიაში, როცა ასეთი მასშტაბის მატჩი ტერორისტების მუქარის გამო ჩაიშალა.



"სანტიაგო ბერნაბეუზე" ბომბიათ და "რეალის" მატჩი შეწყდა.

სხვათა შორის, ორი წლის წინათ, კერძოდ, 2002 წლის 1 მაისს, იმ დღეს, როცა "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის "რეალი" "ბარსელონას" უნდა შეხვედროდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, "ეტამ" მუქარა შეასრულა. მართალია, სტადიონი აფეთქებას გადაურჩა, მაგრამ მის მიმდებარე ტერიტორიაზე აალებულმა მანქანამ 17 ადამიანი მსუბუქად დააშავა.

"პოლიციამ ვერაფერს მიაგნო. ახლა კი დროა, შიში დავივიწყოთ და მხოლოდ კარგზე ვიფიქროთ. იმედი გვაქვს, ეს არასოდეს გამეორდება," - განაცხადა მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა.

პერესისგან განსხვავებით, "რეალ სოსიედადის" პრეზიდენტი ნაკლებად დამფრთხალი ჩანდა: "ახლაც ვფიქრობ და მაშინაც იმ აზრზე ვიყავი, რომ დარჩენილი დრო უნდა გამოგვეყენებინა და მატჩი დაგვესრულებინა."

მოკლედ, 2005 წლის 5 იანვარს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება მადრიდის "რეალისა" და "რეალ სოსიედადის" ექვსწუთიანი შეხვედრა, რომელიც, იმედია, ექსცესების გარეშე ჩაივლის.

კალათბურთი

# ფენიქსში მზე ამოვიდა

სანდრო ნავერიანი

*"ფენიქს სანზი" დამაჯერებლად აგრძელებს რეგულარული ჩემპიონატის ლიდერობას. მის ანგარიშზე 21 ჩატარებული შეხვედრიდან 18 მოგებაა, რაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია ("ფენიქს სანზის" შემდეგ მოდის "სიეტლ სუპერსონიქსი"). მეტიც, მაჩვენებელი "18-3" (18 გამარჯვება, 3 მარცხი) სარეკორდოა არიზონას შტატის გუნდისთვის (37-წლიანი ისტორიის მანძილზე).*

ორშაბათს "ფენიქს სანზმა" დამაჯერებლად დაამარცხა ამ სეზონში ასევე კარგად მოთამაშე "ორლანდო მეჯიქი" (122:100). მიუხედავად იმისა, რომ ფენიქსელმა მზეებმა მატჩის თითქმის ნახევარი თავიანთი აშკარა ლიდერის სტივ ნეშის გარეშე ჩაატარეს, მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება არ გასჭირვებიათ. კანადელი გამთამაშებელი შეცვალა ახალგაზრდა ლეანდრო ბარბოსამ, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ამოცანას. მან მოედანზე სულ 21 წუთი გაატარა. ამ პერიოდში თავის გუნდს 19 ქულა შესძინა და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

"ჩვენ ყველანი ვცდილობდით, ბარბოსას დავხმარებოდით და მორალურად გვერდში დავდგომოდით, რომ არ ენერვიულა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოევლინებინა, - თქვა მატჩის შემდეგ სტივ ნეშმა, - დღეს ბარბოსამ, უბრალოდ, ბრწყინვალედ ითამაშა". "მატჩის წინ მე და სტივმა ვილაპარაკეთ. მან მომცა რჩევები, რომელმაც განაპირობა ჩემი კარგი თამაში. ის კალათბურთის პროფესორია", - განაცხადა ლეანდრო ბარბოსამ, რომელსაც ერთი კვირის შემდეგ 22 წელი შეუსრულდება. არც გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელი მაიკ დ`ენტონი მალავდა იმას, რომ ნასიამოვნებია რეზერვისტის თამაშით: "ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმიტომ, რომ სტივმა დასვენება შეძლო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბარბოსამ დაგვანახა: მას შეუძლია, ნებისმიერ დროს ნეში სათანადოდ შეცვალოს".

ამ გამარჯვებამ გვიჩვენა, რომ "ფენიქს სანზი" არ არის ისეთი გუნდი, რომელსაც თამაში წაუვიდა და რამდენიმე მოგებული მატჩის შემდეგ ჩავარდნა დაეწყება. რა თქმა უნდა, არავინ არაფრისგან არ არის დაზღვეული, მაგრამ, დამეთანხმებით, 18 გამარჯვება შემთხვევითი არ უნდა იყოს. "რასაკვირველია, გამარჯვება კარგია, მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი. სწორად ამ შეხვედრებში უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი გამარჯვებები შემთხვევითი არ ყოფილა". - განაცხადა კვენტინ რიჩარდსონმა, რომელმაც, თავის მხრივ, 26 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ის მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. ნატყორცნი 12 სამქულიანიდან მან ექვსი გამოიყენა.

დღეს "ფენიქს სანზი" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე შედეგიანი გუნდია. ის ერთ მატჩში საშუალოდ 109,5 ქულას აკეთებს. ორშაბათის შეხვედრა რიგით მეოთხე იყო, რომელშიც ფენიქსელებმა 120-ქულიან ბარიერს გადააბიჯეს.

რაც შეეხება "ორლანდო მეჯიქს", აქ ისევ და ისევ გამოსარჩევია გრანტ ჰილი, რომელმაც 23 ქულა შესძინა ფლორიდულ კლუბს. ყოფილმა ჰიუსტონელებმა სტივ ფრენსისმა და კატინო მობლიმ, შესაბამისად, 18 და 15 ქულა შესძინეს ორლანდოს გუნდს. "მეჯიქის" მთავარმა მწვრთნელმა კი განაცხადა, რომ "ფენიქს სანზზე" დალაგებული და სტაბილური გუნდი წლევანდელ სეზონში არც ერთი არ არის. ასე რომ, ერთი მხრივ, მათთან მარცხი საწყენიც კი არ არის.

დაბოლოს, თუ ფენიქსელებმა ასე გააგრძელეს, თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ "ფენიქს სანზი" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ბეჭდების მოპოვების მთავარი პრეტენდენტია. სტივ ნეში, ამარე სტადემაირი, კვენტინ რიჩარდსონი და დანარჩენი ფენიქსელები იპოვიან ადგილს მზის ქვეშ და, იმ შემთხვევაში, თუ მათ შავმა ღრუბელმა არ გადაუარა, ჩემპიონებიც გახდებიან.

კრივი

# კლიჩკო ჯონ რუისს შეხვდება





დონ კინგი და ლენოქს ლუისი მიიჩნევენ, რომ მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი არ ჰყავს.

უკრაინელმა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში ვიტალი კლიჩკომ არ იცის, თუ ვინ იქნება მისი მომდევნო მეტოქე, მაგრამ მზად არის, ჯონ რუისს შეხვდეს. ამის შესახებ უფროსმა კლიჩკომ დენი უილიამსთან ბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. შეგახსენებთ, რომ დენი უილიამსის დამარცხებით ვიტალი კლიჩკომ WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

"ჯერჯერობით არ შემიძლია იმის თქმა, თუ ვინ გახდება ჩემი მომდევნო მეტოქე, - განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა, - არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც განხილული იქნება". WBA-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ჯონ რუისის წერილის კომენტირებისას, რომელმაც სხვა ვერსიების ჩემპიონებს ბრძოლა გამოუცხადა, კლიჩკომ აღნიშნა, რომ ამ ბრძოლის ორგანიზებას შეიძლება ჰქონდეს მომავალი. მოკრივის თქმით, მას ყოველთვის სურდა ისე ეჩხუბა, რომ საშუალება ჰქონოდა, ერთდროულად რამდენიმე ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო.

"ბოლოს და ბოლოს, მე არ ვარ წინააღმდეგი, ჯონ რუისს ვეჩხუბო", - დაამატა კლიჩკომ. უკრაინელმა ისიც თქვა, რომ 16 დეკემბერს ჰამბურგში უნდა გაიმართოს სასამართლო სხდომა ძმებ კლიჩკოებსა და მათ ყოფილ პრომოუტერ კლაუს-პეტერ კოლს შორის არსებული უთანხმოების თაობაზე. ამის შემდეგ ძმები უკრაინაში დაბრუნებას აპირებენ.

ამასობაში არ წყდება საუბარი ვიტალი კლიჩკოს ავკარგიანობის შესახებ. ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი ამტკიცებს, რომ ვიტალი კლიჩკოსა და დენი უილიამსის ბრძოლამ მხოლოდ ერთ რამეს გაუსვა ხაზი: თანამედროვე კრივში მძიმე წონას პრობლემები აქვს. ეს წონა ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია.

"თუ კლიჩკო ჩემპიონია, მაშინ ჩვენ საერთოდ არ გვყავს ჩემპიონი. კლიჩკო დენი უილიამსს მთელი ძალით ურტყამდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მართლა კარგი მოკრივე უილიამსს, დიდი-დიდი, ოთხ რაუნდში ნოკაუტში გაგზავნიდა", - განაცხადა დონ კინგმა.

მან ისიც გაამხილა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს ტელეკომპანიასთან და სურს, მისი მხარდაჭერა მოიპოვოს პატარა ტურნირის ჩატარებაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ვერსიით მსოფლიო ჩემპიონები და ერთ საერთო ჩემპიონს გამოავლენენ. დონ კინგი, როგორც ჩანს, მართლაც, შეუწუხებია ტლანქი და მოუქნელი ვიტალი კლიჩკოს ჩემპიონობას და ცდილობს, მოძებნოს ისეთი მოკრივე, რომელიც უკრაინელ გიგანტს დაუპირისპირდება.

კინგის განმარტებით, ასეთი ტურნირი ყველა მხარისთვის სარფიანი იქნება, მათ შორის, ტელეკომპანიის შეფებისთვისაც, რომლებსაც ფულის დასათვლელად კალკულატორის მოშველიებაც არ დასჭირდებათ. "ამისთვის თითებიც საკმარისი იქნება", - განაცხადა დონ კინგმა.

არც ლენოქს ლუისი ისვენებს და ერთი სული აქვს, კლიჩკო რინგზე გაგორებული იხილოს. ამ მიზნის მისაღწევად ის მზად არის, რინგზე დაბრუნდეს და მოკრივის კარიერის დასრულების შესახებ თავისივე პირობა გატეხოს.

"მე შემიძლია, კლიჩკოსთან შესახვედრად ცხრა-ათ თვეში მოვემზადო, - განაცხადა ლენოქს ლუისმა, - როცა ვიტალი კლიჩკოსა და დენი უილიამსის ორთაბრძოლა ვნახე, ძალიან მომინდა, კლიჩკო ნოკაუტში გამეგზავნა. ამასთან ახლოს ვიყავი მაშინ, როცა ჩვენი ბრძოლა კლიჩკოს გახეთქილი წარბის გამო შეაჩერეს".

ვიტალი კლიჩკოს არ სჯერა, რომ ლენოქს ლუისი რინგზე დაბრუნდება. "ლუისი, ევანდერ ჰოლიფილდი, მაიკ ტაისონი - ყველა ეს მოკრივე ძველ თაობას მიეკუთვნება და ისინი უკვე ძლიერ მებრძოლებად აღარ მიიჩნევიან, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ლუისის განცხადებას ვიტალი კლიჩკომ, - მოვიდა ახალი თაობა და მე მისი წარმომადგენელი ვარ. ლუისს შესანიშნავი შანსი ჰქონდა, ჩემთან კიდევ ერთი ბრძოლა გაემართა, მაგრამ ის წავიდა. ეს მე გავუშვი ის პენსიაზე. მას დღემდე უნდა, რომ ვინმემ დამამარცხოს. ამ მიზნით ჯერ კორი სანდერსს აძლევდა მითითებებს, შემდეგ - დენი უილიამსს, მაგრამ გაირკვა, რომ მისი რჩევები არაფერს ნიშნავს, იმიტომ რომ მან არ იცის, როგორ მომიგოს... თუ მას სურს, დამარცხებული მიხილოს, მაშინ კეთილი ინებოს და ეს თავად გააკეთოს. მაგრამ არა მგონია, ეს მოხდეს... ჩემს ტექნიკასა და გამძლეობას ბევრი აკრიტიკებს. მიაჩნიათ, რომ ჩემი დამარცხება ადვილია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაირკვა, რომ ეს არც ისე ადვილია და ლენოქს ლუისს ეს სხვაზე უკეთ მოეხსენება".

მოკლედ

# დაგვიბრუნეთ სტენლის თასი!



კანადაში სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება გულშემატკივართა მოძრაობა. მათ NHL-ის ხელმძღვანელობის მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვთ. მართალია, ისინი არ ეხებიან ლოკაუტს, რომელიც NHL-ში 15 სექტემბრიდან მიმდინარეობს, მაგრამ ბევრი ფანის ცხოვრება ჰოკეის გარეშე როგორღაც გაუფერულდა.

კანადელები ითხოვენ, ქვეყანას ძველი ჯილდო, სტენლის თასი დაუბრუნონ. სწორედ ამიტომ გულშემატკივართა მოძრაობას ჰქვია "გავათავისუფლოთ სტენლი". მიზანი კი ერთია: NHL-ის თასი მხოლოდ კანადის გუნდებს შორის უნდა გათამაშდეს.

ჰოკეიში სტენლის თასის გამოჩენა მნიშვნელოვანწილად კანადის გენერალ-გუბერნატორის შვილის (რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფლის ვიქტორიას მოხელე იყო ამ ქვეყანაში. მაშინ კანადას დედოფალი ვიქტორია მართავდა) დამსახურებაა, რომელიც ამ თამაშის დიდი მოტრფიალე იყო. პრინციპში, თავად ლორდ სტენლი პრესტონელიც ჰოკეის დიდი ტრფიალი გახლდათ. 1892 წელს მან განაცხადა: "დიდი ფიქრის შემდეგ მომივიდა აზრი: კარგი იქნება, თუ დავაარსებთ გამოწვევის თასს, რომელიც კანადის წლის საუკეთესო გუნდს გადაეცემა".

სწორედ ამ ბოლო ფრაზას ჩაეჭიდნენ კანადელი პატრიოტები, რომლებიც ედმონტონში არიან დაბანაკებულნი. ისინი ამტკიცებენ, რომ NHL-ისთვის სტენლის თასის გათამაშების გადაცემა (ეს მოხდა 1947 წელს, ხოლო 2000 წელს ხელმეორედ, განახლებული სახით გაფორმდა) უკანონო იყო. ამიტომ პრესტიჟული ტურნირი კანადაში უნდა დავაბრუნოთ და მოვექცეთ ისე, როგორც ლორდ სტენლი ამბობდა.

იდეა კანადაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ორგანიზაცია "გავათავისუფლოთ სტენლი"-ს მიერ გავრცელებული განცხადებები. არადა, ამ ორგანიზაციამ ამ დღეებში დაიწყო ფუნქციონირება. თუმცა, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო გარჩევის საკითხი ღიად რჩება.

# ბალდინი "პარმას" არ აწყობს

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი მატჩის წინ თურქეთის "ბეშიქთაშის" წინააღმდეგ იტალიის "პარმამ" თანამდებობიდან გაათავისუფლა მწვრთნელი სილვიო ბალდინი.

"პარმა" დღესდღეობით ჯგუფში ბოლო ადგილზეა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი "ენიო ტარდინის" სტადიონზე "ბეშიქთაშს" დაამარცხებს, მას შანსი აქვს, ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მომდევნო ეტაპზე გავიდეს. ბალდინიმ კი მას შემდეგ დაკარგა სამუშაო, რაც შაბათს იტალიის ჩემპიონატის მატჩში "პარმა" “ლივორნოსთან" შეხვედრაში დამარცხდა და სატურნირო ცხრილში 15 ტურის შემდეგ 12 ქულით ბოლოდან მესამე ადგილზეა.

ვინ გახდება კლუბის მთავარი მწვრთნელი, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მოვალეობას დროებით დანიელე ძორატო შეასრულებს. "პარმა" მეოთხე იტალიური კლუბია, რომელმაც წლევანდელ სეზონში მწვრთნელი შეცვალა. ადრე მწვრთნელები გაათავისუფლეს "რომამ", "ფიორენტინამ" და "ატალანტამ". 46 წლის ბალდინიმ "პარმა" გასულ ზაფხულში მას შემდეგ ჩაიბარა, რაც "პალერმოს" ხელმძღვანელობის ნდობა დაკარგა. არადა, მწვრთნელმა "პალერმო" სერია A-ში გადაიყვანა. 2002-2003 წლების სეზონში ბალდინი სათავეში ედგა "ემპოლის", რომელმაც ჩემპიონატში მე-12 ადგილი დაიკავა.

ჩოგბურთი

# მეოთხე ჩოგნის მეოთხე პარტნიორი

## მარია შარაპოვა მდიდრდება

გიგა გურასაშვილი

17 წლის მარია შარაპოვა, რომელმაც საჩოგბურთო სამყაროში გამოჩენისთანავე თითქმის ყველა მამაკაცის გული დაიპყრო, მუდმივად ყურადღების ცენტრშია. თუმცა, ანა კურნიკოვასგან განსხვავებით, არც ტიტულებთანაა მწყრალად. წლეულს უიმბლდონიც მოიგო და არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად შერაცხული სარეიტინგო ტურნირიც WTA Championship ლოს ანჯელესში! ბუნებრივია, მომხიბვლელ და ტიტულოვან ჩოგბურთელთან საქმის დაჭერა ბევრ კომპანიას სურს, რა თქმა უნდა, ურთიერთსასარგებლო პირობებით. ესა თუ ის კომპანია შარაპოვას სთხოვს, მისი სარეკლამო სახე გახდეს, სანაცვლოდ კი მილიონებით უვსებენ ბიუჯეტს. ახლახან რუს ჩოგბურთელს დაუკავშირდა შვეიცარიული საათების მწარმოებელი ფირმა TAG Heuer და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამბობენ, ამ ხნის განმავლობაში შარაპოვას საბანკო ანგარიში ერთი მილიონი დოლარით გამდიდრდებაო.



მომავალ წელს მარია შარაპოვა ყველაზე მდიდარი სპორტსმენი იქნება.

ფირმის წარმომადგენლის თქმით, რუს ჩოგბურთელზე იმიტომ შეაჩერეს არჩევანი, რომ იგი ზუსტად ერგება TAG Heuer-ის მახასიათებლებს - პრესტიჟი, სიზუსტე და შრომისუნარიანობა.

შვეიცარიელებს არც რუსი ლამაზმანი დარჩენია ვალში: “ესაა ლეგენდარული და სახელოვანი ფირმა, ისევე როგორც ის ადამიანები და გუნდები, რომლებთანაც კომპანიას პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. იმავდროულად, შვეიცარიული ფირმა ულტრათანამედროვე და ქალურიცაა, რაც სრულად შემეფერება, რადგან ვაღმერთებ მაღალ ტექნოლოგიებს, გლამურსა და გამარჯვებას”.

რაც შეეხება თავად კომპანიას, იგი ერთ-ერთი მოწინავეა სპორტული ქრონომეტრაჟის დარგში და ძვირფასი საათების ერთ-ერთი ცნობილი მწარმოებელია.

სხვათა შორის, TAG Heuer-ის კონკურენტი ფირმის “ომეგას” სახე შარაპოვას თანამემამულე ანა კურნიკოვაა.

მსოფლიოს მეოთხე ჩოგნისთვის შვეიცარიელებთან დადებული კონტრაქტი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რიგით მეოთხეა. აქამდე შარაპოვასთან ურთიერთობა გაუფორმებიათ “მოტოროლას”, “ქენონს” და “Parlux Fragrances”. ეს უკანასკნელი პარფიუმერიულ ბაზარს შარაპოვას სუნამოებითაც ამარაგებს.

ვიდრე შარაპოვა საჩოგბურთო სამყაროში გაბრწყინდებოდა, წმინდა სპორტულ ფირმებთან - ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ჩოგნების მწარმოებლებთან აფორმებდა კონტრაქტებს.

როგორც ESPN იტყობინება, გაისად შარაპოვას რეკლამებიდან შემოსული მოგება 15 მილიონს მიუკაკუნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 17 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი იქნება!

შეიძლება ითქვას, რომ მარია შარაპოვამ წლეულს ჯეკ-პოტი მოხსნა. ნოემბრის მიწურულს ჩოგბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ასოციაციამ, რომელიც მსოფლიოს 17 ქვეყანის წარმომადგენლებს აერთიანებს, რუსი ჩოგბურთელი 2004 წლის ლაურეატად დაასახელა; WTATour.com-ის ცნობით, შარაპოვა წლის ჩოგბურთელადაც დასახელდა, რაც, ალბათ, იმის დამსახურებაცაა, რომ ერთეულთა თანრიგში 55 მატჩი მოიგო. რაც მთავარია, წლის დასაწყისიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც რეიტინგის 32-ე საფეხურზე იყო, მეოთხე საფეხურამდე აღზევდა და ასეც დაასრულა სეზონი.

ვიდრე წლის ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენად შერაცხავდნენ, თვის დასაწყისში შარაპოვა ჩოგბურთის მოყვარულებმა 2004 წლის მოდის კანონმდებლის სტატუსითაც აღიარეს.

საქმე ისაა, რომ ქალთა ჩოგბურთის ასოციაციას ოფიციალურ საიტზე, ტრადიციისამებრ, ერთგვარი გამოკითხვა ეწყობა იმის თაობაზე, თუ რომელი ჩოგბურთელი იცვამდა ყველაზე უკეთ.

უპირატესობა რუს ჩოგბურთელს მიეკუთვნა (32 პროცენტი). იმავე გამოკითხვაში (27 პროცენტით) მეორე ადგილი დაიკავა ამერიკელმა სერენა უილიამსმა.

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 15 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV. სეზონი 1998-1999. "MEMPHIS GRIZZLIES" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-ალღუმი
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მომოხილვა
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:05 “ფეხბურთი ანიდან ჰაემდე”
17:35 ჩემპიონთა ლიგა. “ვალენსია” - “ვერდერი”
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. “ფეიენოორდი” - პსვ
21:35 ჩემპიონთა ლიგა. “პორტუ” - “ჩელსი”. შესვენებისას (22:35) - თავისუფალი დარტყმა
23:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:40 თავისუფალი დარტყმა
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. "TORONTO RAPTORS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 12:40, 16:20, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 “ქრონიკა”
10:25, 15:00 “ჰარმონიის ფორმულა”
10:45 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში. ქალები. ძირითადი წრე
11:55 “რუსული თასი”. ჩოგბურთის ეროვნული პრემია
12:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. ქალები. გუნდური სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 “ვარსკვლავური სამშაბათი”
16:35 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ფინალი ინგლისში. დღე მეორე. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 “ვატერპოლო”
20:15 “სპორტისიმო”
21:00 “თოვლის სამყარო”. ტელეჟურნალი
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "CHARLOTTE BOBCATS" - "NEW ORLEANS HORNETS"
00:25 ახალი ამბები
00:40 “ვატერპოლო”
01:10 “თოვლის სამყარო”. ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
11:00 სნოუბორდი. Air & Style ავსტრიაში
12:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. სპრინტი
13:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. გუნდური სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი ესპანეთში. ზიდანის გუნდი რონალდოს გუნდის წინააღმდეგ
18:15 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. საფრანგეთისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
19:15 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:15 აფროსნობა. Swedish Match Tour
20:45 გოლფი. აზიური ტური
21:15 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
22:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
22:30 ფეხბურთი. უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:45 ფეხბურთი. უეფას თასი. მიმოხილვა
01:45 ახალი ამბები
02:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. სპრინტი. ვაჟები. მიმოხილვა
03:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

# საქველმოქმედო აქცია ნიუ იორკში

## ქართველი მხატვრები პირველად უდიდეს აუქციონის სახლში

ლენა კილაძე

### საქართველოს ამერიკელი მეგობრები

"საქართველოს ამერიკელი მეგობრები" არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წელს დააარსა კონსტანტინე სიდამონ ერისთავმა, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს დასახმარებლად. ორგანიზაციის მისია ძირითდად ჰუმანიტარულია და უკიდურესად გაჭირვებული ფენის დახმარებას ითვალისწინებს. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია მარუსია ჭავჭავაძე (ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირი შთამომავალი, რომელიც ამერიკაში დაიბადა და ცხოვრობს). ქ-ნი მარუსია შარშან "24 საათის" სტუმარი იყო და წლის საუკეთესო სტუმრის ტიტულიც მიიღო. ორგანიზაცია ბევრ გამოჩენილ ადამიანს აერთიანებს. მისი საბჭოს წევრები არიან ქართველი ამერიკელები და ამერიკელები, რომელთაც საქართველოსადმი დიდი ინტერესი აქვთ. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ: ოთარ შალიკაშვილი, ოთარ ზალდასტანი, მერი კვიტაშვილი, მამუკა წერეთელი, დემიან რობინსონი, რობერტ მედეირასი, ტანია ბობრინსკოი, საიმონ სიდამონ-ერისთავი, ნინო ანანიაშვილი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ეთერი ანჯაფარიძე და სხვანი.

1995 წლიდან "საქართველოს ამერიკელი მეგობრები" ეხმარება მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ძეგვის ბავშვთა სახლს, თელავში ინვალიდ ბავშვთა სკოლას "ახალი სიცოცხლე", ბავშვთა ტუბერკულოზის დისპანსერს თბილისში, ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას, ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ბაზაზე არსებულ გერიატრიულ კლინიკას თბილისში, პირველ ჰოსპისს საქართველოში, რომელიც ფერისცვალების მონასტერთან დაარსდა, ორგანიზაციას "ბილიკი" გორში და სხვა. ყველა პროექტი, რომელსაც იგი ანხორციელებს, არის საოცრად აქტუალური და ადგილობრივი პრობლემიდან გამომდინარე. მისი ურთიერთობა ქართველ პარტნიორებთან ნდობაზე და თავდადებაზეა აგებული, ალბათ ამიტომ ახერხებს ასეთი არაორდინარული პროექტების განხორციელებას. ჰუმანიტარული მისიის პარალელურად, ორგანიზაციის საქმიანობაში ასეთი პრიორიტეტიც არსებობს - ქართული კულტურის პროპაგანდა, თუმცა სოციალური პრობლემების პრიორიტეტის გამო ორგანიზაციამ მხოლოდ ორი დიდი აქციის განხორციელება შეძლო: 2001 წლის ივნისში, ბიდლსტონ გალერეაში (ნიუ იორკში, მე-5 ავენიუზე) ქართული კულტურის საღამო და ქართველი მხატვრების დიდი გამოფენა მოაწყო, სადაც ზეთის, გრაფიკის, ტექსტილის, კერამიკის, მინანქრის თუ ხალხური რეწვის 100-მდე სხვადასხვა ნიმუში იყო წარდგენილი (საღამოს ცოცხალი ქართული მუსიკა ახლდა და ქართული სამზარეულოც ამშვენებდა) და წელს 29 ნოემბერს, დიდი მიღება და ქართული მხატვრობის აუქციონი - აუქციონის სახლში "დოილ ნიუ იორკი".

### "დოილ ნიუ იორკი"

"დოილ ნიუ იორკი" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და დიდი აუქციონის სახლია ნიუ იორკში, რომელიც 87-ე ქუჩაზე ლექსინგტონ ავენიუსა და მესამე ავენიუს შორის მდებარეობს. მას დიდი ავტორიტეტი აქვს ხელოვნების სამყაროში და ხელოვნების შემფასებლის მაღალი სტატუსითაც სარგებლობს. თავისი ისტორიის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა აქ ქართული ნამუშევრები გამოიფინა. საქართველო და ქართული მხატვრობა, ამერიკელებისათვის სრულიად უცნობი ბაზარია და ბუნებრივია, თავიდან საკმაოდ ფრთხილად მოეკიდნენ საკუთარ სახლში ქართული ხელოვნების გამოფენის საკითხს. ნიუ იორკი ძალიან პრეტენზიული ბაზარია - თან მსოფლიო ხელოვნების დედაქალაქის სახელი აქვს - ამიტომ ეს გასაკვირიც არ იყო.

ყველაფერი ჰუმანიტარული მისიით დაიწყო და "დოილის" დირექტორის, ქ-ნი ქეთი დოილიეს პირადი დიდი სურვილით - დახმარებოდა საქართველოს. სწორედ მან შესთავაზა "საქართველოს ამერიკელ მეგობრებს" რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების პროექტების დასახმარებლად, საქველმოქმედო მიღების მოწყობა. მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში გადაწყდა, ეცადეთ და ქართული ხელოვნების ნიმუშებიც გამოეტანათ აუქციონზე.

მიღებას რამდენიმე ფუნქცია ჰქონდა - საქართველოს და ქართული კულტურის წარდგინება ნიუ იორკის საზოგადოებისათვის და რა თქმა უნდა, თანხების შეგროვება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დასახმარებლად.

მოსაწვევი, რომელსაც თბილისის ხედი ამშვენებდა, 5 ათასამდე კაცს დაეგზავნა.

ქართული მხატვრობა უნდა გამოფენილიყო დარბაზში, სადაც დოილის ახალი აუქციონის ორი გამოფენა იყო მოწყობილი - "ევროპული და ამერიკული მხატვრობა" და "მოდერნი და თანამედროვე ხელოვნება". ეს კოლექცია ისეთი ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს აერთიანებდა, როგორიცაა ედგარ დეგა, ჟან დუფი, ალექსანდრ კალდერი, ბენ შანი, მან რეი, პაბლო პიკასო, ალვარო სიკეიროსი, ჰანს არპი და სხვ.



ლევან მიქელაძე, ქეთი დოილი, რეზო ადამია და კონი სიდამონ-ერისთავი.

### ქართული ხელოვნება გამოფენაზე

ქართული ხელოვნება ნიუ იორკში უკვე საკმაოდ ცნობილი და ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი: 80-იანელთა თაობის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან: ლევან ლაღიძე (აბსტრაქტული კომპოზიცით), ირაკლი სუთიძე - ფერწერული ტილოთი "ფლორა", გია გუგუშვილი (უფროსი) - ლირიული კომპოზიციით "რეპეტიცია", გურამ კალანდაძე - მეტალის ჩიტით (რომელმაც პირველად იფრინა ასეთ შორ მანძილზე და დღეს ატლანტის ოკეანის ნაპირზე დაიდო ბინა), მათი მომდევნო თაობა, მამუკა ცეცხლაძე - იტალიის ხედით, ახალგაზრდა მხატვრები: ლევან მარგიანი - მინიატურა და ლენა კილაძე - პასტელი, აგრეთვე დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება: ნინო ყიფშიძე - ტექსტილი, ზაზა ლოდია: მინანქარი, კომპოზიციით "გოგონა", სოსო ალავიძე შერეული ტექნიკით (მინანქარი და ვიტრაჟის შუშა) შესრულებული თანამედროვე ტრანსფორმირებადი გულსაკიდებით და პაატა პაატაშვილი ძველ კოლხურ თემატიკაზე დაყრდნობით შექმნილი მინანქრის სამკაულით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა მხატვარმა სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა ნამუშევარი (მათი თხოვნით თავს ვიკავებთ დასახელებისაგან - ოღონდ აღვნიშნავთ, რომ უმეტესი მოგება სწორედ ამ ნამუშევრებმა მოიტანა და საქართველოს ამერიკელ მეგობართა ფონდი განსაკუთრებით მადლიერია მათი).



საექსპოზიციო დარბაზში ხალხმრავლობაა.

### აქციის მსვლელობა

მიღება 29 ნოემბერს საღამოს 6 საათზე დაიწყო. საქართველოს ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რევაზ ადამია, საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მექსიკასა და კანადაში ლევან მიქელაძე, დოილის დირექტორი ქეთი დოილიე და "საქართველოს ამერიკელ მეგობართა" ფონდის თავმჯდომარე კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი მომსვლელ სტუმრებს შესასვლელში ხვდებოდნენ და ესალმებოდნენ. ხალხი ბევრი იყო - ამერიკელებიც და ქართველებიც. ჩვენ რა თქმა უნდა, ვღელავდით.

საღამო ქეთი დოილმა გახსნა, მან ყველას მადლობა მოუხადა და საზოგადოებას კონსტანტინე (კონი) სიდამონ-ერისთავი წარუდგინა, რომელიც შემდგომ წარუძღვა საღამოს. კონიმ მადლიერებით მოიხსენია ყველა, ვინც ხელი შეუწყო საქართველოსთვის ამ მნიშვნელოვანი აქციის ორგანიზებას -აუქციონის სახლი, როგორც ინიციატორი და მთავარი დამხმარე, სოროსის ფონდი, ვისი მეშვეობითაც მოხდა ნამუშევრების ჩამოტანა, მამუკა წერეთელი და ღვინის კომპანია "თელიანი ველი" - ღვინის მოწოდებისათვის და ყველა მეგობარი. მანვე წარადგინა საღამოს საპატიო სტუმრები: საქართველოს ელჩები და საქართველოში ამერიკის ელჩის მეუღლე შარონ მაილსი, რომელიც სპეციალურად ამ აქციისათვის ჩამობრძანდა.



საქართველოში ამერიკის ელჩის ცოლი შერონ მაილსი.

### აუქციონი

ოფიციალური ნაწილის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი - აუქციონი დაიწყო. ეს ე.წ. უხმო აუქციონი იყო, სადაც ნამუშევრების ფასეულობის აღნიშვნის შემდეგ მათი საწყისი (საქველმოქმედო) ფასი იყო აღნიშნული და მითითებული იყო თანხა, რომელიც უნდა მომატებოდა. თითოეულ ნამუშევართან იდო ქაღალდი და ფანქარი, სადაც მსურველს თავისი გვარი, მისამართი და შეთავაზებული თანხა უნდა დაეწერა. ასე თანმიმდევრობით მსურველები თავიანთ პოზიციას აფიქსირებდნენ. საბოლოოდ ყველაზე მაღალი მონაცემი იმარჯვებდა. ნამუშევრებთან ასისტენტები იდგნენ, რომლებიც მსურველებს ინფორმაციას აწვდიდნენ აუქციონის წესზე, ნამუშევარსა თუ მხატვარზე. პროცედურა არ იყო იოლი (თან თუ სპეციფიკა არ იცი), დროც შეზღუდული იყო. 7 საათსა და 45 წუთზე აუქციონი უნდა დასრულებულიყო და 8.00-საათზე შედეგები დაბეჭდილი სახით უნდა გამოქვეყნებულიყო.

საერთოდ, აუქციონის პროცესი ძალიან აზარტულია. უფრო მეტად აზარტულია, როდესაც გამოცხადება ხდება. მე ერთხელ დავესწარი აქციის მომზადების პროცესში "დოილში" აუქციონს - ძალიან საინტერესო იყო - ჩემს თვალწინ მატისის ერთ-ერთი მიმდევარის ტილოზე ფასმა 20 ათასიდან 70 ათასამდე აიწია.

ჩვენთანაც რამოდენიმე ნამუშევრის გარშემო ნამდვილი ორთაბრძოლა გაიმართა და ერთ შემთხვევაში ფასმა 700-დან 1800 დოლარამდე აიწია.

შედეგების გამოცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვისაც და აუქციონის მუშაკებისთვისაც - ერთის გარდა ყველა ნამუშევარი გაიყიდა. ამას არავინ ელოდა!



გურამ კალანდაძის ჩიტმა ამერიკაში გაიკეთა ბუდე.

### კურიოზები

რაღა თქმა უნდა, აბა ამის გარეშე როგორ იქნებოდა?

ყველამ წინასწარ იცოდა, რომ მიღებაზე ქართული ღვინო იქნებოდა და ძალიან ელოდნენ. მიღების დღეს, 29-ში დილით გაირკვა, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნა საბაჟოზე და ღვინო, რომელმაც ამერიკაში ჩამოაღწია, ვერ გამოაქვთ! ჰოდა, მამუკა წერეთელი - ამერიკული-ქართული ბიზნეს საბჭოს დირექტორი და "საქართველოს ამერიკელ მეგობართა" ფონდის საბჭოს წევრი დილიდან აეროპორტში იყო. ნერვიულობის მიუხედავად, ხუმრობდა და ჩვენ გვამშვიდებდა - აუცილებლად ყველაფერი დროზე იქნებაო... ვინ არ ჩაერთო ქართული ღვინის გამოხსნის საქმეში...

საღამოს ექვსის ნახევარზე, როცა ღვინო ჯერ კიდევ არ იყო, საგამოფენო სახლმა თავისი რეზერვების გახსნა დაიწყო. ღვინის წარმომავლობას აღარ ვაზუსტებდით.

მიღების ბოლოს, ცოცხალმკვდარი მამუკა მაინც გამოჩნდა ქართული ღვინით. აჟიოტაჟით ღვინო იქვე გავხსენით და მარუსია ჭავჭავაძე თავისი ხელით უმასპინძლდებოდა სტუმრებს - ძალიან უხაროდა, რომ ნაწილმა მაინც მოასწრო ღვინის გასინჯვა. ღვინო მართლაც საოცარი აღმოჩნდა და ამერიკის საბაჟო კი მამუკას სიტყვებით - ქართულზე უარესი.

ისე, ვფიქრობთ, რომ მისმა ამდენმა წვალებამ უშედეგოდ არ ჩაიარა, რადგანაც იმ ამერიკელების სახით, ვინც გასინჯა ეს ღვინო, ქართულ ღვინოს და "თელიან ველს" ნამდვილი გულშემატკივრები გაუჩნდა.

### დაბოლოს

ყველა აღფრთოვანებული მიდიოდა მყიდველიც და უბრალო დამთვალიერებელიც. როდესაც ქეთი დოილს მადლობას ვუხდიდით - მე არაფერ შუაში ვარ, ეს საქართველოსთვის და საქართველოში თავისუფლების და დემოკრატიის მხარდაჭერისთვისო....კარგია, რომ საქართველოს ასეთი მეგობრები ჰყავს... ...და რაღა თქმა უნდა, ასეთი მხატვრები...

პრეტენზიულმა მსოფლიო ხელოვნების დედაქალაქმა ქართული ხელოვნება, ვფიქრობთ, თბილად მიიღო, მართალია, ჯერ მცირე დოზით, მაგრამ მაინც....

ვიმედოვნებთ, რომ ეს დიდი მეგობრობის დასაწყისი იქნება....

**კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი** ("საქართველოს ამერიკელი მეგობრების პრეზიდენტი"):

"დავიწყებ იმით, რომ "დოილის" აუქციონის სახლი თავისთავად საოცარი ადგილია და იქ გამოფენა მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენი პირადი მეგობრების და "დოილის" მეგობრების სიის გაერთიანებით ნიუ იორკის ამერიკულ-ქართული საზოგადოების საინტერესო სინთეზი მივიღეთ. ეს იყო საოცარი შესაძლებლობა ხალხისათვის - ერთმანეთს შეხვედროდნენ, გაეცნოთ, დაკავშირებოდნენ.

ჩემი აზრით, ქართული მხატვრობის ნიმუშები მშვენიერი იყო და ეს მხოლოდ ასეთი გამოფენის უფრო დიდი მასშტაბით განმეორებით მოწყობის სურვილს აღძრავდა.

აგრეთვე ეს იყო მშვენიერი საშუალება, გაგესინჯათ ქართული ღვინო.

ამერიკაში საქართველოს ორივე ელჩის რეზო ადამიას და ლევან მიქელაძის, აგრეთვე გაეროში ყოფილი ელჩის პეტრე ჩხეიძის და საქართველოში ამერიკის ელჩის მეუღლის შარონ მაილსის ყოფნა ამ გამოფენაზე უდავოდ მეტყველებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს და ამერიკის ურთიერთობა. და ეს ურთიერთობა კიდევ უფრო შეიძლება განმტკიცდეს პირადი კონტაქტების და მეგობრობის შედეგად. ყოველი ახალი შეხვედრა, ყოველი ახალი გამოფენა თუ იდეების გაცვლა ამ ურთიერთობების გაღრმავებას უწყობს ხელს.

მე აქ დავინახე აგრეთვე დაინტერესება საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობების წარმოების, რაც მხოლოდ დახმარების საშუალება კი არა, მოგების წყაროც შეიძლება გახდეს.

და საერთოდ, ვფიქრობ, საქართველოში პირველ რიგში ტურიზმს უნდა აქტიური განვითარება და ხელშეწყობა, რომ უფრო მეტი მეგობარი გაუჩნდეს ამ მშვენიერ ქვეყანას".

**მარუსია ჭავჭავაძე** ("საქართველოს ამერიკელი მეგობრების" აღმასრულებელი დირექტორი):

"მე დიდად მადლობელი ვარ ქეთი დოილის და აუქციონის სახლის "დოილი ნიუ იორკის", მათი მაღალპროფესიული დახმარების და თანამშრომლობის, "საქართველოს ამერიკელ მეგობართა" რიცხვის გაზრდაში.

ჩვენი მიზანი იყო საქართველო წარმოგვედგინა პოზიტიური კუთხით. რადგანაც მე დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო საშუალება, დააინტერესო ამერიკელები საქართველოში ამა-თუ იმ პრობლემის მოგვარებით, ესაა, გააცნო და შეაყვარო მათ ეს საოცარი ქვეყანა და მისი მდიდარი კულტურა, რომელსაც ამერიკელები შეიძლება ეზიარონ და ბევრი მიიღონ მისგან.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვახერხეთ ამერიკელებში (გამოფენაზე ძალიან ინტელექტუალი და ხელოვნების მოყვარული საზოგადოება შეიკრიბა) ქართული კულტურის მიმართ ინტერესის გაღვიძება და, ამავე დროს, მათი დაინტერესება სოციალური პრობლემებით. ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მისიაა, დაეხმაროს ქართველ მხატვრებს ქართული კულტურის შენარჩუნებასა და პროპაგანდაში და საოცარია, რომ ამ მისიის შესრულებით ქართველი მხატვრები უკიდურესი რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს ეხმარებიან.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დაგვეხმარა ამ აქციის ორგანიზებაში. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მივმართო ქართველ მხატვრებს, რომელთაც ასეთი ნდობა გამოგვიცხადეს და რომელთაც ასე შესტკივათ გული თავისი ქვეყნისათვის (რამოდენიმე მათგანმა სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა ნამუშევარი) და მე მინდა დავარწმუნო, რომ ეს თანხა მთლიანად მოხმარდება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებას. არ შემიძლია, არ აღვნიშნო სოროსის ფონდის მხარდაჭერა, რომლის მეშვეობით მოხერხდა ამ მშვენიერი ნიმუშების ჩამოტანა ნიუ იორკში. ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი აუქციონი საფუძველს ჩაუყრის მოძრაობას "ხელოვანნი საქართველოსათვის" და ჩვენ კიდევ არა ერთი მშვენიერი აქციის მომსწრენი გავხდებით".

**მაიკლ ენცორი** (ამერიკელი მხატვარი):

"მე აღფრთოვანებული ვარ. დღეს აქ ქართული ხელოვნების საოცარი ნიმუშები იყო წარმოდგენილი. ეს უნიკალური, თვითმყოფადი ხელოვნებაა, გამორჩეული სამყაროს უნიკალური ხედვით და ემოციების გამოხატვით. ყველაფერი ეს ახალი და უჩვეულოა ამერიკელებისათვის. ძალიან ვწუხვარ, რომ ბევრი ნამუშევარი არ იყო. ვისურვებდი ქართველი მხატვრების გრანდიოზულ გამოფენაზე მოხვედრას. ვფიქრობ, რომ ეს დიდი დასაწყისია!"

**ენ სიდამონ-ერისთავი:**

"მე საქართველოში სამჯერ ვიყავი, მათ შორის პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციაზე და მოუთმენლად ველი, როდის მომეცემა შემდეგი შესაძლებლობა.

დღევანდელი მიღება მშვენიერი წარდგინება იყო საქართველოსი ნიუ იორკის საზოგადოებისათვის და რაოდენ სასიხარულოა, რომ უკვე ცნობილი მხატვრების გვერდით ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი შემოქმედების ნამუშევრების ხილვის შესაძლებლობაც მოგვეცა."

## ფოტოგალერეა



და ისევ მარტო.

ავტორი: ლევან ხერხეულიძე

## TV პროგრამა

### 15 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუ-ცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ჩხუბისთავები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "ელდორადოს საიდუმლოებანი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ" (18) **02.05** პატრული

**პირველი არხი**

**08.00, 09.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" **09.10** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.05** ქიმერიონი **14.15** დოკ. ფილმი "ვაცლავ ნიჟინსკი" **15.20** "საღამოს საუბრები" - ბ. კალანდაძე **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.25** ძველი აფიშა -"საბრალდებო დასკვნა" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "სტამბული" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.50** გრიფით საიდუმლო **21.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.10** "მიამბეთ თქვენზე" - რ. გაბრიაძე **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ)

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-5ს. **14.00** ტუნ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-6ს. **00.30** ტუნ-ემ

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მეამბოხეები" (15) (ენრიკო ლო ვერსო)

**მეორე არხი**

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** დოკ. ფილმი "კორტე მალტეზის 13 ცხოვრება" **21.05** "იმღერე რამე" **21.35** "ეძიე ქალი" **21.55** ბასტი-ბუბუ **22.05** ქიმერიონი **22.45** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "სისხლის მოგონება" (15)

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მგლების ხორუმი" **12.20, 14.15, 17.10, 23.45, 03.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბულვარული გარეკანი" მე-2ს. (გ) **14.30** სპ. პროგრამა "ასი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "ურჩხულების მეჯლისი" (18) (ჰოლი ბერი) **01.55** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "ადგილების შეცვლა" **11.10** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "ჰოლივუდელი კოპები" **13.40** დოკ. ფილმი **14.45** თრილერი "სასიკვდილო ფიქრები" **16.25** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "ცისფერი მანქანა" **20.15** მუსიკა **21.00** დრამა "რომეო და ჯულიეტა" **23.00** "ზღვარი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** კომედია "ჩვიდმეტიწლისანი"

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА". 10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Докдетектив. "Показания с петлей на шее". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Александр Калягин в комедии **"БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ". 1**-я с. **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.10** Сериал **"КЛОН". 19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Премьера. "Двуликий Мао". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Сканер". "Повелители боли". **00.40** "Звезды эфира". Александр Бовин. **01.10** Джейн Фонда в комедии **"С ДЕВЯТИ ДО ПЯТИ". 03.15** Берт Рейнольдс в боевике **"СТИК". 05.10** "Брачные игры животных". Часть 2-я.

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **10.15** Чистосердечное признание. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.20** "Растительная жизнь". **11.55** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 13.30** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.25** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Криминальная Россия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 20.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 22.00** "Страна и мир" **22.40** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Джеймс Вудс в боевике **"БЕСТСЕЛЛЕР" 02.20** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: украденная река". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Детективный сериал **"10-8". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# 2004 წლის 10 საუკეთესო ფილმი



ამერიკის კინოს ინსტიტუტმა ამ წლის 10 საუკეთესო ფილმი დაასახელა. სიაში შევიდა ფილმები "ავიატორი ვნების მუდმივი ნათება "გოგონა მილიონ დოლარად", "კინზი", "მარია სავსე სიკოხტავით", "პარასკევი საღამოს ცეცხლი" "გვერდის ავლით", "სუპეროჯახი", "თანამონაწილე", "ადამიანი გამოძახებით". ამერიკის კინოს ინსტიტუტმა წლის ათი საუკეთესო ტელეპროექტიც დაასახელა, რომელთა შორისაა "სოპრანოს კლანი" და მულტიპლიკაციური ფილმი "სამხრეთის პარკი".

# პრემიერა გადაიდო

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 17 დეკემბრისთვის დაგეგმილი "გედების ტბის" პრემიერა გადაიდო. ამის მიზეზად ოპერის თეატრის ადმინისტრაცია მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის სერგეი ფილინის ფეხის მოტეხვასა და მარიას თეატრის სოლისტის ევგენი ივანჩენკოს ავადმყოფობას ასახელებს.

სპექტაკლის პრემიერა 2005 წლის თებერვალში გაიმართება; მასში მთავარ პარტიას ნინო ანანიაშვილი შეასრულებს.

მაყურებელს წინასწარ შეძენილი ბილეთების დაბრუნება თეატრის სალაროში შეუძლია.

*მედია-ნიუსი*

# საპრემიერო ჩვენებები

გუშინ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ბერძენი რეჟისორის მიხეილ მარმარინოსის გახმაურებული სპექტაკლის - "ეროვნული ჰიმნის" ჩვენებები დაიწყო. როგორც თეატრში გვაცნობეს, მარმარინოსი თბილისშია და სპექტაკლებს კინომსახიობთა თეატრში 15, 16 და 23 დეკემბერს წარმოადგენს.

სპექტაკლში ქართველი მსახიობები - მზია არაბული, ლია კაპანაძე, ლალი კეკელიძე, გიორგი ნაკაშიძე, დარეჯან ჯოჯუა, იმედა არაბული, თორნიკე ბზიავა და სხვები თამაშობენ.

"ეროვნული ჰიმნი" მიხეილ მარმარინოსმა ათენსა და ფლორენციაში 2001-2002 წლებში დადგა. საქართველოში კი სპექტაკლი პირველად შარშან, ხელოვნების ფესტივალის "საჩუქრის" ფარგლებში იხილა მაყურებელმა.

"ეროვნული ჰიმნი"-ს ჩვენება მარმარინოსს გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთშიც აქვს დაგეგმილი. *ინტერ-პრესი*

# პრეზიდენტის ხიფათობანი

## ჯორჯ ბუშის პორტრეტიდან შიმპანზეები იცქირებიან

სალი ბოკერია

ნიუ იორკში, ანიმალისტთა ექსპოზიციის ფარგლებში გამოფენილმა ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში-უმცროსის პორტრეტმა აურ-ზაური გამოიწვია. საქმე ისაა, რომ დამთვალიერებელთათვის შორიდან მკაფიოდ იკვეთება ამერიკის პრეზიდენტის სახე, ხოლო ისინი, ვინც პორტრეტს ახლოდან აკვირდებიან ასობით შიმპანზეს აღმოაჩენენ. საინტერესოა, რომ ბუშის პორტრეტის დემონსტრირების შემდგომ ტილო აუქციონზე 3500 დოლარად უნდა გაეყიდათ, თუმცა... მოხდა ისე, რომ გამოფენის სპონსორებმა მოულოდნელად ნამუშევრის გამოფენიდან მოხსნა მოინდომეს. მოგვიანებით კი ექსპოზიციის მთლიანად დახურვაც გადაწყვიტეს.

მართალია, ბუშის პორტრეტი სპონსორების მიერ იქნა დაწუნებული, მაგრამ მის ფიზიკურ მდგომარეობას ამერიკელი ექიმები არაფერს უწუნებენ. რამოდენიმე დღის წინ ჯორჯ ბუშმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. თეთრი სახლის მასპინძლის თავით-ფეხებამდის შესწავლის შემდეგ, ათი კაცისაგან შემდგარმა კონსილიუმმა ჯორჯ ბუშს "განაჩენი" გამოუტანა - ამერიკის პრეზიდენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისათვის გამოსადეგია! მაგრამ, როგორც იტყვიან, თავად ბუში მიუხედავად იმისა, რომ ვერდიქტი სამართლიანად ეჩვენება, საკუთარი ფიზიკური მზადყოფნით მაინც უკმაყოფილოა: "მიუხედავად ექიმთა განცხადებისა, მაინც მეჩვენება, რომ შედარებით სრულად გამოვიყურები (ღიპი დამედოო), ამიტომაც მომავალში წონაში დაკლება გადავწყვიტე"

ის, რომ ექიმები ბუშის ჯანმრთელობით კმაყოფილნი არიან, სულაც არაა გასაკვირი. 58 წლის ქვეყნის ხელისუფალი აქტიურად ეწევა სპორტულ ცხოვრებას - დაცურავს აუზში, სეირნობს ველოსიპედით და არცთუ იშვიათად, სატრენაჟორო დარბაზს სტუმრობს. ამასთან, 18 წელია, ალკოჰოლსა და სიგარეტს აღარ ეტანება, მაგრამ როგორც თავად აღიარებს, ხანდახან სიგარეტისკენ გაურბის ხელი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ამერიკის პრეზიდენტს სპორტული თამაშობანი ტრავმებამდე მიჰყავს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა ერთგვარი ნუსხაც კი შეადგინეს, რომლის მიხედვითაც ვიტყობთ იმას, თუ რა არ უნდა გააკეთოს ბუშმა. პირველყოვლისა, თავი უნდა შეიკავოს ველოსიპედით სეირნობისაგან. საქმე ისაა, რომ წლეულს მაისში საკუთარი ველოსიპედიდან გადმოვარდნისას დაიშავა მარჯვენა ხელი, გადაიტყავა მუხლები, ნიკაპი, გაუსკდა ზედა ტუჩი და გაიტეხა ცხვირი. გარდა ამისა, ამერიკის პრეზიდენტს არც ძუნძულს ურჩევენ, რადგან თებერვალში, დილის ვარჯიშისას მუხლი იტკინა, რისი კვალიც დღემდე ამჩნევია - კოჭლობს. ბუშს არც მოტოციკლით "ჯირითს" ურჩევენ. შარშან, როდესაც ორთვალა სკუტერის ახალ მოდელს საქმეში ცდიდა, პრეზიდენტმა წონასწორობა დაკარგა და წაიქცა; ერთი წლის წინ, საგვარეულო კარ-მიდამოში სეირნობისას კი ბუში-უმცროსი საკუთარ ძაღლს ბარნის დაეჯახა და რამდენიმე სერიოზული ნაკაწრიც მიიღო.

და კიდევ, ამერიკის პრეზიდენტისგან მეტ ყურადღებას მოითხოვენ ტელევიზიით სპორტული პროგრამების ცქერისას. 2002 წლის იანვარში, სავარძელში მოკალათებული ბუში ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის ფინალური თამაშის ცქერით იქცევდა თავს, რომ მოულოდნელად მარილიანი კრეკერი გადასცდა და გონება დაკარგულმა, წაქცევისას მაგიდის კუთხეს ჩამოარტყა თავი. შედეგი ის იყო, რომ მეორე დღისთვის სახე დალილავებული ჰქონდა.



# იამაიკის გმირი

ლეგენდარულ ბობ მარლის შესაძლოა, იამაიკის ყველაზე დიდი ჯილდო -ეროვნული გმირის წოდება მიანიჭონ.

ეს საკითხი მაიამისა და სამხრეთ ფლორიდაში მცხოვრებმა, მუსიკოსის ახლობლებმა წამოაყენეს. "დედამიწის ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ადამიანებისთვის იამაიკასთან ბობ მარლი ასოცირდება. მისი სიმღერები დღემდე ბევრის შთაგონების წყაროა. მოვიდა დრო მუსიკოსს პატივი მივაგოთ", - ამბობს Bob Marley Foundation-ის წარმომადგენელი.

ამას გარდა, ორგანიზაციის წინადადებაა მუსიკოსის დაბადების თარიღი - 6 თებერვალი, ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდეს. მომავალ წელს ბობ მარლის 60 წლისთავთან დაკავშირებით Bob Marley Foundation გრანდიოზულ ღონისძიებებს გეგმავს.

სადღეისოდ იამაიკის ეროვნული გმირის წოდება სულ შვიდ იამაიკელს მიენიჭა. მათ შორისაა ადამიანთა უფლებებისთვის მებრძოლი მარკუს ჰარვი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალექსანდერ ბუსტამანტე. რაც შეეხება ბობ მარლის, მან სიკვდილამდე ერთი თვით ადრე იამაიკის ხელისუფლებისგან დამსახურებებისთვის ორდენი მიიღო.








საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ. უზნაძის N70 ტელ: 29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

AEROFLOT

რუსეთის ავიახაზები

"აეროფლოტი-რუსეთის ავიახაზები" სიამოვნებით აცნობებს საკუთარ მგზავრებს, რომ 2004 წლის 10 დეკემბრიდან თბილისის მიმართულებით რეისების რაოდენობა იზრდება. ამიერიდან მოსკოვის, ევროპის, ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მიმართულებით, ავიაკომპანიის რეისები შესრულდება ყოველდღიურად (გარდა კვირა დღისა), მინიმალურ დროში. რეისები შესრულდება ახალი ბოინგისა და ეარბუსის ტიპის თვითმფრინავებით. ავიაკომპანიის ტარიფები ყველაზე მიმზიდველია.

კომპანია "აეროფლოტი-რუსეთის ავიახაზები" ეს არის საერთაშორისო დონის უსაფრთხოება და კომფორტი. იფრინეთ ჩვენთან ერთად და დააგროვეთ ქულები უფასო ფრენებისთვის "აეროფლოტ ბონუსის" პროგრამის ფარგლებში.

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.